ვუძღვნი მეგობრის
კახა ლელაშვილის
ნათელ ხსოვნას

ანდრო გოგოლაძე

იოანე პრესვიტერის ლეგენდის ისტორიული და ბიბლიური საფუძვლების შესახებ

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი
2005

უაკ(UDC)931
გ 611

ჯვაროსნული ეპოქის ცნობილი ლეგენდა იოანე პრესვიტერის შესახებ დღესაც დიდ ინტერესს იწვევს ისტორიულ მეცნიერებაში.

ნაშრომში ვრცლად არის მიმოხილული საკითხის გარშემო არსებული წყაროები, ისტორიოგრაფიული ლიტერატურა და გამოთქმულია ახლებური თვალსაზრისი.

წიგნი განკუთვნილია, როგორც ისტორიკოს-მკვლევართათვის, ისე ფართო მკითხველი აუდიტორიისთვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **დავით ნინიძე**

მხატვარი: **თამარ შარაბიძე**
კომპიუტერული გრაფიკა: **დავით გოგლიძე**

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე".

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: მარიამ ბუტიკაშვილი, ანა რუაძე

ISBN 99940-0-531-6

ეუა საუკუნეების ჯვაროსნული ეპოქის ცნობილი თქმულება იოანე პრესვიტერის შესახებ დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ჯერ კიდევ მისი გავრცელების პირველი პერიოდიდან (XII ს. I ნახევარი) ისტორიკოსები, მოგზაურები, სახელმწიფოთა მმართველები თუ რომის პაპები ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ ვინ იყო იოანე პრესვიტერი და სად მდებარეობდა მისი სამეფოს ტერიტორიები.

პირველი წერილობითი წყარო იოანე პრესვიტერის შესახებ დაცულია ცნობილი გერმანელი მემატიანისა და II ჯვაროსნული ომების მონაწილის, ოტო ფრაიზინგის[1] ქრონიკაში. კერძოდ, მისი ცნობით, 1145 წელს რომის პაპს ევგენი III-ს სირიის ქალაქ გაბალის[2] კათოლიკე ეპისკოპოსმა სთხოვა დახმარება გაეწია მისი ელჩობისათვის ევროპის ქვეყნების მეფეებ-

---

[1] ოტო ფონ ფრაიზინგის ბაბუა იყო იმპერატორი ჰაინრიხ IV. ოტოს ნახევარძმა კი – შემდგომში II ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე იმპერატორი კონრად III, ხოლო ძმისშვილი – ფრიდრიხ I ბარბაროსა. ოტომ განათლება მიიღო პარიზის სკოლებში, შეისწავლა ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, დიალექტიკა. იყო მორიმუნდის აბატი, ხოლო 1138 წლიდან ქალაქ ფრაიზინგის ეპისკოპოსი. მისი თხზულებები თავმოყრილია ნაშრომში „ქრონიკა მსოფლიოს გაჩენიდან დღემდე". ოტო ფონ ფრაიზინგი იყო მომხრე ჯვაროსნული ლაშქრობის იდეისა, ისევე, როგორც მისი ორდენის ძმა ბერნარ დე კლერვოელი, რომელიც ამ ლაშქრობებს ენთუზიაზმით იცავდა (ისინი ცისტერიანელთა ორდენის წევრები იყვნენ). 1147 წელს ოტო მონაწილეობდა II ჯვაროსნულ ლაშქრობაში. 1148 წელს მისი რაზმი სასტიკად დამარცხდა სელჩუკებთან, თავად ძლივს გადაურჩა სიკვდილს და თავი შეაფარა სირიას. 1158 წელს ოტო ფონ ფრაიზინგი გარდაიცვალა მორიმუნდში. История средних веков. Крестовые походы (1096-1291 гг.). Составитель М. М. Стасюлевич, Изд. «Полигон» Санкт-Петербург, АСТ Москва, 2001, стр. 286; Б. Куглер, История крестовых походов, 1995, стр. 182; "Otto von Freising"- von Oliver Schmidthals. Weltbild und Realität; herausgegeben von Ulrich Knefelkamp. Centaurus Verlagsgesellschaft Pfaffenweiler 1992.

ფრაიზინგი – ქალაქი ბავარიაში, მიუნხენის ჩრდილო-აღმოსავლეთით. 1857 წ. ოტო ფრაიზინგს იქ ძეგლი დაუდგეს.

[2] გაბალი – დღ. ჯებალი სირიაში.

თან, რათა სირიაში მყოფ ჯვაროსნებს კვლავ დაებრუნებინათ 1144 წელს მოსულის ათაბაგის მიერ მათთვის წართმეული ედესა[3]. ამავე დროს, როგორც გერმანელი მემატიანე გადმოგვცემს, ამ ეპისკოპოსმა მეტად საინტერესო ამბავი ამცნო ევროპელებს: „რამოდენიმე წლის წინ ვინმე მეფემ და მღვდელმა იოანემ, რომელიც სპარსეთისა და სომხეთის მიღმა უკიდურეს აღმოსავლეთში ცხოვრობდა და რომელიც თავის ხალხთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელი იყო, ოღონდ ნესტორიანული ეკლესიის, შეებრძოლა სპარსეთისა და მიდიის მეფის ძმებს, შამიარდოდ წოდებულებს, დაიპყრო მათი სატახტო ქალაქი ეკბატანა, რომელიც ადრე მოვიხსენიეთ. ხსენებული მეფეები თავისი სპარსული, მიდიური და ასირიული ჯარებით შეებრძოლნენ მოწინააღმდეგეს. სამი დღის განმავლობაში გაუწიეს მათ წინააღმდეგობა, რადგან ორივე მხარეს სიკვდილი ერჩიათ გაქცევას. ბოლოს პრესბიტერმა (Presbyter) იოანემ, ასე უწოდებდნენ მას, აიძულა სპარსელები გაქცეულიყვნენ და გამარჯვებული დარჩა. როგორც შემდგომ ეპისკოპოსი მოგვითხრობს, ამ გამარჯვების შემდეგ ხსენებულ იოანეს უნდოდა იერუსალიმის ეკლესიას დახმარებოდა, მაგრამ ჯარმა სამგზავრო საშუალებების უქონლობის გამო ტიგროსზე გადასვლა ვერ შეძლო. ის ჩრდილოეთისაკენ გაემართა, რადგან მას მოახსენეს, რომ მდინარე იქ გაყინული იყო. მაშინ აქ მან რამდენიმე წელი დაჰყო, ელოდა რა ყინვების დადგომას, მაგრამ ამინდი კვლავინდებურად მისი გეგმებისათვის არახელსაყრელი რჩებოდა. ამასობაში, შეუჩვეველმა კლიმატმა მისი ბევრი ჯარისკაცის სიცოცხლე შეინირა, ასე რომ მეფე იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო თავის სამეფოში. ის მეფე სახარებაში მოხსენიებული მოგვების ჩამომავალია და იმავე ხალხზე მბრძანებლობდა, რომლებზეც თავის დროზე მოგვები მეფობდნენ. მისი დიდება და სიმდიდ-

---

[3] М. Заборов, Крестносцы на востоке, М., 1980, стр. 152-152.

რეც ისე დიდი ყოფილა, რომ იგი ერთი ზურმუხტის სკიპტრით სარგებლობდა. თავისი წინაპრების მაგალითმა, რომლებიც გზას გაუდგნენ, რათა აკვანში მყოფი ქრისტესათვის თაყვანი ეცათ, უბიძგა მას გაელაშქრა იერუსალიმზე, მაგრამ შექმნილი გარემოება აღნიშნულის განხორციელებას ხელს უშლიდა"[4].

XII ს. შუა ხანები განსაკუთრებით მძიმე გამოდგა მცირე აზიაში მყოფი ჯვაროსნებისათვის. როგორც აღვნიშნეთ, 1144 წელს მოსულის ათაბაგმა იმად ად-დინ ზენგიმ ჯვაროსნებს წაართვა ედესა. ედესის დაკარგვამ დიდი შეშფოთება გამოიწვია როგორც სირია-პალესტინაში მყოფ ევროპელებში, ასევე თვით ევროპაშიც. ევროპის ქვეყნებში დაიწყო დიდი მზადება დაკარგული ედესის დასაბრუნებლად და ახალი მინების დასაკავებლად. სწორედ ჯვაროსნული მოძრაობის ახალი ტალღის აგორებას ემსახურებოდა სირიის ეპისკოპოსის ელჩობა რომის პაპთან. აღსანიშნავია, რომ მოსულის ათაბაგი იმად ად-დინ ზენგი ედესის აღებით აღარ კმაყოფილდებოდა და განადგურებით ემუქრებოდა სირია-პალესტინაში არსებულ სხვა ჯვაროსნულ სამეფო-საგრაფოებს. სწორედ ამ დროს, სირიის ეპისკოპოსის მიერ ჩატანილმა ცნობამ აღმოსავლეთში მყოფი უცხო ქრისტიანი მეფის შესახებ და მისგან მოსალოდნელი დახმარების სურვილმა აღფრთოვანება გამოიწვია ევროპელებში.

მიუხედავად ამ მოსალოდნელი დახმარებისა, ევროპელთა იმედები არ გამართლდა. გადიოდა წლები, მაგრამ არსად ჩანდა იოანე პრესვიტერის ძლევამოსილი არმია. ამასობაში კიდევ უფრო ძლიერდებოდა მუსულმანთა რევანშის საფრთხე. ჯვაროსნები კვლავ მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, მაგ-

---

[4] G. Oppert, "Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte". Ein Beitrag zur Voelker-und Kirchenhistorie und zur Heldendichtung des Mittelalters, Berlin, 1864, გვ. 13-16.

რამ მიუხედავად იმედგაცრუებისა, ეს ამბავი იოანე პრესვიტერისა იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა აღმოსავლეთში მყოფი ევროპელებისა და სხვა ქრისტიანი თუ არაქრისტიანი ხალხების წარმოდგენაში, რომ მან საუკუნეებს გაუძლო.

იოანე პრესვიტერის შესახებ ჯერ კიდევ რეალური ისტორია, გავრცელებული XII ს. შუა ხანებში, შემდგომში ლეგენდარული და ზღაპრული ფერებით შეიმოსა. XII ს. მეორე ნახევრიდან წერილობითი წყაროები იოანეს სამშობლოდ ინდოეთსა და ეთიოპიას ასახელებენ. მისი მმართველობის ზღაპრულ ფერებში წარმოსახვას ხელი შეუწყო ჩვენამდე მოღწეულმა წერილმა, რომელიც ცნობილია, როგორც იოანე პრესვიტერის ეპისტოლე. ეს წერილი გაეგზავნათ რომის პაპ ალექსანდრე III-ს, ბიზანტიის კეისარ მანუელს, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო VII-ს, გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხს და ასევე პორტუგალიის მეფეს[5]. ჩვენამდე კი მოაღწია მხოლოდ ბიზანტიის კეისრისადმი გაგზავნილმა ეპისტოლემ. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა აზრით, ეს ეპისტოლე ფალსიფიკაციას წარმოადგენს და საეჭვოა, რომ იგი იოანე პრესვიტერის მიერ იყო შედგენილი, მისი მნიშვნელობა ამ საკითხის კვლევისათვის ძალიან დიდია[6]. წერილი თარიღდება 1165 წლის ახლო ხანებით და იგი მოღწეულია ბერი ალბერიხის ქრონიკებში, სა-

---

[5] პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ძეგლი მთლიანი სახით, თავისი კომენტარებით და შესწორებებით გამოაქვეყნა გ. ოპერტმა. G. Oppert, დასახ. ნაშრომი გვ. 26-50. ამ ძეგლის გარშემო იხილეთ აგრეთვე: Fr. Zarncke, "Der Priester Johannes", Erste Abhandlung, Enthaltend Capitel I, II, und III, Mitglied des KCL. Sächs Cesellsch. Der Wissenschaften. Leipzig 1879. Fr. Kampers. Vom Werdegange der Abendländischen Kaisermystik. Leipzig. 1924, L. Olschki. "Der brief des Presbyters Iohannes". Historische Zeitschrift. Begründet von Heinrich von Sybel. München und Berlin. 1931.

[6] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 25; Fr. Zarncke, დასახ. ნაშრომი; Л. Н. Гумилев, В поисках вымышленного царства, Санкт-Петербург, 1994.

დაც აღნიშნულია, რომ 1165 წელს „პრესბიტერმა იოანემ – ინდოეთის მეფემ თავისი წერილები გაუგზავნა სხვადასხვა ქრისტიანული ქვეყნების მმართველებს, კერძოდ, კონსტანტინოპოლის თავადს – მანუელს, რომის კაიზერს – ფრიდრიხს, ასევე პაპ ალექსანდრე III-ს, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო VII-ს და პორტუგალიის მეფეს[7].

ამ ეპისტოლეში იოანე პრესვიტერი წარმოდგენილია მიწიერი სამოთხისა და ფაქტიურად, მთელი აღმოსავლეთის მბრძანებლად, რომელსაც ემორჩილება 72 მეფე, აღემატება დედამიწაზე ყველას თავისი ძლევამოსილებით, სიმდიდრით, სათნოებით და ღვთის სიყვარულით. მისი სამფლობელოები გადაჭიმულია სამ ინდოეთზე... იგი არის მბრძანებელი გოგისა და მაგოგის ხალხებისა, რომლებიც თავის დროზე დიდმა ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა და მთებში ჩაკეტა... მას ყოველ თვე ემსახურება 7 მეფე, 62 ჰერცოგი, 265 გრაფი და მარკიზი...[8]

საკმაოდ ჭრელი ფერებითაა დახატული იოანეს სამფლობელოების ფლორა და ფაუნა, აქ საუბარია არამიწიერ და ფანტასტიკურ ცხოველებზე, მცენარეებზე, სამოთხის ბაღებზე, პირდაპირ არის მითითებული, რომ ეს ბაღები მის სამფლობელოებს ეკვრის და სამოთხემდე, საიდანაც გამოძევებული იქნა ადამი 3 დღის სავალია. აღწერილია იოანეს სასახლე, რომელიც უძვირფასესი ქვებისაგან არის აგებული და მას ემსახურება უამრავი მოხელე[9].

არსებობს ამ ეპისტოლეს ინგლისური, ფრანგული, იტალიური ვერსიები, რომლებიც ლათინურიდან ითარგმნა და იმდენად პოპულარული იყო, რომ შემდგომში გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა წარმოდგენებში – ითარგმნა

---

[7] Chronicon Alberici, T. II, ციტირებულია გ. ოპერტის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 25-26.

[8] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 25-50.

[9] იქვე.

სერბულად, რუსულად და რუსულიდან ქართულად XVIII ს. I ნახევარში. იგი თარგმნა არჩილ მეფემ, შემდეგ კი – პეტრე ჩხატარაისძემ „ალექსანდრიანის" სახელწოდებით გალექსა[10].

როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, ამ წერილის გაგრძელებას წარმოადგენს რომის პაპის ალექსანდრე III-ის წერილი იოანე პრესვიტერისადმი. მასში ასახულია იოანეს ქებადიდება, თავდადება ქრისტიანობისადმი, მისი სამოციქულო საქმიანობა. იგი ამ წერილში დასახელებულია „უწმინდეს მღვდლად", ინდოეთის განთქმულ და დიდებულ მეფედ, რომლის შესახებ, როგორც პაპი ამბობს, ყველაფერი გაიგო მისი პირადი ექიმის ფილიპისაგან. სწორედ მას ევალება ამ წერილის წაღება და ელჩობა იოანესთან. ამ წერილში პაპი პირდება იოანეს, რომ მისცემს უფლებას, რათა მან ააშენოს ეკლესია რომში და მიავლენს წმინდა მამებს მის სამეფოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად. ალექსანდრე III-ის ეს წერილი თარიღდება 1177 წლით. როგორც ვიცით, პაპის მიერ გაგზავნილი ელჩობის ბედი უცნობია. მიაღწია თუ არა ფილიპე მაგისტროსის ელჩობამ იოანეს სამეფოს და რა ბედი ეწია მას და პაპის წერილს, საიდუმლოებით არის მოცული[11].

ამასობაში მცირე აზიაში მყოფ ჯვაროსნებს კრიტიკული პერიოდი დაუდგათ. II ჯვაროსნულმა ლაშქრობამ (1147-1148) შედეგი ვერ გამოიღო. ედესა კვლავ დარჩა მაჰმადიანთა ხელში. ამ ლაშქრობაში მონაწილე გერმანიის იმპერატორ კონრად III-ის და საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო VII-ის არმიებმა წარმატებებს ვერ მიაღწიეს. მეტიც, მოგვიანებით, 1187

---

[10] შ. რევიშვილი, „საქართველო გერმანულ თქმულებაში იოანე პრესბიტერზე (XI-XVI სს.)", ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე, თბ., 1987, გვ. 55; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 262-264.

[11] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 50-54; შ. ბადრიძე, „ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელზე და დემეტრე პირველზე", კრ. XII, საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, ტ. 125.

წელს ეგვიპტის სულთანმა სალაჰ ად-დინმა ევროპელებს წაართვა იერუსალიმი და კიდევ უფრო გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა ისინი. თითქოს დავიწყებას მიეცა იოანე პრესვიტერის ამბავი. მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად ევროპელთა წარმოდგენაში შემოაბიჯა აღმოსავლეთში მცხოვრებმა და შემდგომში ლეგენდად ქცეულმა მეფემ. დახმარება არსაიდან ჩანდა. იერუსალიმის დასახსნელად წარმოებულმა III ჯვაროსნულმა ლაშქრობამ მცირე ლოკალური წარმატებების გარდა არავითარი შედეგი არ მოიტანა. აქ ნათლად გამოჩნდა ევროპის ქვეყნების მეფეების, ბიზანტიის იმპერატორისა და ჯვაროსნული სამეფო-საგრაფოების მმართველთა შორის არსებული უნდობლობა და დაპირისპირება, რაც საერთო საქმეს ზიანს აყენებდა. მიუხედავად ამ ლაშქრობის ერთ-ერთი ძლევამოსილი მონაწილის რიჩარდ ლომგულის რიგი წარმატებებისა, იერუსალიმი და სხვა დაკარგული ტერიტორიები კვლავ მტრის ხელში რჩებოდა[12].

იოანე პრესვიტერზე გავრცელებული თქმულებების ახალი ეტაპი XIII საუკუნის დასაწყისიდან იწყება. ამ დროს შორეული აღმოსავლეთიდან უცხო მეომარი ტომები გამოჩნდნენ, რომელთა შესახებ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებმა ფაქტიურად არაფერი იცოდნენ. როდესაც ეს უცხო მეომრები – მონღოლები ევროპელთა მაშინდელი გეოგრაფიული წარმოდგენის არეალში შემოვიდნენ, კერძოდ, შუა აზიაში, მაშინ დაიბადა თავდაპირველი ყალბი წარმოდგენა მათზე. მონღოლებმა ისეთი საშინელი რისხვა დაატეხეს თავს აზიის მაჰმადიან მოსახლეობას, რომ ევროპელებში თუ სხვა ქრისტიან ხალხებში (გავიხსენოთ ქართველთა წარმოდგენა მონღოლებზე: რუსუდანის წერილი რომის პაპისადმი მიწერილი

---

[12] Эпоха крестовых походов, под редакцией Э. Лависса и А. Рамбо, Изд. «Полигон», АСТ Санкт-Петербург, 1999; Б. Куглер, დასახ. ნაშრომი, М. Заборов, დასახ. ნაშრომი; Walter Zöllner, Geschichte der Kreuzzüge, Berlin, 1990.

1123 წელს) გაჩნდა იმედი იმისა, რომ სწორედ მონღოლთა მრისხანე ძალა იყო იოანე პრესვიტერის ძლევამოსილი არმია, რომელსაც დიდი ხანია ელოდნენ სირია-პალესტინაში მყოფი ჯვაროსნები. თუმცა, მალე თვითონაც დარწმუნდნენ, რომ მომთაბარე მონღოლებს არაფერი ჰქონდათ საერთო ჯვაროსნულ იდეებთან. მაგრამ ევროპის ქვეყნების უმაღლეს წრეებში თუ რომის პაპის კარზე მაინც გაჩნდა იმედი იმისა, რომ მიუხედავად მონღოლთა ველურობისა, მათი ძალა გამოეყენებინათ მაჰმადიანთა წინააღმდეგ საბრძოლველად. რომის პაპები საგანგებო მისიებს გზავნიდნენ შორეულ აღმოსავლეთში, ევროპელთათვის ჯერ კიდევ უცნობ მხარეებში. ამ ელჩობებს დავალებული ჰქონდათ შეესწავლათ მონღოლთა ყოფა, გაერკვიათ თუ რა სარწმუნოების მიმდევარნი იყვნენ და რამდენად შეიძლებოდა მათი ქრისტიანობაზე მოქცევა და გამოყენება ჯვაროსნული მიზნებისათვის. ამავე დროს, ამ მისიებს დავალებული ჰქონდათ მოეძებნათ იოანე პრესვიტერის სამფლობელოები და მასზე ცნობები შეეგროვებინათ. სწორედ ამ დავალების შესრულებას ემსახურებოდნენ პლანო კარპინის (1245-47), გიიომ რუბრუკვისის (1253-56), მარკო პოლოს (1271-1295)[13], იოანე მონტეკორვინოს და სხვათა ცნობილი მოგზაურობანი აღმოსავლეთში. სწორედ ამ მოგზაურთა ჩვენებებიდან წამოვიდა იოანე პრესვიტერის ინდოელობის, კერაიტობის, ყარახატაელობის თუ ეთიოპელობის თეორიები[14].

მოგზაურთა ცნობების მიხედვით ინდოეთი რამდენიმე კუთხედ-ზონადაა დაყოფილი. მარკო პოლო შუა ინდოეთს აბისინიას (ეთიოპიას) უწოდებს და მეორე ინდოეთად მოიხსე-

---

[13] Джованни дель Плано Карпини, История монголов; Гильом де Рубрук, Путешествие в восточные страны; Книга Марко Поло. Вступительная статья, комментарии М. Б. Горнунга, 1997.

[14] Дж. дель Плано Карпини, დასახ. ნაშრომი, გვ. 46, 60-61; Г. де Рубрук, დასახ. ნაშრომი, გვ. 114; Марко Поло, დასახ. ნაშრომი, გვ. 84-87, 94, 182, 205-207.

ნიებს, რაც შეეხება პლანო კარპინის, ისიც იოანე პრესვიტერის მეზობელ ქვეყნად მცირე ინდოეთს მოიაზრებს და მის მაცხოვრებლებს ეთიოპელებს, ანუ შავ სარაცინებს უწოდებს, ხოლო დიდ ინდოეთს – იოანეს სამშობლოდ მიიჩნევს. ჯვაროსანთა თუ ევროპელთა წარმოდგენა ინდოეთს და ეთიოპიას ხშირად ერთმანეთში ურევდა და ამ ორ ქვეყანას ერთ სამეფოდ მოიაზრებდა. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, მათი წარმოდგენით, ინდოეთი სამ ნაწილად იყოფოდა – ეთიოპიად, მიდიად და აღმოსავლეთის უკიდურეს მხარედ, რომლის შესახებაც მათ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. საერთოდ, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, პლანო კარპინისა და მარკო პოლოს ამ შეხედულებებმა გაავრცელა აზრი მცირე ინდოეთის ეთიოპიად მიჩნევის შესახებ[15].

პლანო კარპინი გვაწვდის ინფორმაციებს ჩინგის-ხანის ხელისუფლებაში მოსვლისა და მისი ლაშქრობების შესახებ: „როდესაც ჩინგისი ძალიან გაძლიერდა, ნაიმანებმა, რომლებსაც ადრე ჰყავდათ ძლიერი იმპერატორი, გადაწყვიტეს შებრძოლებოდნენ ჩინგისს. ამ იმპერატორს ადრე მრავალი ხალხი უხდიდა გადასახადს, მათ შორის – თათრებიც. იმპერატორის სიკვდილის შემდეგ მისი შვილები ერთმანეთს ებრძოდნენ და ამიტომაც სუსტი მმართველები იყვნენ. ნაიმანებმა მოიმხრეს ყარა-კიტაიელები, მაგრამ ჩინგისმა ისინი დაამარცხა და დაიმონა"[16]. ეს ისტორია ძალიან ჰგავს სხვა მოგზაურთა გადმოცემებს იოანე პრესვიტერისა და ჩინგის-ხანის დაპირისპირების შესახებ, თუმცა პლანო კარპინი იოანე პრესვიტერზე ცალკე ისტორიას გადმოგვცემს, როცა იგი ეხება ინდოეთში ჩინგის-ხანის ლაშქრობების ამბავს: „როდესაც ჩინგის-ხანმა დაიმორჩილა მეზობელი ხალხები და ჩინეთის სამეფო, იგი თავის სამფლობელოში დაბრუნდა, ხოლო თავისი ვაჟი გააგზავ-

---

[15] ამ საკითხებზე ვრცელი მსჯელობა აქვს გ. ოპერტს დასახელებულ ნაშრომში, გვ. 4-6.

[16] Дж. Дель Плано Карпини, დასახ. ნაშრომი, გვ. 43-44.

ნა მცირე ინდოეთის დასაპყრობად[17]. აქ ცხოვრობდნენ შავი სარაცინები, რომლებსაც ეწოდებოდათ ეთიოპელები. მონღოლთა ჯარები შეებრძოლნენ ქრისტიანებს, რომლებიც ცხოვრობდნენ დიდ ინდოეთში. როდესაც ამ ქვეყნის მეფემ იოანე პრესვიტერმა[18] ეს გაიგო, გამოვიდა მათ წინააღმდეგ. მან დიდ ძალებს მოუყარა თავი და აიძულა თათრები გაქცეულიყვნენ[19].

პლანო კარპინი ჩამოთვლის ქვეყნებს, რომლებიც თათრებმა დაიპყრეს და მათ შორის მოხსენიებულია: ყარაკიტაი[20], ნაიმანები, ნესტორიანელები, მცირე ინდოეთი ანუ ეთიოპია და სხვ. რაც შეეხება დიდ ინდოეთს, ავტორს იგი მოხსენიებული ჰყავს იმ ქვეყნებისა და ხალხების გვერდით, რომელთა დაპყრობაც ვერ შეძლეს თათრებმა დიდი წინააღმდეგობის გამო[21].

გიიომ რუბრუკვისი ყარაკიტაიელებზე (ყარახატაელები) გადმოცემისას აღნიშნავს, „როდესაც ფრანკებმა ალყა შემოარტყეს ანტიოქიას (1098 წელს). თურქებმა გააგზავნეს

---

[17] მ. გორნუნგის აზრით, ეს მცირე ინდოეთი, როგორც ჩანს, არის ჯალალ ად-დინის სამეფო, რომლის წინააღმდეგ გამოვიდა ჩინგისის ერთ-ერთი უმცროსი ვაჟი. მონღოლებმა დაამარცხეს ჯალალ ად-დინი მდინარე ინდთან. გვ. 384.

[18] ვ. ბარტოლდის აზრით, აქ საუბარია კერაიტებზე, რომლებშიც გავრცელებული იყო ნესტორიანელობა, გვ. 385.

კერაიტები – ერთ-ერთი მონღოლური ტომი, რომლებმაც საკუთრივ მონღოლეთში შექმნეს ადრეფეოდალური სახელმწიფო, თუმცა ზოგიერთ მკვლევარს საეჭვოდ მიაჩნია კერაიტთა მონღოლური წარმომავლობა. გვ. 385.

[19] Дж. Дель Плано Карпини, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

[20] შენიშვნებში: ყარაკიტაი – შავი ჩინეთი, ყარაკიტაელებს უწოდებდნენ ხალხს, რომელიც ცხოვრობდა სამხრეთ მანჯურიაში. XII საუკუნეში ყარაკიტაიელები მანჯურიიდან გამოდევნეს და გადასახლდნენ ისინი დასავლეთით. შემდეგ მათ დაიპყრეს აღმოსავლეთ თურქისტანი, ხორეზმი და დააარსეს სახელმწიფო, ისტორიაში სახელწოდებით ყარაკიტაი. გვ. 384.

[21] იქვე, გვ. 60-61.

თხოვნა კონ-ხამთან[22] (Кон-хам), რათა დახმარებოდა იგი მათ ლათინების წინააღმდეგ ბრძოლაში. კონ – ეს არის საკუთარი სახელი, ხოლო ხამ – ნიშნავს ღირსებას, ესე იგი, ის იგივეა, რაც „განმანათლებელი". ყველა განმანათლებელს უწოდებენ ხამს. აქედან მათ მმართველებს აქვთ ტიტული ხამი[23], რადგან ისინი თავისი ხალხის სათავეში მოდიან როგორც „განმანათლებლები". ეს კონ-ხამი იყო ყარახატაელი, რაც ნიშნავს „შავ ხატაის". და ასე ისინი გამოთქვამენ თავიანთი ტომების შესახებ და იმ ხატაელებისაგან გამოსარჩევად, რომლებიც ცხოვრობდნენ აღმოსავლეთში ოკეანესთან, რომელთა შესახებ მე მოგიყვებით მოგვიანებით"[24]. შემდეგ რუბრუკვისი აგრძელებს: „ეს ხატაელები ცხოვრობდნენ იმ მთებში, რომლის გავლაც მე მომიხდა და ერთ-ერთ დაბლობზე მთებს შორის ცხოვრობდა ერთი მწყემსი ნესტორიანელი, რომელიც იყო ძლევამოსილი და თავის ხალხზე მბრძანებელი, სახელით ნაიმანი და ეს ხალხიც მისდევდა ნესტორიანელობას. კონ-ხამის სიკვდილის შემდეგ ამ ნესტორიანელმა მეფობა მიისაკუთრა და ნესტორიანელები მას ეძახდნენ მეფე იოანეს და ბევრ ისტორიას მიაწერდნენ, ვიდრე იყო სინამდვილეში. მე გავიარე მისი სამფლობელოები და მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, გარდა რამდენიმე ნესტორიანელისა. ამ იოანეს ჰყავდა ძმა, სახელად უნკი და ცხოვრობდა ყარაკიტაიელებთან მთებში და ფლობდა პატარა ქალაქს, სახელით ყარაყორუმი. მის სამფლობელოსთან ცხოვრობდნენ მოალები (მონღოლები). მეფე იოანე მოკვდა მემკვიდრის გარეშე, ხოლო მისი ძმა უნკი გამდიდრდა და

---

[22] კონ-ხამი – განმარტავენ როგორც გურ-ხანს, რომელიც ნიშნავს „უდიდეს ხანს" ან „საყოველთაო ხანს". ეს ტიტული 1125 წელს მიიღო ყარაკიტაიელების სახელმწიფოს დამაარსებელმა იელიუდაშმა.

[23] საერთოდ რუბრუკვისი და პლანო კარპინი ერთმანეთში ხშირად ურევენ „ხამ"-ს და „ხან"-ს. ხამი-ხანი.

[24] Г. Де Рубрук, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

მოითხოვა, რომ ეწოდებინათ მისთვის ხანი. ამ დროს მოალებში ცხოვრობდა ერთი ხელოსანი ჩინგისი. იგი იპარავდა უნკის საქონელს. უნკ-ხანის მწყესმებმა იჩივლეს პატრონთან. უნკხანი თავისი ჯარით გაემართა მოალების ქვეყანაში, მაგრამ ჩინგისი გაიქცა თათრებთან. უნკმა აიღო ნადავლი მოალებისაგან და უკან დაბრუნდა. ჩინგისი შეპირდა მოალებს და თათრებს, რომ თუ აირჩევდნენ წინამძღოლად, გაათავისუფლებდა მათ მეზობელთა თარეშისაგან. ჩინგისი აირჩიეს წინამძღოლად, მან შეკრიბა ჯარები და გაემართა უნკისაკენ. უნკი დამარცხდა და გაიქცა ხატაიში. ჩინგისს ხელში ჩაუვარდა უნკის ქალიშვილი, რომელიც მიათხოვა თავის ერთ-ერთ ვაჟს. აქედან მოდის შემდგომში მანგუს დინასტია"[25].

როგორც ვხედავთ, გიიომ რუბრუკვისი გვაწვდის ცნობებს იოანე პრესვიტერისა და მისი მემკვიდრეების შესახებ, რომლებიც დაამარცხა ჩინგის-ხანმა.

გ. ოპერტი აღნიშნავს, რომ რუბრუკვისის ცნობაში აღწერილია ყარაკიტაის მმართველის კორ-ხანის ისტორია, რომელიც უკვე გარდაცვლილი იყო და იქ სახლობდნენ ნესტორიანელი ქრისტიანები. მოგზაურის გადმოცემიდან ჩანს, რომ იოანეს სამფლობელოების მრავალი მხარე მოოხრებული იყო და მის შესახებ ხსოვნა აღარ არსებობდა ხალხში, რადგან თათრებმა და მონღოლებმა გააჩანაგეს ყველაფერი თავიანთი გამანადგურებელი თავდასხმებით[26].

გიიომ რუბრუკვისის გადმოცემებს ფაქტიურად იმეორებს XIII საუკუნის ინგლისელი სწავლული როჯერ ბეკონი, როცა იგი აღწერს კორხანის, იოანე პრესვიტერის, მისი ძმის უნკისა და ჩინგის-ხანის ბრძოლების ისტორიას. აღნიშნავს, რომ იოანე იყო ნაიმანების მეთაური. იგი თავის ნაშრომში მოიხსენიებს რუბრუკვისის საქმიანობას, მისი მოგზაურობის

---

[25] Г. Де Рубрук, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.
[26] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 60-61.

ფრაგმენტებს[27].

მარკო პოლო ყარაყორუმის აღწერაში მოგვითხრობს, რომ „როდესაც თათრები გაძლიერდნენ და გამრავლდნენ, შეშფოთდა ძალიან მეფე იოანე, რომელსაც ისინი ხარკს უხდიდნენ. მან გადაწყვიტა განედევნა თათრები დაკავებული ტერიტორიებიდან. ამ ცნობამ ააღელვა თათრები და ამის შემდეგ ისინი აღარ უხდიდნენ ხარკს იოანეს... 1187 წელს თათრებმა აირჩიეს მეფე, რომელსაც ერქვა ჩინგის-ხანი, რომელიც იყო ძალიან მამაცი და ძლიერი. როცა იგი აირჩიეს, ყველა მხრიდან მოგროვდნენ მის გარშემო თათრები. მან გააგზავნა 1200 წელს იოანესთან ელჩები, რათა ეცნობებინა მისთვის, რომ ცოლად უნდოდა მისი ქალიშვილი. იოანე გაბრაზდა და უთხრა ელჩებს, რომ არ გაატანდა ცოლად თავის ქალიშვილს, რადგან ჩინგის-ხანი მისი მონამორჩილი იყო და ელჩები უარით გაისტუმრა. ჩინგის-ხანმა, როდესაც გაიგო იოანეს პასუხი, დაიფიცა, რომ ანანებდა ამ სიტყვებს მას და შურს იძიებდა. მან შეკრიბა ჯარი და გაემართა იოანესთან საბრძოლველად. როდესაც იოანემ ეს შეიტყო, მოუწოდა თავის ლაშქარს საბრძოლველად. მოწინააღმდეგეები ტანდუკის ველზე შეხვდნენ ერთმანეთს. ჩინგის-ხანმა ომის წინა დღეს თავის ვარსკვლავთმრიცხველებს მიმართა, რომელთა შორის ქრისტიანებიც იყვნენ და მათ უწინასწარმეტყველეს, რომ იგი

---

[27] როჯერ ბეკონი (1214-1292) – ინგლისელი სწავლული, მოაზროვნე. მიიღო განათლება ოქსფორდისა და პარიზის უნივერსიტეტებში. იყო ფრანციისკანელთა ორდენის ნევრი. მოგვცა ბრწყინვალე ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება ევროპის, აზიის, აფრიკის კონტინენტისა. აქვს ცნობები კავკასიისა და საქართველოს შესახებ. მან შეკრიბა და გადაამუშავა პლანო კარპინისა და გიიომ რუბრუკვისის ცნობები და ამასთან დაკავშირებით მოგვცა აზიის გეოგრაფიული აღწერილობა. ამან კიდევ უფრო მეტი ღირებულება შესძინა მის ნაშრომს. ლიტ. В. И. Матузова. Английские средновековые источники IX-XIII в.в. тексты, перевод, коментарий. Изд. «Наука», М., 1979, стр. 216-217.

დაამარცხებდა იოანეს. მეორე დღეს ორივე მხარე შეება ერთმანეთს და ამ ბრძოლაში ჩინგისმა მოკლა იოანე. ჩინგის-ხანმა თავის შვილს შერთო იოანეს ქალიშვილი და შემდგომში, გადმოცემით, მონღოლი უფლისწულები ტრადიციით იოანეს ჩამომავლობის ქალიშვილებზე ქორწინდებოდნენ[28].

რაც შეეხება იოანე პრესვიტერის სამფლობელოებზე ცნობებს, მარკო პოლო აღნიშნავს, რომ მისი ჩამომავლები ცხოვრობენ ტენდუკის[29] მხარეში. ეს მხარე ეკუთვნის დიდ ხანს, ხოლო იოანეს ჩამომავლები მას ემორჩილებიან. მთავარი ქალაქია ტენდუკი. მეფე იოანეს ჩამომავალს ეწოდება გეორგი[30]. დიდი ხანები თავიანთ შვილებს აქორწინებენ იოანეს ჩამომავლობის ქალიშვილებზე. ეს გეორგი მეექვსე მეფეა იოანე პრესვიტერის შემდეგ. ამ ადგილს ჩვენთან ეწოდება გოგი და მაგოგი[31], აქ კი – უნ და მოგული. ყველა მხარეში თავისი ხალხია. უნში ცხოვრობს გოგის ხალხი და მოგულში – თათრები[32].

იოანე პრესვიტერის მივიწყებული სახე, XIII საუკუნეში დაკავშირებული იქნა ვინმე დავით მეფესთან. რუდოლფ კო-

---

[28] Книга Марко Поло, გვ. 84-87.

[29] ტენდუკი – Canduc, ტიან-დუხი. რაშიდ-ედ-დინი ასეთი სახელწოდებით იხსენიებს ქვეყანას ონგუტების მხარეში, რომლებიც ცხოვრობდნენ მდინარე ხუანხესთან და დიდ კედელთან.

[30] მეფე გეორგიზე, როგორც იოანეს ჩამომავალზე, ცნობებს გვაძლევს ასევე მისიონერი იოანე დე მონტე-კორვინო XIV ს. დასაწყისში.

[31] გოგი და მაგოგი – ეზეკიელთან ძველ აღთქმაში საუბარია იმ დღეზე, რომელიც დადგება გოგის მოსვლის დროს და მოხდება დიდი მინისძვრა. მაგოგი მოხსენიებულია ბიბლიაში, როგორც შვილი იაფეტისი, ქრისტიანულმა ლეგენდამ გოგის მოსვლა დაუკავშირა საშინელ სამსჯავროს, ხოლო მაგოგი მოხვდა გოგის სამყაროში, როგორც თანადამთხვევა სახელებისა. გოგი და მაგოგი შუა საუკუნეების მუსულმან ავტორებთან იხსენიებიან, როგორც იაჯუჯი და მაჯუჯი და მათ ეს ქვეყანა ზოგჯერ გადააქვთ აღმოსავლეთ აზიაში.

[32] Книга Марко Поло, გვ. 94.

გეშალეს ქრონიკით ვიგებთ, რომ „1221 წელს მთელ საქრისტიანოში ხმა გავრცელდა, რომ დავით მეფე, რომელიც იოანე მეფე–მღვდლად (პრესბიტერი) იწოდება, თავისი ჯარით დაიძრა ინდოეთიდან და გაანადგურა მიდიელები და სპარსელები[33].

ჟაკ დე-ვიტრის 1221 წლის წერილში რომის პაპ ჰონორიუს III-სადმი აღნიშნულია, რომ ინდოეთის მეფის – დავითის ჯარები 15 დღის სავალზე იდგნენ ანტიოქიიდან და მოიჩქაროდნენ წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად და წმინდა სამეფოს აღსადგენად[34].

სხვა მემატიანეები დავითს იოანეს შვილად მიიჩნევენ და მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლ მმართველადაც ხატავენ.

ვინცენტიუსი თავის ნაშრომში „Speculum Historiale" გადმოგვცემს: „1202 წელს თათრებმა გამოამჟღავნეს თავისი ბარბაროსული ბუნება. ისინი დაუპირისპირდნენ თავის ბატონს – დავითს, პრესბიტერ იოანეს ვაჟიშვილს, ინდოეთის მფლობელსა და კაიზერს. მათ მოკლეს იგი, რომელსაც ისინი ხარკს უხდიდნენ წინა წლებში". ამ თხზულებაში საუბარია ჩინგის-ხანზე, რომელმაც ბრძოლაში დაამარცხა დავითი, მოკლა იგი, დაეუფლა მის სამეფოს და თათრები გაანთავისუფლა მისი ბატონობისაგან[35].

მსგავსი მოთხრობა აქვს მოცემული XIII საუკუნის დომინიკანელ ბერს სიმონ დე სენ კვენტინის[36] „თათართა ისტორია-

---

[33] ეს ცნობები პირველად გამოსცა რაინოლდ რორიხმა კრებულში Regesta Regni Hierosolymitani, Oeniponti 1893, მოცემული აქვს ზ. ავალიშვილს ნაშრომში - ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989, გვ. 108.

[34] Л. Н. Гумилев, В поисках вымышленного царства, Санкт-Петербург, 1994, стр. 155.

[35] ვინცენტიუსი, Vincentii Bellovacensis Speculum Historiale, 1494, p. 391, L. XXIX c. LXIX – აღებული გ. ოპერტიდან, გვ. 64-66.

[36] სიმონ დე სენ კვენტინი – დომინიკანელი ბერი. იგი იმყოფებოდა ასცელინის ელჩობაში 1247 წ., რომელიც რომის პაპის დავალებით შედგა მონღოლებთან. მისი ნაშრომის ორიგინალი დაკარგულია და

ში". იგი გადმოგვცემს: „ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1202 წელს თათრები თავისი ბატონის მოკვლის შემდეგ დასარბევად ხალხში გავიდნენ... მათ შეთქმულება მოაწყვეს თავისი მეფის – დავითის წინააღმდეგ, რომელიც ოდესღაც ინდოეთის ბატონის, იმპერატორის, ცხადია, პრესვიტერ იოანეს ვაჟი იყო... ადრე სათათრეთი ინდოეთის მეფის მორჩილი იყო და მას ქედმოხრილი უხდიდა ხარკს, სანამ ზემოთ დასახელებულმა მეფემ არ მოითხოვა ხარკი, ამასთან საფოსტო-სატრანსპორტო ბეგარა და არმიაშიც სამსახური დაუმატა. ისინი აღშფოთდნენ და დაიწყეს თათბირი, როგორ მოქცეულიყვნენ... ბოლოს ერთმა მათგანმა – ჩინგიზ-ხანმა ურჩია მათ, რომ მეფის ბრძანებას შეწინააღმდეგებოდნენ. ეს თათბირი ყველას მოეწონა და იგი ბატონად აირჩიეს. ისინი შეიარაღდნენ და მეფისკენ გაეშურნენ. მეფე დავითს კი, როცა მათი თავდასხმის ამბავი შეიტყო, კარგა ხანს არ დაუკარგავს მხნეობა. როცა ერთი მხრიდან მოიგერია´ლაშქარი, ახლა მეორე მხრიდან დაესხნენ თავს და ბოლოს მეფელ ოჯახთან ერთად ამოწყვიტეს. გადარჩა მეფის მხოლოდ ერთი ქალიშვილი, რომელიც ჩინგიზ-ხანმა ცოლად მოიყვანა და მისგან, როგორც ამბობენ, შვილები გააჩინა"[37].

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მოგზაურთა განსხვავებული ჩვენებებისა და ამავე დროს, იოანეს ადგილზე დავითის

ამ თხზულების ისტორიებმა მოაღწია დომინიკანელი ბერისა და მწერალ-ენციკლოპედისტის ვინსენტ დე ბოვეს ნაშრომში. როგორც დ. ნინიძე ვარაუდობს, სიმონის ეს ჩანაწერები დაახლოებით უნდა დათარიღდეს 1248 წლიდან. დ. ნინიძე, „სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა)", ქართული დიპლომატია, წელიწდეული, კრბ., ტ. 11. თბ., 2004, გვ. 456-461. სიმონ დე სენ კვენტინის ცნობებს საქართველოს შესახებ შეეხო ბ. ჯავახია, რომელიც მიიჩნევს, რომ შეიძლება მან თვითონაც იმოგზაურა საქართველოში. „ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ". კრბ. გივი ჟორდანიას 90 წლისთავისადმი მიძღვნილი „გივი ჟორდანია 90". თბ., 2001, გვ. 234.

[37] დ. ნინიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 465-466.

(Rex David) სახელის გაჩენისა, წყაროები ერთ საკითხში თანხმდებიან – იოანე პრესვიტერი, თუ მისი ჩამომავლები (ძმა, შვილები) დაამხო ჩინგის-ხანმა. მონღოლებმა-თათრებმა დაიკავეს მისი ქვეყანა და, როგორც გ. ოპერტი[38] ვარაუდობს, ამიტომაც დაუკავშირეს ევროპელებმა აღმოსავლეთიდან მოსული ეს ველური ტომები იოანე პრესვიტერის სახელსა და მის არმიას.

რაც შეეხება იოანე პრესვიტერის ეთიოპელობას, ეს მოსაზრებაც დაახლოებით იმ ეპოქაში ვრცელდებოდა. აქ უნდა გავიხსენოთ მარკო პოლოს მონათხრობი ინდოეთის გეოგრაფიული აღწერილობისა და მისი მხარეებად დაყოფის შესახებ. ინდოეთის აღწერაში მოგზაური აღნიშნავს, რომ ცეილონიდან დასავლეთით სამოც მილზე მდებარეობს დიდი ოლქი მააბარი, ეწოდება მას დიდი ინდოეთი. ეს არის საუკეთესო მხარე ინდოეთისა. ამ მხარეში ხუთი მეფეა[39].

აბასიის (აბისინიის) აღწერაში მარკო პოლო აღნიშნავს, რომ აბასია ეს არის შუა ინდოეთის დიდი ნაწილი. ამ მხარეში ყველაზე ძლიერი მეფე ქრისტიანია, რომელსაც ემორჩილებიან ქრისტიანი და სარაცინელი მმართველები. ისინი ექვსნი არიან: სამი ქრისტიანი, სამი სარაცინელი. დიდი მეფე ცხოვრობს ამ ქვეყნის შუაგულში, ხოლო სარაცინები (მაჰმადიანები) კი – ადენის მხარეში. ამ მხარეში თავის მოციქულებრივ საქმიანობას ეწეოდა წმინდა თომა. მას შემდეგ, რაც წმინდა თომამ მოაქცია ხალხი, წავიდა იგი მააბარის[40] მხარეში და იქ მოკვდა (ე. ი. – დიდ ინდოეთში. იოანე პრესვიტერის ეპისტოლეს მიხედვითაც თომა მოციქულის ნეშტი მის სამეფოში – ინდოეთში განისვენებს).

...1288 წელს ამ ქრისტიან მეფეს უნდოდა იერუსალიმში

---

[38] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 75-76.

[39] Книга Марко Поло, გვ. 182.

[40] მააბარი – წმინდა თომას საფლავთან ახლოს იყო ქალაქი მაილაჰუმი, ამჯერად სენტ-ტომე, მადრასთან ახლოს.

წასვლა, რათა მოენახულებინა უფლის საფლავი, მაგრამ დიდებულებმა მას ეს არ ურჩიეს. ამიტომ მეფემ მოიწვია თავისთან ერთი ეპისკოპოსი, რომელიც ცნობილი იყო თავისი წმინდა ცხოვრებით და სთხოვა, რომ მის მაგივრად წასულიყო იერუსალიმში. ეპისკოპოსი დათანხმდა, წავიდა იერუსალიმში, მივიდა უფლის საფლავთან, ილოცა, თაყვანი სცა სიწმინდეებს და შემდეგ უკან დაბრუნდა. ...უკან დაბრუნებისას მივიდა ადენში[41], სადაც ცხოვრობდნენ სარაცინები, რომლებსაც სძულდათ ქრისტიანები. როდესაც ადენის სულთანმა გაიგო, რომ ეპისკოპოსი აბასიის მეფის წარგზავნილი იყო, შეიპყრო და დაემუქრა, რომ თუ მაჰმადიანობას არ მიიღებდა, პატივს აჰყრიდა მას. მაგრამ ეპისკოპოსმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, თუნდაც იგი სიკვდილით დაესაჯათ. სულთანი საშინლად განრისხდა და მისი ბრძანებით ეპისკოპოსი წინადაცვითეს, როგორც სარაცინელი. ამით უნდოდა დაეცინა სულთანს აბასიის მეფისათვის. დაბრუნდა შეურაცხყოფილი ეპისკოპოსი აბასიის მეფესთან. როდესაც მან შეიტყო სულთანის ვერაგობის ამბავი, საშინლად განრისხდა. შეკრიბა ლაშქარი და გაემართა ადენში შურის საძიებლად. შეშინებული სულთანი ციხეში ჩაიკეტა. დაეხმარნენ მას სხვა სარაცინელი მეფეები და ისინი იყვნენ სამნი და შეებრძოლნენ თავიანთი ჯარებით მეფეს. დიდი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ქრისტიანებს დარჩათ. აბასიის მეფემ აიღო ადენის ქალაქი და ქვეყანა დაიპყრო. ორი თვე დარჩა მეფე იქ და გამარჯვებული დაბრუნდა უკან. კმაყოფილი იყო მეფე ამ გამარჯვებით, რადგან შური იძია ეპისკოპოსის შეურაცხყოფისათვის[42].

---

[41] ადენი – მარკო პოლოზე წიგნის ავტორი, ცნობილი მეცნიერი ჯიუელი ფიქრობს, რომ მარკო პოლომ შეიძლება აურია ადენი ადელში. ასე ეწოდებოდა მხარეს აბისინიასა და ზღვას შორის. ადელის მხარე კონკრეტულად ეკუთვნის დღევანდელ ერითრეას ზღვისპირეთს. H. Jule, The Book of Ser Marco Polo, ed. 1903.

[42] Книга Марко Поло, გვ. 205-207.

ეს ისტორია უთუოდ გაგვახსენებს იოანე პრესვიტერის ლეგენდის არქეტიპს, ოტო ფონ ფრაიზინგის მიერ გადმოცემულს. ამიტომაც ხომ არ მოდის მარკო პოლოს ამ აღწერილობიდან იოანეს ეთიოპელობის თეორია, რომელმაც ცოტა მოგვიანებით XIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIV საუკუნეში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. მართალია, მარკო პოლოს მიერ აღწერილი ისტორია XIII ს. II ნახევარს ეხება და ავტორი ამ ამბავს 1288 წლით ათარიღებს, მაგრამ მიუხედავად მისი გვიანდელი ცნობისა (როგორც ვიცით, იოანე პრესვიტერის ლეგენდა XII ს. შუახანებიდან იღებს სათავეს), ეს ამბავი მეტად საინტერესოა. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იოანე პრესვიტერზე ამბების თხრობას მარკო პოლო ეხება ჩინეთის მხარეების აღწერისას და მისი მონღოლთათრებთან ურთიერთობის მომენტებს ასახავს. აქ კი სულ არ არის საუბარი იოანეზე, მაგრამ მაინც შეიძლება პარალელები დავინახოთ ამ ამბავსა და ლეგენდის უძველეს გადმოცემას შორის, რაც თავისთავად საყურადღებოდ გვეჩვენება. შემდგომში იოანეს ეთიოპელობის თეორია აიტაცეს პორტუგალიელებმა და XIV-XV სს. ექსპედიციებიც მოაწყვეს აბისინიაში იოანეს სამეფოს მოსაძებნად.

XIV საუკუნეში კოლომბოელი ეპისკოპოსი იორდანუსი მას ეთიოპიის მეფედ მიიჩნევს და ამ ეთიოპიას იგი არ ურევს ინდოეთის არც ერთ მხარეში, რომლის ერთი ნაწილი, როგორც ვიცით, ეთიოპიად მიიჩნეოდა. იგი კონკრეტულად ასახელებს არაბეთის დასავლეთით მდებარე ქვეყანას, რომელსაც როგორც მარკო პოლო აღნიშნავს, ქრისტიანი მბრძანებელი მართავდა და რომლის მემკვიდრეებმა თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს ევროპაში[43]. 1395 წელს მილანში იოჰან გალეაცოს ჰერცოგად კურთხევის დროს გამოჩნდა შიკრიკი ამ ეთიოპიელი იმპერატორისა, ამავე დროს, კერძოდ, პორტუგალია-

---

[43] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 6-7.

ში პრინც ჰაინრიხ ზღვაოსანის მეშვეობით ძალიან დაინტერესდნენ შორეული ქრისტიანული სამეფოთი. პორტუგალიელებს ინდოეთისაკენ ზღვით მოგზაურობის სურვილი გაუჩნდათ, მათ სურდათ ენახათ ლეგენდარული მეფის სამფლობელოები. XV საუკუნის ბოლოს პორტუგალიის მეფემ – იოანე II-ემ ექსპედიცია გააგზავნა აღმოსავლეთმცოდნეების პატრუს კოვილანიუსისა და ალფონს პაივას მეთაურობით. კოვილანიუსმა ეთიოპიაში ყოფნისას იხილა მბრძანებელი და მის შესახებ ცნობების შეგროვების შედეგად დაასკვნა, რომ მან ნახა სწორედ იოანე პრესვიტერი, რომელსაც დიდხანს ეძებდნენ და ეს სასიხარულო ცნობა გააგზავნა პორტუგალიაში[44].

რაც შეეხება ეთიოპია-აბისინიას, როგორც ვიცით, ის ინდოეთთან ერთად ითვლებოდა ქრისტეს მოციქულთა წილხვედრ ქვეყნად. აბისინიაში ქრისტიანობა უკვე IV ს. 40-იან წლებში მიიღო მეფის ხელისუფლებამ. შემდგომში, როდესაც არაბებმა დაიპყრეს ეგვიპტე, აბისინიასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობები ევროპელებისათვის და ბიზანტიელებისათვის შეიზღუდა, მაგრამ XIV საუკუნიდან ევროპელთა ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა ამ ქვეყნის, როგორც იოანე პრესვიტერის სამშობლოს მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ იოანეს ეთიოპელობის იდეა, განსაკუთრებით პოპულარული იყო პორტუგალიაში. პორტუგალიელი ზღვაოსნების ჩანაწერებში XV საუკუნიდან, ხშირად ვხვდებით ცნობებს იოანე პრესვიტერის სამფლობელოებზე და სახელდობრ, ცნობას, მისი აფრიკაში ძიების შესახებ.

აბისინიის სახელი აღრეული იქნა აფხაზეთის-აბაზგიის ისტორიულ-გეოგრაფიულ სახელწოდებასთანაც. 1407 წელს გერმანული ორდენის მაგისტრი კონრად ფონ იუნგინგენი წერილს სწერს იოანე პრესვიტერს – აბაზიის მეფეს – regi Abassiae, სადაც ცხოვრობდა აფხაზების ხალხი, რომელთა სახელი

---

[44] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 6-8.

აბისინიაში ერეოდათ. ასე რომ, XV საუკუნის ზოგიერთ რუკაზე დედამიწის ეს უბანიც, ე. ი. აფხაზეთიც, მოიაზრებოდა იოანე პრესვიტერის სამეფოდ[45].

XVII საუკუნეში ბალთაზარ ტეციუსმა[46] უარყო იოანეს ეთიოპელობის თეორია და აზიელი კერაიტელი (ყარაკიტაელი) თავადი – უნკხანი პრესვიტერად გამოაცხადა.

იოანე პრესვიტერის სახე რომ დიდხანს ცოცხლობდა ევროპელებში, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1530 წელს იმპერატორ კარლ V-ს და პაპ კლიმენტს ბოლონიაში ყოფნისას გადასცეს იოანე პრესვიტერის წერილები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ იგი ითვლებოდა აზიის უდიდეს მბრძანებლად, მოიქცა ქრისტიანად და აღიარებდა პაპის უზენაესობას. ამ ცნობის ავტორია იმპერატორ კარლ V-ის ბიოგრაფი ლუდოვიკო დოლჩე, რომელიც ამ ამბავს წერს 1561 წელს[47].

მიუხედავად იმისა, რომ იოანე პრესვიტერის გამოჩენიდან განვლო მთელმა ოთხმა საუკუნემ და ევროპელთა ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაწიერი ამ პერიოდში ძლიერ გაიზარდა, ამ მეფის სახე თვით დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროსაც ცოცხლობდა მათში. რ. ჰენიგის მოსწრებული თქმით, „თქმულებამ იოანე პრესვიტერზე, რომელიც ისტორიული რეალობიდან მოჩვენებასავით დადიოდა ოთხი საუკუნის განმავლობაში აბისინიიდან ინდოეთამდე და კავკასიამდე, დიდი სამსახური გაუწია შემდგომი პერიოდის უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენებს[48].

საუკუნეების მანძილზე წარმოებულმა კვლევა-ძიებამ ახალ ფაზაში გადაიყვანა ამ საკითხის კვლევა. უამრავმა წერილობითმა თუ ზეპირმა გადმოცემებმა მკვლევრებს ახალი

---

[45] R. Hennig, "Das Christentum im mittelalterlichen Asien und sein Einfluß auf die Sage vom "Prister Iohanes", გვ. 251-252.

[46] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[47] L. Olschki, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[48] R. Hennig, დასახ. ნაშრომი, გვ. 252.

მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალება მისცა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოგზაურთა, დესპანთა, ისტორიკოსთა თუ სხვა დაინტერესებულ პირთა ჩანაწერებმა, ამ იდუმალებით მოცული მეფისა და მისი სამეფოს ზუსტი ისტორიული სინამდვილე და ადგილსამყოფელი ვერ მოგვცა.

მაინც ვინ უნდა ყოფილიყო იოანეს პროტოტიპი, ვისი სახე იმალება ამ ლეგენდად ქცეული მეფის ნიღბის ქვეშ, რომელი ისტორიული მმართველის მოღვაწეობა დაედო საფუძვლად ამ თქმულებას? როგორც ვიცით, ასეთი მმართველი ამ ეპოქის არც ერთ მითითებულ მხარეში არ გვხვდება. მაინც რა იყო ამ ლეგენდის საფუძველი, რომელმაც შესძრა ევროპელთა რეალური თუ ნახევრადრეალისტური შეხედულებები აღმოსავლეთზე და ამ ლეგენდად ქცეულმა მეფის სახემ საუკუნეების მანძილზე იცოცხლა მათ წარმოდგენებში?!

ამ საკითხის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი გ. ოპერტი[49] აღნიშნავს, რომ ოტო ფრაიზინგი პირველი მწერალი იყო, რომელიც იოანეს პრესვიტერის სახელწოდებით მოიხსენიებდა. მეცნიერი ძირითად ყურადღებას უთმობს არა მარტო ზედწოდების ახსნას, არამედ პრესვიტერის იოანედ ქცევის ისტორიას. ამ სახელის გაშიფვრის შედეგად მიდის ის თავის ძირითად დასკვნებამდე იოანე პრესვიტერის პროტოტიპის აღმოჩენის საქმეში, ძირითად წყაროდ იყენებს ოტო ფრაიზინგის მიერ მოტანილ ცნობებს და უკავშირებს შუა აზიაში მიმდინარე მოვლენებს, რომელთაც ჰყავთ რეალური ისტორიული პირები. გ. ოპერტი აღნიშნავს, რომ პრესვიტერის ზედწოდების გაჩენა უკავშირდება ყველა ნესტორიანელი მწყემსი-მღვდლის პრესვიტერად მოხსენიებას. მკვლევარს დამოწმებული აქვს ცნობა შორეული აღმოსავლეთის ნესტორიანელებში არსებულ ტრადიციაზე, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგში: მათი ეპისკოპოსი, როცა ბავშვებს აკვანში აკურ-

---

[49] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 13-14.

თხებდა, ყველას პრისტერად-მღვდლად ნათლავდა[50].

გ. ოპერტმა ოტო ფრაიზინგის მიერ ნახსენები იოანე პრესვიტერის პროტოტიპად მიიჩნია 1141 წელს სამარყანდთან სპარსეთის სელჩუკთა დიდი სულთნის სანჯარის დამმარცხებელი ყარა-ხატაეთის (ყარაკიტაი) სახელმწიფოს ფუძემდებელი გიურხანი – იურხანი, ჩინურ წყაროებში ცნობილი იელიდაუში[51]. მისი სახელი წყაროებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება და ასევე, მის ეთნიკურ წარმომავლობაზეც განსხვავებული თვალსაზრისია. გ. ოპერტმა ნაშრომში ყურადღება გაამახვილა თქმულების არა მხოლოდ უძველეს წყაროზე – ოტო ფრაიზინგის ქრონიკაზე (1145 წ.), არამედ სხვადასხვა მოგზაურთა, საერო თუ სასულიერო პირთა და ისტორიკოსთა (ბენჟამინ ფონ ტუდელას, პლანო კარპინის, მარკო პოლოს, გიიომ რუბრუკვისის, ეპისკოპოს იორდანიუსის, პატრუს კოვილანიუსის, ალფონს პაივას, პაპ ალექსანდრე III-ის, ვინცენტიუსის და სხვ.) მონაცემებზე და განსაკუთრებით კი, იოანე პრესვიტერის სახელით შედგენილ ეპისტოლეზე, რომელიც პირველად, როგორც აღვნიშნეთ, სრული სახით მან მოგვცა ამ ნაშრომში.

ოტო ფრაიზინგის ცნობების შემდეგ, ქრონოლოგიის დაცვით, იოანე პრესვიტერზე პირდაპირი ცნობები გვხვდება მის ცნობილ ეპისტოლეში, რომელიც დათარიღებულია 1165 წლის ახლო ხანებით. გ. ოპერტს მოჰყავს ბენჟამინ ფონ ტუდელას ცნობები, რომელიც, ავტორის აზრით, წარმოადგენს არაპირდაპირ მონაცემებს ამ ცნობილი ისტორიის შესახებ. სახელდობრ, ბენჟამინ ფონ ტუდელამ, რომელმაც XII ს. 60-იან წლებში იმოგზაურა შუა აზიაში სამარყანდის მიმართულებით, მოგვაწოდა ცნობები იმ ადგილების შესახებ, რომელიც მოცემულია იოანეს ეპისტოლეში და იმ ბრძოლებზე, რაც ჩვენ

---

[50] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, 142-143.
[51] იქვე, გვ. 134-135.

გვხვდება ოტო ფრაიზინგის ქრონიკაში. საუბარია პარასის (სპარსეთის) მეფის გალაშქრებაზე თურქისტანის მიმართულებით, იქ მცხოვრები თურქების დასასჯელად, რომლებმაც ძალიან შეაწუხეს მისი მოსახლეობა და ამიტომაც, როგორც წყაროდან ჩანს, მეფე ლაშქრობს შორეულ ქვეყანაში, სადაც ხვდება ებრაელთა ტომს, რომელიც კავშირშია სწორედ „ურწმუნო თურქებთან" და „პარასის" მეფეს მათთან უხდება შებრძოლება. როგორც ბენჟამინ ფონ ტუდელა გადმოგვცემს, თურქები ქარზე ლოცულობენ, უდაბნოში არიან დაბანაკებულნი, 26 წლის წინ მოვიდნენ დიდი ძალით პარასში, აიღეს ქალაქი რაი და ყველაფერი გაანადგურეს. შებრძოლების წინ „პარასის" მეფე შეხვდა იქ მცხოვრებ ებრაელებს, რომლებმაც არ ურჩიეს ამ შორეულ ლაშქრობაში წასვლა და უარიც უთხრეს თურქების წინააღმდეგ მოკავშირეობაზე, რადგან მათთან კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ. პარასის მეფე მაინც შეებრძოლა თურქებს, მაგრამ დამარცხდა და უკუიქცა. თურქებს მოგზაური უწოდებს "Kofar al Turak"-ს (ურწმუნო თურქები) და ეს ისტორია მას გაუგია ერთი ებრაელისაგან, რაბი მოშესგან, რომელიც თვითმხილველი ყოფილა ამ ამბებისა[52].

გ. ოპერტი ამ ცნობას უდარებს ოტო ფრაიზინგის ქრონიკას და მათში იგი ხედავს მსგავსებას და აღნიშნავს, რომ სწორედ ბენჟამინ ფონ ტუდელას მიერ მოცემული ამბავი არის იოანე პრესვიტერისა და სპარსეთის მეფის შებრძოლების ისტორია.

გ. ოპერტმა არაპირდაპირი მინიშნებები ამოიკითხა იოანე პრესვიტერის ამბავთან დაკავშირებით ზინდბადის მოგზაურობის წიგნში, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ინდოეთის ადგილებსა და ხალხთა აღწერაზე. ოპერტი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთში არსებული თქმულე-

---

[52] ეს ტექსტი ციტირებულია შემოკლებული ვარიანტით, G. Oppert, გვ. 17-25.

ბები ადვილად აღწევდნენ ევროპამდე და სწრაფად ვრცელ-
დებოდნენ. ინდური, სპარსული და არაბული ზღაპრები გავ-
რცელებული იყო, როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენებში. მეც-
ნიერის დასკვნით, სწორედ ზინდბადის მოგზაურობის ამბები
შეადგენს იოანე პრესვიტერის ცნობილი წერილის საფუძ-
ველს, დათარიღებულს 1165 წლით. აქ მეცნიერი ყურადღებას
ამახვილებს ზინდბადის მოგზაურობის წიგნში დაცულ წე-
რილზე, რომელიც ინდოეთის მეფემ გაუგზავნა ხალიფა ჰა-
რუნ ელ რაშიდს, სადაც ასახულია ამ მეფის სიმდიდრე და
ძლიერება[53].

ამავე დროს, გ. ოპერტი იოანეს პროტოტიპის ამოხსნის
დროს ეყრდნობა სხვა მოგზაურთა (რუბრუკვისი, პლანო კარ-
პინი, მარკო პოლო და სხვ.) ჩვენებებს, სადაც აღწერილია ყა-
რა-კიტაის, ყარა-ხატაეთის მმართველის კორხანის ისტორია,
რომელიც უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო და იქ სახლობ-
დნენ ნესტორიანელი ქრისტიანები. მეცნიერის აზრით, XIII სა-
უკუნეში მონღოლებმა თავიანთი გამანადგურებელი ლაშქრო-
ბებით აღმოფხვრეს მოგონება იოანეზე ხალხში, რის გამოც
მათ მიერ მოცემული ჩვენებები ამ საკითხზე ძალიან მწირია[54].

როგორც აღინიშნა, 1141 წელს სამარყანდთან მოხდა დი-
დი შეტაკება ყარა-ხატაეთის მფლობელ იურხანს და სელჩუკთა
სულთან სანჯარს[55] შორის. გამარჯვება დარჩა იურხანს და
გ. ოპერტის დასკვნით, სწორედ ის არის ოტო ფრაიზინგის მიერ
დასახელებული იოანე პრესვიტერის პროტოტიპი.

გ. ოპერტი მსჯელობს ასევე იურხან-კორხანის იოანედ
ქცევის შესახებ და აღნიშნავს, რომ თურქული იურხანი ლათი-
ნურად გამოითქმებოდა, როგორც იოანე, იოჰანე. ასევე მეც-
ნიერი იკვლევს სანჯარისა და მისი მომხრეების ვინაობის სა-
კითხს. ავტორი საუბრობს ეკბატანას აღების შესახებ და აღ-

---

[53] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 55-57.
[54] იქვე.
[55] იქვე, გვ. 135-136.

ნიშნავს, რომ იურხანს ამ დიდი გამარჯვების შემდგომ დასავლეთისაკენ წინსვლა არ გაუგრძელებია[56].

გ. ოპერტს მოჰყავს იოანე დე მონტე კორვინოს[57] ცნობა, რომელიც პაპის მიერ იყო წარგზავნილი მონღოლთა ყაენის კარზე და ეს ელჩი გადმოგვცემს ამბავს იურხანის შესახებ, რომელმაც დაამარცხა ზანდარშის (სანჯარი) არმია. აქ საუბარია იელიუდაშზე, ვის შესახებაც ცნობებს გვაძლევენ ასევე, ჩინელი ისტორიკოსები. მეცნიერის აზრით, იელიუდაში არის ის მბრძანებელი, რომელმაც დაიმორჩილა თურქისტანი, ხორეზმი და შექმნა უზარმაზარი იმპერია ტიან-შანის ჩრდილოეთით. ეს იელიუდაში და იურხანი ერთი და იგივე პირია[58].

მაგრამ, როგორც გ. ოპერტი აღნიშნავს, ამ მბრძანებელს დასავლეთისაკენ წინსვლა აღარ უწარმოებია, მით უმეტეს, ტიგროსისკენ და იერუსალიმისაკენ. ავტორის აზრით, ოტო ფრაიზინგის მიერ მოტანილი ცნობა იოანე პრესვიტერის იერუსალიმის დასახმარებლად წამოსვლის შესახებ აღრეულია ბიზანტიის იმპერატორ იოანე კომნენოსის ლაშქრობის ისტორიასთან. იოანე კომნენოსმა ლაშქრობა მოაწყო სირიაზე და სურვილი ჰქონდა იერუსალიმში შესვლისა. ეს ლაშქრობა მიმართული იყო, როგორც სელჩუკების, ისე იქ მყოფი ჯვაროსნების წინააღმდეგ. ბიზანტიის იმპერატორმა ანტიოქიის მთავრისგან მოითხოვა სირიაზე უვნებლად გატარება, რათა

---

[56] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 135-136.

[57] იოანე დე მონტე კორვინო-კათოლიკური მისიის ხელმძღვანელი ჩინეთში 40 წლის განმავლობაში. ებრძოდა ნესტორიანელებს. იყო პეკინის არქიეპისკოპოსი.

[58] სანჯარი-მელიქ შაპი – 1086-1157, უკანასკნელი სელჩუკიანი სულთანი ხორასანში (1119-1157) ფლობდა ხორეზმს, ღაზნას, მავერანაჰრს, 1141 წ. სამარყანდთან დამარცხდა ყარახატაელებთან და დაკარგა მავერანაჰრი. 1154 წ. ოღუზებმა ტყვედ ჩაიგდეს 1156 წ. გაიქცა ტყვეობიდან და დაბრუნდა თავის დედაქალაქ მერვში, სადაც გარდაიცვალა. В. В. Бартолд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, т. I, М., 1963.

შესულიყო იერუსალიმში. ანტიოქიისა და იერუსალიმის მმართველების უარის შემდეგ, მან დაიწყო ლაშქრობა სირიაზე და დიდად შეაშფოთა იქ მყოფი ლათინები. მაგრამ იმპერატორმა მალე შეწყვიტა ლაშქრობა და გაემართა დასავლეთში, სადაც სიცილიაში ყოფნისას გარდაიცვალა კიდეც, 1143 წელს[59].

გ. ოპერტის აზრით, გაბალის ეპისკოპოსის ცნობა ამ ლაშქრობის შესახებ შეიძლება გაეიგივებინათ იელიუდაშიურხანის სამხედრო წარმატებებთან და მის მიერ მოტანილი ამბავი ევროპაში შეიძლება აღრეოდათ და ერთი პიროვნებისათვის მიეწერათ. მეცნიერის დასკვნით, ოტო ფრაიზინგის ცნობა შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად, რადგან მასში მოცემული ისტორია იოანე პრესვიტერისა, ორი ამბის გაერთიანებას წარმოადგენს, ერთი ის, რომელიც 1141 წლის სამარყანდის ომს ეხება და მეორე, რომელიც ეკუთვნის ბიზანტიის იმპერატორის, იოანე კომნენოსის ლაშქრობას სირიაზე[60].

რაც შეეხება, იოანე პრესვიტერის ნესტორიანელობას, აქ, გ. ოპერტის მოსაზრებები ეყრდნობა აზიასა და ჩინეთში ქრისტიანობის ამ მიმდინარეობის გავრცელების ისტორიას და მეცნიერს მოჰყავს ერთი მაგალითი სპარსელი ისტორიკოსის მირჰონდის ცნობიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ყარაკიტაის (ყარახატაეთი) ერთ-ერთი მმართველის ქალიშვილი ქრისტიანი იყო და წინაპრებიც ნესტორიანული სარწმუნოების მემკვიდრეები იყვნენ[61].

ასეთია მეცნიერის ძირითადი დასკვნები ამ საკითხზე, რომელიც მეტად საყურადღებოა და მისი მოსაზრებები დღე-

---

[59] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 136-137; Эпоха Крестовых походов 1999, стр. 377-78; ბიზანტიის იმპერატორები იოანე II კომნენოსი და მანუელი (1143-1180) აიძულებდნენ ანტიოქიის მთავარს, რათა მას ეცნო კონსტანტინეპოლის ტახტის ვასალობა; М. Заборов, დასახ. ნაშრომი, გვ. 151-152.

[60] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 137-138.

[61] იქვე, გვ. 143-144.

ვანდელი ისტორიკოსებისთვისაც აღნიშნული პრობლემის კვლევის დროს უძვირფასეს ნაშრომს წარმოადგენს. ბუნებრივია, გ. ოპერტს შემდგომში მემკვიდრეები და თანამოაზრეებიც გამოუჩნდნენ: ფრ. ცარნკე, ლ. ოლშკი, რ. ჰენიგი და სხვები, თუმცა, მათ ეს საკითხი სხვადასხვა კუთხითაც განიხილეს.

ზემოდასახელებული ავტორები ძირითად საკითხში ეთანხმებიან გ. ოპერტს – იოანე პრესვიტერის პროტოტიპი არის 1141 წელს სამარყანდის ბრძოლაში გამარჯვებული ყარახატაეთის მბრძანებელი, თურქისტანის დამპყრობი იელიუდაში – იურხანი[62].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრ. ცარნკეს გამოკვლევა ამ საკითხზე. მან მოძებნა და შეისწავლა იოანე პრესვიტერზე არსებული დასავლური თუ აღმოსავლური წყაროები, მოგვცა ამ წყაროების შედარებითი ანალიზი.

გარდა იმისა, რომ მან ეს წყაროები შეისწავლა ფოლკლორული და ლინგვისტური თვალსაზრისით, ამავე დროს, მკვლევარმა საინტერესო დასკვნები გააკეთა ისტორიული კვლევის მიმართულებითაც[63].

საყურადღებოა მეცნიერის ის თვალსაზრისი, რომ XII საუკუნის 40-იან წლებში გავრცელებულ თქმულებას იოანე პრესვიტერზე წინ უსწრებდა 1122 წელს რომში პაპ კალიქტუს III-თან ჩასული ინდოეთის პატრიარქ იოანეს ელჩობის ამბავი, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, საოცარ ამბებს ჰყვებოდა იქ არსებულ მოვლენებზე და ქრისტიანთა თემების შესახებ. ეს ამბები დამოწმებულია რომში მყოფი აბატის ოდო ფონ რეიმსის მიერ. ფრ. ცარნკეს აზრით, ეს ორი ამბავი – იოანე პატრიარქზე და იოანე პრესვიტერზე ერთმანეთში უნდა იყოს

---

[62] Fr. Zarnke, დასახ. ნაშრომი; L. Olschki, დასახ. ნაშრომი; R. Hennig, დასახ. ნაშრომი.

[63] Fr. Zarnke, დასახ. ნაშრომი.

აღრეული[64]. ამ საკითხზე ასეთივე აზრისაა ლ. ოლშკი, რომელიც აღნიშნავს, რომ 1122 წლის ელჩობა, რომელიც დამოწმებულია აბატ რეიმსის მიერ, იყო წინაპირობა იმ თქმულებისა, რომელიც ევროპაში გავრცელდა იოანე პრესვიტერის ისტორიის სახით[65].

ფრ. ცარნკე აღნიშნავს, რომ უფრო მოგვიანებით პატრიარქ იოანესა და იოანე პრესვიტერის სახელები და პიროვნებები ერთმანეთში აღრეულ იქნა. XIV-XV სს. ხელნაწერებში პატრიარქის მოხსენება მიღებულია პრესვიტერის წერილად[66].

ფრ. ცარნკეც იოანე პრესვიტერის პროტოტიპად 1141 წლის გამარჯვებულს მიიჩნევს და წყაროებზე დაყრდნობით სულთან სანჯარის მოწინააღმდეგეებად ასახელებს ჩინელების და თურქისტანის თურქების ერთობლივ კოალიციას, რომლის მეთაური იყო ქუ-ხანი. ქუ ჩინეთში გვარს ნიშნავს[67].

ფრ. ცარნკეს მოჰყავს ამ ბრძოლის შესახებ არაბი თუ სპარსელი ისტორიკოსების – იბნ-ალასირის, აბულ-ფარაჯის, აბულ-ფედას, მირჰონდის მონაცემები, რომლებიც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან. მართალია, ისინი სხვადასხვანაირად გადმოგვცემენ ამ ბრძოლის ისტორიას, მაგრამ ეს ცნობები ეხება ერთ ამბავს, ყარა-კიტაელების მიერ სპარსეთის სულთნის განადგურებას. ავტორთა ცნობებს თუ დავუკვირდებით, სულთნის მოწინააღმდეგეებად აქ ჩინელები და მათი მეთაური გამოდიან. მირჰონდი ასახელებს კიდეც მე-

---

[64] Fr. Zarnke, დასახ. ნაშრომი, გვ. 831-836.

[65] L Olschki, დასახ. ნაშრომი. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მოსაზრებას ჰყავს მოწინააღმდეგენიც, რომლებიც თვლიან, რომ ეს ელჩობა არ უნდა ყოფილიყო იოანე პრესვიტერის ლეგენდის საფუძველი. აპოკრიფულ წიგნში პირველად ამ ფორმით მეფემღვდელი გვხვდება XII ს. ბოლოს „Narrative of Eliseus". Prester Iohn. Name of a legendary Eastern priest and King. Catholic Encyclopedia. New York, 2003.

[66] Fr. Zarnke, დასახ. ნაშრომი, გვ. 836.

[67] იქვე, გვ. 855.

თაურს – თავად გურხანს, რომელიც ჩინელად მიაჩნია. იბნ-ალასირის მიხედვით ყარა-კიტაიელების და მათი მემკვიდრეების ბატონობა მავერანაჰრში (სამარყანდის მხარე) 1215 წლამდე გაგრძელდა, სანამ ხორეზმის სულთანმა მუჰამედმა არ წაართვა მათ ეს მხარე[68].

ფრ. ცარნკე ეხება ასევე, ბენჟამინ ფონ ტუდელას მოგზაურობის ამბავს და აკონკრეტებს მისი მოგზაურობის წლებს – 1159-1171. ავტორი იზიარებს გ. ოპერტის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ბენჟამინ ფონ ტუდელას მიერ მოთხრობილი ისტორია სულთნისა და უდაბნოს მცხოვრებლების – თურქების დაპირისპირების შესახებ, რომელიც 1137-1141 წლებში მომხდარა, წარმოადგენს იოანე პრესვიტერის თქმულების არაპირდაპირ მონაცემებს[69].

მაგრამ, როგორც მეცნიერი აღნიშნავს, 1141 წლის გამარჯვებულის პოლიტიკა დასავლეთისაკენ არ იყო მომართული. მისი მზერა აღმოსავლეთისაკენ იყო მიპყრობილი, რათა ჩრდილოეთ ჩინეთში თავისი დინასტია გაემეფებინა. იგი გაემართა კიდეც აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ 1143 წ. მისმა გარდაცვალებამ ჩაშალა ეს გეგმები. ფრ. ცარნკე ეთანხმება გ. ოპერტს, რომ იოანე პრესვიტერის ისტორია აირია იოანე კომნენოსის ლაშქრობის ამბებში, რომელიც 1143 წელს მოეწყო ანტიოქიაში, მაგრამ იგი ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ალექსანდრე მაკედონელზე გავრცელებული თქმულებები გახდა საფუძველი იოანე პრესვიტერის ლეგენდისა და ეს კარგად ჩანს ოტო ფრაიზინგის ცნობილ მონათხრობში. როგორც მეცნიერი ვარაუდობს, აქ მინიშნება გაკეთებულია ალექსანდრეს ლაშქრობაზე დარიოსის წინააღმდეგ, როცა მას მოუხდა გაყინული მდინარის (ალბათ ტიგროსი – ფრ. ცარნკე) გადალახვა. ასეთი ამბავი გვხვდება იოანე პრესვიტერთან,

---

[68] Fr. Zarnke, დასახ. ნაშრომი, გვ. 863.
[69] იქვე, გვ. 861-863.

როცა იგი სამი წელი ელოდა ყინვებს, რათა ეს ადიდებული მდინარე გადაელახა[70].

როგორც ფრ. ცარნკე დაასკვნის, ადრე, სახელი იოანე პრესვიტერი ხშირად იხსენიებოდა, მაგრამ 1141 წლის მოვლენების შემდგომ მისი სახელი ჩინელ დამპყრობელს – ქუ-ხანს დაუკავშირდა. როგორც ჩანს, ეს ამბავი გაცილებით ადრეულ პერიოდს ეკუთვნის და აღნიშნული ფაქტი, ალბათ, არც ოტო ფრაიზინგისთვის იყო ცნობილი.

რაც შეეხება რ. ჰენიგის მოსაზრებას იოანე პრესვიტერის პროტოტიპის საკითხზე, იგი აღნიშნავს, რომ ყარა-კიტაიელებმა 1100 წელს დააარსეს თავისი სამეფო აღმოსავლეთ თურქისტანში. მათ ჰყავდათ ძლიერი მმართველი იელიუდაში (იოანე პრესვიტერის პროტოტიპი). მან დაიპყრო 1126 წელს დასავლეთ თურქისტანი და მიიღო Großer Khan-ის ტიტული და დააარსა ტიან-შანში იმპერიის დედაქალაქი ბალასაგუნი. შემდეგ 1141 წელს სამარყანდთან დიდი ომი მოიგო და ამით მიიქცია ევროპელთა ყურადღება. მკვლევარი აკონკრეტებს მოწინააღმდეგე ძალთა რაოდენობასაც. აღნიშნავს, რომ იელიუდაშს სელჩუკთა სულთან სანჯართან შეჯახებისას ჰყავდა 300 ათასი ჯარისკაცი და ეს იყო ყველაზე დიდი ომი, რაც აზიის მიწაზე მომხდარა. მას მოაქვს იბნ-ალასირის მონაცემები ამ ბრძოლის შესახებ, რომ ამ ომში 100 ათასი კაცი დაეცა და სადაც ჩინელმა ქუ-ხანმა გაიმარჯვა. რ. ჰენიგი მიუთითებს, რომ ქუ-ხანი იყო წოდება იელიუდაშისა და ბროკჰაუზის ენციკლოპედიაშიც სწორედ იგია წარმოდგენილი იოანე პრესვიტერის პროტოტიპად. რაც შეეხებათ იელიუდაშის მემკვიდრეებს, როცა იგი 1143 წელს გარდაიცვალა, ისინი უმნიშვნელო მმართველები იყვნენ და მათ არ შეეძლოთ მისი საქმის გაგრძელება. იგი აკრიტიკებს გ. ოპერტს იოანე პრესვიტერის სახელის ახსნის საკითხში. ნაძალადევია ამ წოდების ასე ახსნა – Wang,

---

[70] Fr. Zarnke, დასახ. ნაშრომი, გვ. 871-872.

Ung, O-ung – საიდანაც არის იურხანი, გიურხანი და ნიშნავს ძლევამოსილს, მბრძანებელს. გ. ოპერტის აზრით, ლათინურში ამ თურქულ-მონღოლურმა სახელმა ტრანსფორმაცია განიცადა და მივიღეთ იოანე პრესვიტერი. ავტორი დაასკვნის, რომ აშკარაა, ეს წოდება იყო და შეცდომით ახსნეს, როგორც პრისტერი-მღვდელი იოანე. რაც შეეხება ფილიპე მაგისტროსის ელჩობას, რ. ჰენიგი აღნიშნავს, რომ ადვილი წარმოსადგენია, თუ ამ ელჩობამ დასახულ მიზანს მიაღწია, როგორ გაუცრუვდებოდათ მათ იმედები, როცა იოანე პრესვიტერის ძლევამოსილი სამეფოს ნაცვლად დახვდებოდათ ნახევრად ბარბაროსული და სუსტი ძალაუფლების მქონე მმართველის ხელისუფლება[71]. ასეთია რ. ჰენიგის კვლევის ძირითადი დასკვნები.

რაც შეეხება ლ. ოლშკის თვალსაზრისს ამ საკითხთან დაკავშირებით, მკვლევარი იოანე პრესვიტერის ისტორიის წინაპირობად მიიჩნევს 1122 წლის ამბებს, კერძოდ, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ელჩობას რომის პაპის კალიქსტუს III-ის კარზე, რომლის მეთაურიც იყო ვიღაც ქრისტიანი, რომელიც თავს ინდოეთის პატრიარქად ასაღებდა, სახელწოდებით იოანე პატრიარქი. იგი დაუჯერებელ ამბებს ყვებოდა აღმოსავლეთში არსებული მოვლენების შესახებ და ეს ყველაფერი გადმოცემული აქვს, როგორც ვიცით, იმ პერიოდში რომში მყოფ აბატ ოდო ფონ რეიმს. ლ. ოლშკი აქ, ძირითადად, ეყრდნობა მონაცემებს აღმოსავლეთ აზიაში საუკუნეების მანძილზე არსებული ქრისტიანული დიასპორის შესახებ – სპარსეთში, ინდოეთში და მონღოლეთში მცხოვრებ ნესტორიანულ მრევლზე. ინდოეთის ქრისტიანებს უწოდებდნენ წმინდა თომას მრევლს, რომელმაც ისინი ქრისტიანებად მოაქცია. ოდო ფონ რეიმსის ჩანაწერებში საუბარია ასევე ინდოეთში არსებულ ქრისტიანულ სამეფოზე, მის დედაქალაქზე, რომელიც

---

[71] R. Hennig, დასახ. ნაშრომი, გვ. 242-244.

მდებარეობდა მდინარე Physon-ზე (ფისონი), რომელიც მოედინებოდა თითქოს სამოთხიდან და მისი წმინდა წყალი კურთხეულს ხდიდა იქ მყოფ ქრისტიანებს. როგორც ლ. ოლშკი აღნიშნავს, ამ ცნობების შედეგად ევროპელებს აღარ ეეჭვებოდათ, სადღაც, აღმოსავლეთში ქრისტიანული სამეფოს არსებობა, რომლის მცხოვრებლები იბრძოდნენ ურწმუნოების, კერძოდ, მაჰმადიანთა წინააღმდეგ. ეს რწმენა კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც 1141 წ. ცენტრალური აზიის მაჰმადიანები დამარცხდნენ სამარყანდთან მონღოლების მიერ და ამ ამბებმა მიაღწია დასავლეთშიც და დაემთხვა II ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისის პერიოდს. მონღოლებზე ევროპელებს ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ და ვაჭარ-მოგზაურებმა გაავრცელეს ლეგენდა იოანე მეფე-მღვდელზე, რომლის წარმოსახვითი გამარჯვება საერთო მტერზე საკმარისი იყო, რათა მასში ქრისტიანი მმართველი დაენახათ. აზიელ ქრისტიანებს ევროპელები მოკავშირეებად მიიჩნევდნენ და ამიტომაც, სირიელ ეპისკოპოსს, ვისგანაც ოტო ფრაიზინგმა გაიგო ეს ამბები, შეიძლება ამ გამარჯვების შემოქმედი ნესტორიანელადაც აღექვა (როგორც ვიცით, ოტო ფრაიზინგის ქრონიკაში იოანე პრესვიტერი ნესტორიანელია). შემდგომ ლ. ოლშკი ყურადღებას ამახვილებს იოანე პრესვიტერის სახელით შედგენილ ცნობილ ეპისტოლეზე, რომელიც დათარიღებულია 1165 წლით. იგი აღნიშნავს, რომ ეს არის მიწიერი სამოთხის პანეგირიკი და ამ წერილში მოცემული სამეფო რეალობაში უტოპიაა. ასეთი სამეფო არ არსებობდა და ავტორი პარალელს ავლებს დანტეს მიერ შემოთავაზებულ მონარქიასთან. ლ. ოლშკი ამ წერილს ნაყალბევად მიიჩნევს, როგორც გ. ოპერტი და მისი აზრით, მას სულ სხვა მისია ჰქონდა იმ ეპოქაში, როცა პაპ ალექსანდრე III-ესა და კაიზერ ფრიდრიხ ბარბაროსას შორის უთანხმოება იყო. ამ დროს ევროპაში არსებულ პოლიტიკური გათიშვისა და დაძაბულობის ვითარებას დაუპირისპირდა იმ ქვეყნის აღწერა-წარმოდგენა, სადაც სუ-

ფევდა მშვიდობა და ადამიანთა სრული ბედნიერება, რომლის მფლობელი არის მეფე, რომელიც როგორც საერო, ისე სასულიერო პირია[72].

რაც შეეხება რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებულ თვალსაზრისს ამ ლეგენდის წარმოშობის ისტორიაზე და საფუძველზე, გამოსაყოფია ვ. ბარტოლდისა[73] და ლ. გუმილიოვის[74] გამოკვლევები.

ვ. ბარტოლდი აღნიშნავს, რომ ნესტორიანელობის გავრცელებამ უიღურების, ნაიმანების და კერაიტების ხალხებში, შემდგომში მონღოლეთსა და ჩინეთში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო მათმა გამოჩენამ შუა აზიაში, საფუძველი დაუდო ამ ლეგენდის შექმნას. კონკრეტულად მკვლევარი ამ თქმულების საფუძვლად მიიჩნევს იოანე პრესვიტერის ისტორიაში მოხსენიებულ მოგვების ამბავს, იოანეს ეპისტოლეში (1165 წ.) ასახულ თომა მოციქულის ისტორიას, აბისინიაში ქრისტიანი მმართველის არსებობას და 1141 წლის სამარყანდის ცნობილ ბრძოლას. მეცნიერის აზრით, აღმოსავლეთში ქრისტიანული სამეფოს გაჩენა აიხსნებოდა წმინდა თომას მოღვაწეობით ინდოეთში. რაც შეეხება ყარახატაელთა გამოჩენას შუა აზიაში, ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მანჯურიელი ტომების – ჯურჯანების მიერ გამოდევნილმა ყარახატაელებმა (ყარაკიტაიელებმა) სამარყანდთან გამარჯვების შემდეგ შექმნეს უზარმაზარი სახელმწიფო კასპიის ზღვიდან ჩინეთის საზღვრებამდე. მათი მეთაურები ატარებდნენ გურხანის ტიტულს. შუა აზიის ისლამის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა მაჰმადიანთა ოლქების დაპყრობისა არამუსულმანი ხალხების მიერ[75].

შემდგომში, როგორც ვ. ბარტოლდი აღნიშნავს, XIII ს.

---

[72] L. Olschki, დასახ. ნაშრომი, გვ. 1-14.

[73] В. В. Бартолд, Сочинения, т. II, М., 1963, т. IX, М., 1977.

[74] Л. Н. Гумилев, დასახ. ნაშრომი.

[75] В. В. Бартолд, Сочинения, т. IX, გვ. 266-268.

მონღოლთა გამოჩენის შედეგად ჯვაროსნებამდე კვლავ მოაღწია ხმებმა შუა აზიაში მაჰმადიანი მოსახლეობის დარბევების შესახებ. ამჯერად ეს ხმები დაუკავშირდა ნესტორიანელი ნაიმანების მეთაურის – ქუჩლუკის გამოჩენას ამ რეგიონში. მონღოლებმა ნაიმანები გამოდევნეს თავიანთი საცხოვრისიდან. ქუჩლუკმა თავი შეაფარა ყარახატაელების სამეფოს. შემდგომში მან თვით ყარახატაელთა გურხანის წინააღმდეგ მოაწყო გამოსვლა, რაც დამთავრდა გურხანის სიკვდილით. ამის შემდეგ ქუჩლუკი შეეტაკა ხორეზმშაჰ მუჰამედს. ეს შეტაკება გამოწვეული იყო ყარახატაელთა სამეფოს გაყოფის გამო. სწორედ ამ ამბებმა გააცოცხლა მითი ქრისტიანი მეფის შესახებ, მაგრამ, ამჯერად, XII ს. 40-იანი წლების მოქმედი პირებისაგან განსხვავებით, მაჰმადიანთა მტრები ნამდვილად იყვნენ ქრისტიანები, დაასკვნის მეცნიერი. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუჩლუკი იმდენად გაძლიერდა მუჰამედთან ბრძოლების დროს, რომ თვით მასთან კავშირს ეძებდა ბაღდადის ხალიფა, ხორეზმელების წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი ამ საქმეში შუამდგომლობას სთხოვდა ნესტორიანელ ეპისკოპოსს. შემდგომში ქუჩლუკი დაიღუპა მონღოლებთან ბრძოლების დროს, როცა ისინი შემოდიოდნენ შუა აზიაში და მის წინააღმდეგ ჩინგის-ხანმა გააგზავნა ჯებე-ნოინი[76].

იოანე პრესვიტერის პროტოტიპისა და მისი სამეფოს მოძიების საკითხში მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეკუთვნის რუს ისტორიკოს ლ. გუმილიოვს. მან განსაკუთრებული კვლევა-ძიება ჩაატარა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ლეგენდის ისტორიული ფესვები ძევს 1141 წლის სამარყანდის ბრძოლის ისტორიაში. ამავე დროს ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შორეულ აღმოსავლეთში ნესტორიანელობის გავრცელების ქრონოლოგიურ საზღვრებს და მის ისტორიულ ძირებს. კვლევა ასევე ეხება ჩინურ და მონღოლურ

---

[76] В. В. Бартолд, Сочинения, т. II, გვ. 133-138.

სამყაროში სხვადასხვა ტომების მოძრაობების, გაერთიანებების და დასავლეთისაკენ მათი წინსვლის საკითხს. სწორედ ასეთი გაერთიანებული ტომების გამოჩენამ ჯერ კიდევ XII საუკუნის პირველ ნახევარში დაბადა ლეგენდა იოანე პრესვიტერის შესახებ, ხოლო XIII საუკუნის დასაწყისიდან ეს თქმულება გააცოცხლა თათარ-მონღოლების გამოჩენამ მსოფლიო ასპარეზზე[77].

ლ. გუმილიოვის აზრით, როგორც აღვნიშნეთ, 1141 წელს სამარყანდთან გამარჯვებული ყარაკიდანელების (ყარახატაელები) მეთაური იელიუდაში იყო იოანე პრესვიტერის პროტოტიპი. იელიუდაში დაიბადა 1087 წელს, სამეფო ოჯახში, ლიაოს იმპერიაში. როდესაც ჩინელებმა ლიაოს იმპერია გაანადგურეს, იელიუდაშმა თავი დააღწია დევნას და გამოიქცა დასავლეთისაკენ. ამ იმპერიის დანგრევამ გამოიწვია კიდანელების გადმოსახლება თურქესტანში. სწორედ იელიუდაში იყო ამ ტომების მეთაური. 1125 წელს მან მიიღო „გურხანის" ტიტული. მისი ჯარების ძირითად ნაწილს შეადგენდნენ კიდანელები, კიდანის იმპერიის ნარჩენებისაგან შემდგარი რაზმები. თურქესტანში გადმოსვლის შემდეგ მას მოუხდა შეტაკება შუა აზიის მაჰმადიანებთან, რომელთა მეთაური იყო სპარსეთის სელჩუკიანი სულთანი სანჯარი. იბნ-ალასირი გვაძლევს ცნობებს იელიუდაშის არმიის რაოდენობისა და მისი ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. ამ ბრძოლაში სანჯარის წინააღმდეგ გამოსულა 300000 კაცი, რომლის შემადგენლობაშიც ყოფილან კიდანელები, თურქები, ჩინელები. ამ გამარჯვებამ დიდი სახელი მოუტანა მას, თვით ლ. გუმილიოვი აღნიშნავს, რომ ასეთი მასშტაბის ომი მაჰმადიანებს, თვით ჯვაროსნებთანაც კი არ უწარმოებიათ. ავტორი ამ ბრძოლის ადგილსაც აკონკრეტებს – კატვანის ველი-სამარყანდის ჩრდილოეთით. სულთანი სანჯარი გაიქცა, მისი ცოლი და თანამებრძოლები

[77] Л. Н. Гумилев, დასახ. ნაშრომი.

ტყვედ ჩავარდნენ, ხოლო 30 ათასი სელჩუკი დაიღუპა ამ ომში. ამ გამარჯვების შემდეგ იელიუდაშმა აიღო სამარყანდი და ბუხარა, ხოლო ხორეზმშაჰი იძულებული გახდა ყოველწლიურად 30 ათასი ოქროს დინარი ეხადა გამარჯვებულისათვის[78].იელიუდაშმა შექმნა ყარაკიდანელთა[79] სამეფო, რომლის დედაქალაქი იყო ბალასაგუნი მდინარე ჩუიზე, ისიკ-ყულთან ახლოს. ყარაკიდანის სამეფო დასავლეთით ესაზღვრებოდა არალის ზღვას, სამხრეთი საზღვარი ემიჯნებოდა ამუდარიას, ხოლო ჩრდილოეთის საზღვარი, ლ. გუმილიოვის აზრით, ზუსტად არ ფიქსირდებოდა[80].

რაც შეეხება იოანე პრესვიტერის ნესტორიანელობას, ლ. გუმილიოვი ამის საფუძველს ხედავს XII საუკუნეში მონღოლურ და თათრულ ტომებში ნესტორიანელობის გავრცელების საკითხში. ქრისტიანობის ეს მიმდინარეობა მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული კერაიტებში, ნაიმანებში და სხვა მომთაბარე ტომებში. იგი აღნიშნავს, რომ თვით იელიუდაშის ლაშქარში იბრძოდნენ ნესტორიანელი ქრისტიანები, მაგრამ თვით იელიუდაში თუ რომელიმე სარწმუნოებას სცემდა თაყვანს, ეს ალბათ იქნებოდა ბუდიზმი[81]. იგი მიანიშნებს იმაზე, რომ მის მემკვიდრეებში ნესტორიანელებისადმი თაყვანისცემა გავრცელებული იყო და ამის მაგალითად მოჰყავს იელიუდაშის მემკვიდრე ილია (ვ. ბარტოლდთან Елюй и-м), რომელიც ქრისტიანული სახელი იყო და ეს გვაფიქრებინებს იმას, რომ ამ სარწმუნოების მიმდევართა მიმართ ყარაკიდანის სამეფოში რბილი დამოკიდებულება ჰქონდათ[82].

რაც შეეხება მონღოლებზე არსებულ ყალბ წარმოდგენას, მათი პირველი გამოჩენის შედეგად, გუმილიოვი აღნიშ-

---

[78] Л. Н. Гумилев, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-112.
[79] გუმილიოვი ყარაკიტაელებს უწოდებს კიდანელებს.
[80] Л. Н. Гумилев, დასახ. ნაშრომი, გვ. 114-118.
[81] იქვე, გვ. 96.
[82] იქვე, გვ. 115-116.

ნავს, რომ ეს ტომები – უიღუირები, ყარაკიდანელები, კერაიტები თუ სხვა, რომელშიც ნესტორიანელობა იყო გავრცელებული, მრავლად იყვნენ მონღოლთა ლაშქარში. ნესტორიანელებმა დიდი როლი ითამაშეს მონღოლთა ლაშქრობების დროს მათ მიერ დაპყრობილი მაჰმადიანი მოსახლეობისადმი გამოჩენილ სისასტიკეში. ეს ტომები არა მარტო შეადგენდნენ მონღოლთა ჯარების დიდ უმრავლესობას, არამედ მონღოლი ხანების ადმინისტრაციულ აპარატშიც დიდ როლს თამაშობდნენ და ჩინგის—ხანის ხელისუფლების დიდი დამცველებიც იყვნენ. სწორედ ნესტორიანელთა დამსახურება იყო ის, რომ მონღოლებმა თავისი ძირითადი დარტყმები მიმართეს მცირე აზიას, კერძოდ, მაჰმადიანურ სამყაროს, მის ცენტრს – ბაღდადს. მონღოლების ლაშქრობას ბაღდადზე გუმილიოვი უწოდებს „ყვითელ ჯვაროსნულ ლაშქრობას" და როგორც მეცნიერი აღნიშნავს, მათ გააკეთეს ის, რასაც ელოდნენ ევროპელები ამდენი ხნის განმავლობაში უკვე მითიური იოანე პრესვიტერისაგან[83].

რაც შეეხება იოანე პრესვიტერის ეპისტოლეს, გუმილიოვს ეჭვი შეაქვს მის ჭეშმარიტებაში, რომ ასეთი სახელმწიფო ქრისტიანი მეფით არსებობდა აღმოსავლეთში. იგი აღნიშნავს, რომ ამ ეპისტოლეს ავტორმა კარგად იცოდა თავისი აუდიტორია, კათოლიკურ დასავლეთში ბიზანტიის იმპერატორის დამცირება (იოანე მანუელ კომნენს კონსტანტინოპოლის თავადს უწოდებს) თუნდაც უმნიშვნელო კუთხით, მიღებული იქნებოდა, როგორც სიმართლე და არ გამოიწვევდა ამ წერილისადმი უნდობლობას. ევროპელები 500 წლის განმავლობაში იკვებებოდნენ ამ ზღაპრული ისტორიით, მაგრამ არც ინდოეთში, არც აბისინიაში, არც ჩინეთში ასეთი სამეფო არ აღმოჩნდა[84].

---

[83] Л. Н. Гумилев, დასახ. ნაშრომი, გვ. 159, 175-176, 199.
[84] იქვე, გვ. 9-10.

ვ. მატუზოვაც იზიარებს გ. ოპერტის, ვ. ბარტოლდისა და სხვათა მოსაზრებებს ამ მიმართულებით და იოანე პრესვიტერზე ლეგენდის წარმოქმნას უკავშირებს აღმოსავლეთის ხალხებში ნესტორიანელობის გავრცელების ისტორიულ რეალიებს. ავტორის აზრით, იელიუდაში მონღოლთა მეთაურია. იგი აღნიშნავს, რომ ამ ლეგენდის ისტორიულ წანამძღვრებზე სამი თეორიაა: პირველი, აზიური – იოანე პრესვიტერი – იელიუდაში, ყარაკიტაის იმპერიის დამაარსებელი შუა აზიაში (გ. ოპერტი, ფ. ცარნკე, რ. ჰენიგი), მეორე, აფრიკული – იოანე იყო აბისინიის მეფე, რომლის ქვეყანა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოიქცა IV საუკუნეში და არაბების დაპყრობების შემდეგ ეგვიპტესა და სუდანში იგი მოსწყდა ევროპულ ქრისტიანულ სამყაროს (კ. მაინესკუ) და მესამე, ალეგორიული – იოანეს მითს არ გააჩნია ისტორიული ფესვები და არ ჰყავს ისტორიული პროტოტიპი. ეს მითი არის უტოპია, შეთხზული კათოლიკური ეკლესიის რომელიღაც სასულიერო პირის მიერ (ლ. ოლშკი)[85].

აი, ასეთია, ძირითად შტრიხებში იმ ისტორიკოსთა ვარაუდი, რომელთა აზრით 1141 წლის ამბები და ამ მოვლენის ისტორიული პირების ქმედებანი დაედო საფუძვლად ოტო ფრაიზინგის მიერ გავრცელებულ ისტორიას იოანე პრესვიტერის შესახებ. გიურხანი, იურხანი, იელიუდაში, ქუხანი – პროტოტიპი იოანე პრესვიტერისა, რომლის სახელიც სხვადასხვა სახით გვხვდება წყაროებში 1141 წლის გამარჯვებულის აღსანიშნავად.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ოპერტის და მის მიმდევართა თეორიას კრიტიკოსებიც მრავლად გამოუჩნდნენ. მათ სხვა ისტორიულ პირებს და მოვლენებს დაუკავშირეს ამ პრობლემის ამოხსნა.

---

[85] В. И. Матузова, Английские средновековые источники, IX-XIII вв. тексты, перевод, коментарий, Изд. «Наука», М., 1979, გვ. 231-232.

საინტერესო თეორია წამოაყენა ფ. ბრუნმა. იგი თავის ნაშრომში «О странствованіях царя пресвитера Иоанна», ამ ლეგენდარული მეფის პროტოტიპებს ეძებს XII საუკუნის საქართველოს სამეფოს ისტორიულ პერსონაჟებში. ავტორის აზრით, იოანე პრესვიტერის ლეგენდა შეიქმნა და ჩამოყალიბდა ევროპელთა აზროვნებაში დავით IV-ის ამირსპასალარის იოანე ორბელის მიერ 1124 წელს ძმები იბრაჰიმ და ახმედის კოალიციური ლაშქრობის დამარცხებისა და მათი მოკავშირე სულთანის მელიქ-თორღულის დედაქალაქის განძის აღების, ასევე 1138-39 წლებში დემეტრე I-ის მიერ განძის აღებისა და დარბევის, 1161 წელს გიორგი III-ის ამირსპასალარის იოანე ორბელის მიერ ხლათის სულთნის სუქმან II-ის განადგურებისა და ანისის დაკავების შედეგად. ეს ამბები გაერთიანდა ერთი ისტორიული პერსონაჟის მოქმედებების ქვეშ ჯვაროსანთა წარმოდგენაში და მივიღეთ სწორედ ცნობილი ამბავი იოანე პრესვიტერისა, რომელიც ევროპაში გაავრცელა სირიის ეპისკოპოსმა XII ს-ის 40-იან წლებში. ფ. ბრუნი აღნიშნავს, რომ ძმები ახმედი და იბრაჰიმი და მათი მოკავშირე სულთანი ლეგენდის პერსონაჟები – ძმები შამიარდოები არიან და მათი მეთაურია სელჩუკი სულთანი სანჯარი. რაც შეეხება ლეგენდის მიხედვით ეკბატანას ლოკალიზაციას, ეს არის სწორედ განჯა. ავტორი იშველიებს მოსე ხორენელის ცნობას იმის შესახებ, რომ თავრიზს ეწოდებოდა მეორე ეკბატანა და სხვათა შორის, ის ამავე დროს იხსენიებოდა განძაკად, რომელიც დღეს, როგორც ფ. ბრუნი აღნიშნავს, ჩვენთვის საქვეყნოდ ცნობილი ელისავეტოპოლია. რაც შეეხება გიორგი III-ს დროინდელ იოანე ორბელს, ავტორი აღნიშნავს, რომ 1177 წელს რომის პაპის ალექსანდრე III-ის წერილის ადრესატი იყო არა აბისინიის მეფე, არამედ აზიის მმართველი და მისმა კვლევა-ძიებამ მეცნიერი მიიყვანა სწორედ გიორგი III-ის სამეფომდე და კერძოდ,

იოანე ორბელის ისტორიულ ფიგურამდე[86]. როგორც ვხედავთ, ავტორი დაკვირვებებს აკეთებს ლეგენდაში იოანეს სახელის გაჩენის ობიექტურ საფუძვლებზე. იგი 1165 წლის ეპისტოლეს მიხედვით ცნობილი იოანეს სამეფოს ლოკალიზაციას ახდენს კავკასიაში და კერძოდ, საქართველოზე მინიშნებებით. ინდოეთისა და აბისინიის ცნებაში სწორედ რომ მოიაზრებოდა კავკასია და იოანეს სამეფოში მოხსენიებული ებრაელთა ტომები, გოგისა და მაგოგის მცხოვრებთა ისტორიულ-გეოგრაფიული საცხოვრისი, იქ ჩამოთვლილი მეფეების რიცხვი და სხვა დამახასიათებელი ფაქტები, მიანიშნებს ამ ვერსიის საფუძვლიანობას, დაასკვნის ავტორი[87].

რაც შეეხება XIII საუკუნეში იოანეს ადგილზე ინდოეთის მეფის დავითის გამოჩენას, აქაც ფ. ბრუნი ანალოგიებს პოულობს ქართველთა შესაძლო მონაწილეობაზე V ჯვაროსნულ ლაშქრობაში. დავითის მუქარას დამასკოს სულტანისადმი და ქართველთა მუქარის წერილს დამასკოს სულთან კორადინისადმი 1218 წელს იერუსალიმის კედლების დანგრევის გამო, მეცნიერი ერთი პირის ნამოქმედარს მიაწერს. იოანეს ლეგენდის კვლავ გაცოცხლებას იგი უკავშირებს ასევე ლაშა-გიორგისა და იოანე მხარგრძელის სურვილებს მიეღოთ მონაწილეობა ჯვაროსნულ ლაშქრობებში და დახმარება აღმოეჩინათ იერუსალიმისათვის[88].

რ. ჰენიგმა მოგვცა ამ თეორიის კრიტიკა, რომლის ძირითადი დებულებები მდგომარეობდა შემდეგში: 1. იოანე პრესვიტერის ისტორია ვრცელდება XII ს. 40-იან წლებში, უფრო

---

[86] ф. Брун, О странствованіяхъ царя-пресвитера Иоанна. Изъ Записокъ Императорского Новороссійского университета, Одесса, 1870, გვ. 6-7; იოანე პრესვიტერის პროტოტიპად დავით IV-ს სპასალარს იოანე ორბელს მიიჩნევს ახალგაზრდა მეცნიერი თამარ ქველიშვილიც, „იოანე მეფე-ხუცესი ევროპულ წყაროებში და ქართულ სინამდვილეში". კრბ. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IV, თბ., 2002.

[87] ф. Брун, გვ. 7-10, 14-18.

[88] იქვე, გვ. 23-25.

ადრე, ვიდრე იოანე ორბელი მოაწყობდა ლაშქრობას ანისის მიმართულებით და დაამარცხებდა სპარსელებს 1161 წ. 2. ქართველთა ეს ლაშქრობა თავისი მასშტაბით და რეზონანსით ბევრად ჩამოუვარდებოდა 1141 წელს სამარყანდთან მომხდარი შეტაკების გამოძახილს[89].

ჩვენი მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ამ კრიტიკული მოსაზრებებისა, ფ. ბრუნის დებულებები მაინც საინტერესოა და ჰ. ჯიულის მოსაზრებით ეს თეორია ისეა აგებული, რომ იოანე პრესვიტერი საცაა გამოჩნდებოდა და მოიხსნიდა თავის ნიღაბს[90].

ქართულ ისტორიოგრაფიაში იოანე პრესვიტერის თქმულების საკითხს შეეხო ზ. ავალიშვილი ნაშრომში, „ჯვაროსანთა დროიდან". მეცნიერმა დააყენა საკითხი იოანე პრესვიტერისა და დავით აღმაშენებლის ისტორიული სახეების იდენტურობის შესახებ. მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იგი ფრთხილად ეკიდებოდა საკითხის ამ კუთხით ახსნის შესაძლებლობას. მისი ძირითადი დებულებები ეყრდნობოდა XIII საუკუნეში გავრცელებულ ამბავს, სადაც იოანე პრესვიტერის მემკვიდრედ თუ თვით იოანედ გამოყვანილი იყო მეფე დავითი. ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია დავით აღმაშენებლის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის გასვლის შემდეგ მოხდა იოანესა და დავითის სახეების გაიგივება. იგი ეხება როდოლფ კოგეშალეს ცნობასაც, სადაც აღნიშნულია ინდოეთის მეფის დავითის ლაშქრობის ფაქტიც, რომელმაც მიდია-სპარსეთი დაიპყრო. ასევე განხილულია ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება იოანე ორბელისა და იოანე პრესვიტერის იგივეობის შესახებ. თუმცა, როგორც თვითონ მეცნიერი აღნიშნავს, ამ თქმულების წარმოშობის საკითხი მეტად

---

[89] R. Hennig, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.
[90] H. Jule, The Book of Ser Marco Polo, ed. 1903.

რთულია[91].

ნაწილი მეცნიერებისა, მაინც არ გამორიცხავს XIII საუკუნეში იოანეს თქმულებაში დავითის სახელის გაჩენას, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობასთან კავშირში. ანა დოროთეა ფონ ბრინკენი, მართალია, არ იზიარებდა იოანეს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან დაკავშირების თეორიას, რადგან მისი აზრით, იოანეს ქრისტიანული სამეფო პოლიტიკური უტოპიაა და იოანეს ნესტორიანელობაზე დაყრდნობით, ნესტორიანელობის კვალს ეძებს ეთიოპიაში და ცენტრალურ აზიაში, მაგრამ არ გამორიცხავს იმ ვარაუდს, რომ XIII საუკუნეში მონღოლთა გამოჩენის შემდეგ ევროპელთა იმედები დავით აღმაშენებელს დაუკავშირდა მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე[92].

ასევე, საყურადღებოა, ალექსანდრე ნიკურაძის მოსაზრება, რომელიც იოანე პრესვიტერის პროტოტიპად დავით აღმაშენებელს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ დავითის სახე ევროპულ წარმოდგენებში ჩამოყალიბდა მასზე გავრცელებული რეალური და ნახევრად რეალური ამბების შედეგად და გადავიდა იოანე პრესვიტერზე არსებულ თქმულებებში. ეს გაიგივება განსაკუთრებით ეხება V ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდს. კერძოდ, დამიეტის ბრძოლების ხანას (1219-1221), როდესაც ჯვაროსანთა წარმოდგენის არეალში იოანე პრესვიტერის ადგილზე გამოჩნდა ინდოეთის მეფე დავითი, რომელმაც დაამარცხა მიდიელები და სპარსელები. ავტორის დასკვ-

---

[91] ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989 წ., გვ. 107-108.
ამ საკითხს შეეხო კ. სალიაც, რომელიც შესაძლებლად თვლიდა იოანე პრესვიტერისა და დავით აღმაშენებლის ისტორიული სახელების ერთმანეთთან იდენტიფიკაციას. „რამდენიმე ფურცელი საქართველოს ისტორიიდან. დავით აღმაშენებელი. მისი მეფე-პრესვიტერ იოანესთან იგივეობის შესახებ Revue de Kartvelologie, vol XXVII, Paris, 1970.

[92] Anna-Dorothea von der Brincken. Die "Nationes christianorun orientalium" in Verständnis der Latenischen Historiographie, Köln und Wien 1973.

ნით, სწორედ დავითის გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ მოხდა მისი დაკავშირება ამ მითიურ პერსონაჟებთან[93].

დ. ნინიძის აზრით, დე ბუას წერილში ლაშა-გიორგის პიროვნების პანეგირიკმა შეიძლება გავლენა იქონია იოანე პრესვიტერზე არსებული ლეგენდის კვლავ გაცოცხლებაში, „ამ პერიოდში ჯვაროსნებს ძალზე სჭირდებოდათ დახმარება და შესაძლებელია ამ პერიოდიდანვე ეყრებოდეს საფუძველი ახალ შეხედულებებს ლეგენდარულ იოანე პრესვიტერად ლაშა-გიორგის პიროვნების მიჩნევის შესახებ, რაც მეორე ეტაპზე დამიეტის აღების შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო ღვივდება", დავით-იოანეს შესახებ ხმების ინტენსიური გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყო ლაშა-გიორგის პიროვნების პოპულარობას. რაც შეეხება იოანეს ადგილზე დავითის სახელის გაჩენას XIII ს. I მეოთხედში, ეს დავით აღმაშენებლის ასოცირებით უნდა გაჩენილიყო, დაასკვნის მკვლევარი[94].

ჩვენი მხრივ, გავიხსენოთ საქართველოს მეფის რუსუდანის წერილი რომის პაპისადმი 1223 წლით დათარიღებული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსუდანის წერილი, რომელშიც მონღოლები ქრისტიანებად არიან მოხსენიებულნი არის შედეგი იმ ხმებისა, რაც ვრცელდებოდა იოანე პრესვიტერზე და მის მემკვიდრეებზე (ამ დროს აქ იოანეს ადგილზე დავითია

---

[93] Al. Nikuradze, "Skandinavier und Georgier auf der Pontisch-Baltischen Landsbrücke, Bedi kartlisa, Revue der Karthvelologie, N30-31, Paris, 1959. გვ. 80.

[94] დ. ნინიძე, საქართველო-ევროპის დიპლომატიური კონტაქტები XIII ს. I ნახევარში. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I ნაწილი, თბ., 1998 წ., გვ. 400-401, 404-405. მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. კაკაბაძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ ევროპელებს ქართველი მეფეები ლეგენდარულ გმირებად ჰყავდათ წარმოდგენილნი. განსაკუთრებით პოპულარული იყო დავით აღმაშენებელი და 1128 წლის ინგლისურ ქრონიკაში იოანეს ადგილზე დავითის სახელი, სწორედ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობიდან გამომდინარე უნდა იყოს გაჩენილი. გაზ. თბილისი, №7, 1963.

ინდოეთის მეფე, ქრისტიანი მმართველი) მონღოლთა გამოჩენის შედეგად. გავიხსენოთ კოგეშალეს ქრონიკიდან ფრაგმენტი: „მთელს საქრისტიანოში 1221 წელს ხმა გავრცელდა...", შეიძლება ამ ამბებს მოეღწიათ ქართველთა სამეფომდე და ამიტომაც გაეიგივებინათ მონღოლები იოანე-დავითის ლაშქართან, რომელიც სპარსელთა და მიდიელთა დასამხობად მოდიოდა. ცოტა უცნაურია ის ფაქტი, რომ რუსუდანი ამ წერილში პაპ ჰონორიუს III-ის წინაშე როგორლაც მიამიტურად ხსნის ქართველთა დამარცხების ამბავს, როცა აღნიშნავს, რომ თათრები თავიდან კარგი ქრისტიანები ეგონათ ქართველებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის კვლევას განსაკურებული ყურადღება მიაქცია შ. ბადრიძემ. მან თავისი ძირითადი დებულებების საფუძვლად მიიჩნია ოტო ფრაიზინგის მიერ მოცემული ვერსია, რომელიც უძველესი იყო იოანე პრესვიტერზე არსებული პირდაპირი ცნობებიდან. ამ თქმულების ამოხსნა მან სცადა დავით აღმაშენებლის მმართველობის ფაქტებიდან გამომდინარე. ეს უძველესი ვერსია შეუდარა დიდგორის ომის მსვლელობას და მოგვცა მისი პარალელები, სახელდობრ, აქ საუბარია მეომარ მხარეებზე, ბრძოლის მსვლელობაზე და ხანგრძლივობაზე, მის შემდგომ მოვლენებზე და გამარჯვებული მხარის გეგმებსა და წარმატებებზე[95].

შ. ბადრიძემ იოანე პრესვიტერის სამეფოსა და დავით აღმაშენებლის საქართველოს შორის პარალელები გაავლო ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხითაც. როგორც ვიცით, ოტო ფრაიზინგის მიერ დასახელებული იოანე პრესვიტერის სამშობლო მდებარეობდა „არმენიისა და სპარსეთის მიღმა უკიდურეს აღმოსავლეთში". მკვლევრის აზრით, საუბარი რომ ყოფილიყო თურქისტანზე თუ შუა აზიის აღმოსავლეთ მხარე-

---

[95] შ. ბადრიძე, „ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელზე და დემეტრე პირველზე", კრბ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ., 1968.

ებზე, მაშინ ეს ლოკალიზებული არ იქნებოდა არმენიაზე მი-
თითებით[96].

ამავე დროს, როგორც შ. ბადრიძე ვარაუდობს, „მეფე-
ხუცესის ლეგენდა შეიქმნა ჯვაროსანთა შორის საქართვე-
ლოს სამეფო ხელისუფლებაზე გავრცელებულ შეხედულება-
თა კონცენტრირებით და ფოლკლორული გააზრებით"[97]. ოტო
ფრაიზინგთან დაცული უძველესი წყარო შექმნილი უნდა ყო-
ფილიყო იმ ბუნდოვანი ხმების ბაზაზე, რომელთა წარმოშო-
ბაც დროის თვალსაზრისით უსწრებდა ამ ვერსიის ჩამოყალი-
ბებას, ესე იგი, არა 1145 წელს, არამედ უფრო ადრეულ პერი-
ოდზე[98].

რაც შეეხება იოანე პრესვიტერის მიერ ეკბატანის აღე-
ბის ისტორიას, აქ მეცნიერი პარალელებს ავლებს დიდგორზე
გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებლის მიერ დაპყრობი-
ლი ქალაქების და ქვეყნების ისტორიებზეც, კერძოდ, საკითხი
ეხება თბილისის, ანისის, შირვანის შემოერთებას. როგორც
ცნობილია, ეკბატანას ლოკალიზება იმ პერიოდისათვის შეუძ-
ლებელი იყო, რადგან ასეთი ნომენკლატურები ამ დროისათ-
ვის აღარ არსებობდა[99]. მეფე ხუცესის (პრესვიტერი) ხელი-
სუფლების ხასიათის ახსნისას შ. ბადრიძე მიანიშნებს დავით
აღმაშენებლის მიერ ჩატარებული სახელისუფლო რეფორმის
საკითხებზე და აღნიშნავს, რომ იოანე პრესვიტერი დავითის
მსგავსად აერთიანებდა საერო და სასულიერო ძალაუფლე-
ბას[100].

შ. ბადრიძის დასკვნით, დავით აღმაშენებლის მიერ ჩა-
ტარებული წარმატებული ომები თურქ-სელჩუკთა წინააღმ-
დეგ და მორალური თუ რეალური მხარდაჭერა ჯვაროსნული

---

[96] შ. ბადრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 383, 377.
[97] იქვე, გვ. 377-378.
[98] იქვე.
[99] იქვე, გვ. 376
[100] იქვე, გვ. 382.

მოძრაობისადმი საფუძველს იძლეოდა, რომ მასზე „დასავლეთში განსაკუთრებით ჯვაროსანთა შორის ჭარბად გავრცელდა ნახევრადფოლკლორული მესიანისტური ინფორმაციები, რომელმაც შექმნა პირობა, რომ დავითის რეალური სახე ადვილად გარდაქმნილიყო ქრისტიანული მისტიციზმით შეფერადებული-ოტონისეული (ოტონ ფრაიზინგი – ა. გ) ხელმწიფის სახედ"[101].

შ. ბადრიძე, იოანე პრესვიტერის სახეს ასევე უკავშირებს დემეტრე I-ის (1125-1156) მმართველობის მომენტებს. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს დემეტრეს სამხედრო საქმიანობაზე, კერძოდ, მის მიერ 1130 წ. ხლათის სულთნის შაჰ-არმენის დამარცხებაზე, 1139 წ. განძაზე მის ლაშქრობასა და აოხრებაზე. შ. ბადრიძე იმ ვერსიასაც უშვებს, რომ „იოანეს სახე შეიქმნა დავითისა და დემეტრეს სახეების შერწყმითა და ჯვაროსანთა ფანტაზიაში მისი გადახარშვის გზით"[102].

ასეთია, ძირითადად შ. ბადრიძის თვალსაზრისი. შემდგომში მისი ვერსია გაიზიარეს სხვა მკვლევრებმაც. მათგან, აღსანიშნავია, შ. რევიშვილი[103], რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ამ საკითხს. იგი ძირითადად ეყრდნობა 1165 წლით დათარიღებულ წერილს, რომელიც იოანე პრესვიტერის (მღვდელმთავრის) ეპისტოლეთი არის ცნობილი.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იოანეს პროტოტიპისა და მისი სამეფოს საძიებლად მკვლევრები უმნიშვნელოვანეს წყაროდ სწორედ ამ ეპისტოლეს თვლიან. იგი მოგვიანო ხანისაა და, როგორც აღვნიშნეთ, ავტორებს იგი ნაყალბევად მიაჩნიათ, რის დასამტკიცებლადაც მოჰყავთ სათანადო არგუმენტები, თუმცა ეს სრულიად არ აკნინებს ამ წყაროს მნიშვნელობას საკითხის გარკვევის საქმეში.

---

[101] შ. ბადრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 382.
[102] იქვე, იხ. ასევე შ. ბადრიძის ნაშრომი „საქართველო და ჯვაროსნები", თბ., 1973, გვ. 23-24, 33-34.
[103] შ. რევიშვილი, დასახ. ნაშრომი, თბ., 1987.

გ. ოპერტი, რომელიც სრული სახით გვაძლევს თავის ნაშრომში ამ წერილის შინაარსს, აღნიშნავს, რომ იგი ნაყალბევია და არ შეიძლება იყოს იოანე პრესვიტერის მიერ შედგენილი. მისი აზრით, წერილის ავტორს, თუ იგი მართლაც იოანეა, არ შეიძლება თავისი სამეფოს დედაქალაქად დაესახელებინა ის ადგილი, რომელიც იმ დროისათვის განადგურებული იყო და ისტორიულად სხვა მფლობელი ჰყავდა, ან რა უფლებით შეიძლებოდა ყოველწლიური პომპეზური სალოცავი სვლების მოხსენიება, რომელსაც ადგილი არ ჰქონდა? სვამს კითხვას მკვლევარი. ის, რომ წერილის შემდგენელი ქრისტიანია, ამაზე მიგვითითებს მრავალი ციტატა ძველი და ახალი აღთქმიდან და ეს ქრისტიანი ნესტორიანელი უნდა ყოფილიყო, რადგან წერილში დაშვებულია მღვდლების ქორწინება და მრავალცოლიანობა[104].

ეპისტოლე, იოანე პრესვიტერის სახელით შედგენილი, თავისი ძირითადი დასკვნების საფუძვლად გაიხადა შ. რევიშვილმა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მან გაიზიარა ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები (კერძოდ შ. ბადრიძის თვალსაზრისი) იოანე პრესვიტერისა და დავით აღმაშენებლის ისტორიული სახეების იდენტურობის შესახებ. ამ ეპისტოლეზე დაყრდნობით, ძირითადად, ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკური შედარებების საფუძველზე მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ლეგენდარული მეფის სამშობლო არის კავკასია და, კერძოდ, საქართველო. აქ საკითხი შეეხება წერილში მოცემულ ბიბლიურ სიუჟეტებს, მითოლოგიურ ხალხებს, ადგილსამყოფელის იდენტიფიკაციას: ესაა გოგისა და მაგოგის მფლობელისა და მისი ხალხების ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნიკური კუთვნილების პრობლემის ამოხსნა, ამაზონების, ბრაჰმანების ეთნიკური წარმომავლობისა და სარწმუნოებრივი კუთვნილების სა-

---

[104] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 57-58.

კითხი. თვით „ინდოეთის" ცნების განმარტებისა და მისი ისტორიულ-გეოგრაფიული მინიშნებები. ასევე, ეპისტოლეში მოცემული ფლორისა და ფაუნის (პილპილი, სალამანდრები), ბუნებრივი წიაღისეულის (ოქრო), ედემის ადგილსამყოფელის ლოკალიზაციის განმარტებები[105].

ავტორის აზრით, ინდოეთი ევროპელთა წარმოდგენაში – ეს არის კავკასია, საქართველო. ამ პერიოდში მათი ცოდნა ამ რეგიონის მიმართ ძალიან მწირია, კოლხეთის მიღმა არსებულ სამყაროს ისინი ინდოეთად ნათლავენ. კავკასიის გაცნობის შემდეგ მათ ინდოეთად მიიჩნიეს ეთიოპია-აბისინია, რომელსაც მცირე ინდოეთს უწოდებდნენ, მიდია-დიდი ინდოეთი და საკუთრივ ინდოეთი – ეს არის დანარჩენი აღმოსავლეთი[106].

შ. რევიშვილი ამ საკითხის კვლევისას განიხილავს გერმანული ლიტერატურის ძეგლებს, რომლებშიც დაცულია ცნობები იოანე პრესვიტერზე და მის სამეფოზე. ეს ძეგლებია: ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი" (XIII ს. I ნახევარი), ალბრეხტ ფონ შარფენბერგის „ახალგაზრდა ტიტურელი" (XIII ს. II ნახევარი), ოსვალდ დერ შრაიბერის ჰაიდელბერგული ხელნაწერი – პოემა (XV ს.), გერმანული ხალხური წიგნი „ფორტუნატუსი" (XV ს.), ასევე იოანეს ეპისტოლეს რიგი ხელნაწერები: ბერლინური (XIII ს. I ნახევარი), ვენური (XIII ს. I ნახევარი), მიუნხენური (XV ს.)[107].

შ. რევიშვილმა გააკრიტიკა გ. ოპერტის, ფრ. ცარნკეს, რ. ჰენიგის მოსაზრებები და მათი თეორიები იოანე პრესვიტერის ჩინელობის, ყარაკიტაელობის, თურქესტანელობის შესახებ[108]. ამავე დროს, მეცნიერი მსჯელობს რუსი მკვლევრების – ვ. ბარტოლდის[109], ლ. გუმილიოვის[110], ვ. სამარკინის[111],

---

[105] შ. რევიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53-103.
[106] იქვე, გვ. 83-84.
[107] იქვე, გვ. 60-70.
[108] იქვე, გვ. 57, 103.
[109] В. В. Бартольд, Сочинения, Т. IX, М., 1977; «О христианстве в Тур-

ვ. დარკევიჩის[112], ასევე, გერმანელი მკვლევრის ანა დოროთეა ბრინკენის[113] შეხედულებებზე და აღნიშნავს, რომ მათ პირდაპირი მნიშვნელობით მიიღეს ეპისტოლეში და შემდგომ, ლეგენდებში მოცემული იოანე პრესვიტერის სამფლობელოების, კერძოდ, ინდოეთის, აბისინიის, ჩინეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მინიშნებები და სულ ტყუილად ეძებეს მისი სამეფოს ისტორიული ტერიტორიები მითითებულ ქვეყნებში, რამაც მკვლევართა დიდი ნაწილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ იოანეზე შექმნილი ლეგენდა მისტიფიკაციად, ხოლო მისი სამეფო კი – ფიქციად გამოეცხადებინათ. შ. რევიშვილი კი ამ მეცნიერთა მცდარ აზრს ხსნის საქართველოს ისტორიის უცოდინარობით და გერმანული წყაროების გაუთვალისწინებლობით[114].

ბოლო დროს ამ საკითხს შეეხო ალ. თვარაძე თავის მონოგრაფიაში „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში", სადაც ავტორმა ახალი ანალოგიები მოგვცა იოანე პრესვიტერის პიროვნებისა და მისი სამეფოს ქართულ ისტორიულ სამყაროსთან დაკავშირებით. მან თავისი დასკვნები ძირითადად დაუკავშირა შუა საუკუნეების ევროპული კარტოგრაფიის მასალებს, სადაც კავკასიის მხარე, კასპიის კარით გოგისა და მაგოგის ხალხებით, ბიბლიური მდინარეებით ერთ გეოგრაფიულ არეალშია მოთავსებული. ევროპული კარტოგრაფიის ანალიზით კი ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქართულ სახელმწიფოს აღმოსავლეთში ცენტრალური ადგილი უჭი-

---

кестане в домонгольский период (по поводу семиреченских надписей)», Сочинения т. II, ч. 2, М., 1964.

[110] Л. Гумилев, დასახ. ნაშრომი.

[111] В. Самаркин, Историческая география западной Европы в средние века, М., 1976.

[112] В. Даркевич, Аргонавты средновековья, М., 1976.

[113] Anna-Dorothea von der Brincken, დასახ. ნაშრომი.

[114] შ. რევიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59, 103.

რავს და გეოგრაფიული თვალსაზრისით ის ზუსტად ჯდება იმ არეალში, სადაც იოანე პრესვიტერის სამეფო წარმოისახება 1165 წლის ცნობილი ეპისტოლეს მიხედვით. ამავე დროს, გარდა ამ ანალოგიებისა, ა. თვარაძე იოანე პრესვიტერის პიროვნების პროტოტიპებს ეძებს ქართულ ისტორიულ სამყაროში, კერძოდ, XII-XIII საუკუნეების ქართველი ისტორიული პერსონაჟების მოქმედებანი საფუძვლად დაედო იოანე პრესვიტერის ლეგენდას. დროთა განმავლობაში ჯვაროსანთა ფანტაზიებში მან ასეთი ჩამოყალიბებული სახე მიიღო და ერთ საერთო წარმოდგენაში გაერთიანდა. ავტორი მინიშნებებს აკეთებს იოანეს სახელთან დაკავშირებით და ანალოგიებს ჰპოვებს დავით IV-ის დროინდელ პატრიარქ იოანეს, ასევე მეფის მოძღვარ იოანეს, გიორგი III-ის დროინდელ მწიგნობართუხუცეს – ჭყონდიდელ იოანეს ისტორიულ ფიგურებთან. ა. თვარაძე თანადამთხვევებს პოულობს პრესვიტერის ზედწოდებასა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ხელისუფლების ხასიათს შორის. ასევე პრესვიტერთან მიმსგავსებულია მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ბერძნული ზედწოდება პროტოიპერტიმოსი[115].

საინტერესოა ზ. ავალიშვილის, შ. ბადრიძის, შ. რევიშვილის, ალ. თვარაძის და სხვათა მოსაზრებანი, იოანე პრესვიტერისა და საქართველოს ძლევამოსილი მეფის დავით აღმაშენებლის იდენტურობის შესახებ, თუმცა, ჩვენ ამ საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისი გაგვაჩნია. ვფიქრობთ, რომ ამ ლეგენდარული მეფის პროტოტიპი უნდა ყოფილიყო ევროპელთათვის უცნობი ისტორიული ფიგურა და მისი სამეფო კი – ნაკლებად ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული სამყარო. დავით აღმაშენებელს კი ევროპელები იმ დროს უკვე რეალურად იცნობდნენ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. გავიხსენოთ

---

[115] ალ. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004, გვ. 212-219.

1107-08 წლების ანსელუსის წერილი, რომელიც ეხება დავითის მიერ იერუსალიმში მყოფი ჯვაროსნებისათვის სასწაულმოქმედი ჯვრის ბოძების საკითხს. ამ წერილში პირდაპირ არის მითითებული, რომ დავით აღმაშენებლის საქართველო მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე ბურჯია[116]. არსებობს გვიანდელი, მაგრამ მაინც საინტერესო ცნობა იერუსალიმის მეფის ბოლდუინ II-ის საქართველოში მოსვლისა და მისი დავითთან სტუმრობის შესახებ[117]. ისტორიკოსებს შეიძლება ეს ფაქტი საეჭვოდაც მიაჩნიათ, მაგრამ ხელაღებით ვერ უარყოფენ მის ისტორიულ რეალობას. აღნიშნავენ იმასაც, რომ დიდგორის ველზე დავითის ლაშქარში ჯვაროსანთა რაზმის მონაწილეობა შეიძლება სწორედ ამ ელჩობის თუ სტუმრობის შედეგი იყო. ეს ამბავი თარიღდება დაახლოებით 1119 წ.

ამ წყაროებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ანტიოქიის კანცლერ გოტიეს ცნობები დიდგორის ომის შესახებ. ავტორი საინტერესო მონაცემებს გვაძლევს ამ ბრძოლის, მებრძოლ ძალთა რაოდენობისა და მათი ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. მოჰყავს დავითის მიმართვა ჯარისადმი ომის დაწყების წინ[118].

როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ამ გამარჯვებამ განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია ჯვაროსნებში და სწორედ რომ მცირე აზიაში მყოფთაგან გავრცელდა ევროპა-

---

[116] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17-18.

[117] იოანე ბატონიშვილის ეს ცნობა ჩვენ აღებული გვაქვს კ. კეკელიძის ნაშრომიდან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", თბ., 1941 წ. ვ. კოპალიანის აზრით ეს ცნობა უნდა ეხებოდეს იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II-ეს (1118-1131 წწ.) „საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და ჯვაროსნებთან XI-XII საუკუნეები. კრბ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 99. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ი. ბერაძე, საქართველოსთან ჯვაროსნების ურთიერთობის საკითხისათვის. თსუ შრომები, ტ. 87, თბ., 1960, გვ. 289.

[118] ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 196-200.

ში რეალური ხმები საქართველოსა და მისი ძლევამოსილი მეფის შესახებ.

იოანე პრესვიტერის ამბავი ვრცელდება XII ს. 40-იან წლებში. კერძოდ, ეს ისტორია მიყვება მოსულის ათაბაგის მიერ 1144 წ. ედესის აღების ამბებს. დიდგორის ომისა და დავითის გარდაცვალების შემდგომ, ამ ეპოქამდე განვლო თითქმის მეოთხედმა საუკუნემ და მიუხედავად იმ პერიოდის მწირი კომუნიკაციური საშუალებებისა, მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ 1121-1125 წლებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა და საეჭვოა, რომ ამ ხნის მანძილზე ამ ისტორიებს ასე დიდხანს ევლოთ ჯვაროსანთა წარმოდგენებში და ასეთი შეცვლილი სახით მიეტანათ შემდგომში იგი ევროპაში, 1145 წელს.

როგორც აღვნიშნეთ, შ. ბადრიძეს პარალელები აქვს გავლებული იოანე პრესვიტერის უძველეს წყაროსა და დიდგორის ომის ისტორიებს შორის. პარალელები საკმაოდ საინტერესოა: მებრძოლ ძალთა ეთნიკური დახასიათება, ომის მიმდინარეობა, მისი ხანგრძლივობა, გამარჯვების შემდეგ იოანეს მიერ ეკბატანას[119] აღება – დავითის მიერ ომის შემდგომ თბილისის, ანისის, შირვანის აღება-შემოერთება. თუმცა,

---

[119] ეკბატანა – Εκβατανα, Αγβατανα– ძველი ბერძნული სახელწოდება დღევანდელი ჰამადანისა. ძვ. ირანული ფორმა ჰაგმატანას. იხსენიება ასირიულ წარწერაში ძვ. წ. XI საუკუნეში, როგორც ამატანა. მიდიის დედაქალაქი ძვ. წ. აღ. VII-VI სს. 550-549 წლებიდან აქემენიდების იმპერიის ცენტრი. სპარსელი მეფეების საზაფხულო რეზიდენცია. იდგა ძველი ირანული ნაყოფიერების ქალღმერთის ანაჰიტის ტაძარი. გარს ერტყა შვიდი კედელი სხვადასხვა ფერის და სიმაღლის. სელევკიდების, პართელების და სასანიდების დროს უმნიშვნელოვანესი ცენტრი მესოპოტამიისაკენ მიმავალ გზებზე აღმოსავლეთისაკენ. VII ს. დაიპყრეს არაბებმა XI ს. ოღუზებმა-სელჩუკებმა. 1118-1194 წწ. ირანის სელჩუკების დედაქალაქი. 1220 წ. აიღეს მონღოლებმა. XVI-XVIII სს. სეფიანთა სახელმწიფოში შედიოდა. ლიტ.: Советская историческая Энциклопедия, т. 15, М., 1974, т. 16, М., 1976. Екбатана, Хамадан, Библийский Словарь, составил Эрик Нюстрем, перевод со шведского под редакций И. С. Свенсона, Торонто, 1987.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ამ ისტორიულ ფაქტებს ასეთი ქრონოლოგიური პრინციპით გავყვებით, მაშინ ეკბატანას აღება ოტო ფრაიზინგის მიხედვით მოხდა მანამ, სანამ ის ცნობილი გენერალური ბრძოლა მოხდებოდა იოანესა და მის მოწინააღმდეგეებს შორის. ჩვენი აზრით, ეს პარალელები საეჭვოა, რადგან თბილისის და სხვა მხარეების აღება მოხდა დიდგორის ომის შემდგომ. რაც შეეხება ომის ხანგრძლივობას, სადაც საუბარია ძირითადად სამ რიცხვზე – დიდგორის ომი სამი საათი გაგრძელდა, იოანეს ბრძოლა მოწინააღმდეგეებთან სამი დღე მიმდინარეობდა, გოტიეს ცნობით დიდგორთან გამარჯვების შემდეგ დამარცხებული თურქთა დევნა სამი დღე გრძელდებოდა – ეს ციფრები მაინც ზოგადი დამთხვევებია და ამ ომების პარალელებად, ჩვენი აზრით, არ გამოდგება. უნდა აღინიშნოს, რომ იოანე პრესვიტერის სახელით შედგენილ ცნობილ ეპისტოლეში ხშირად ფიგურირებს საკრალური ციფრები სამი და შვიდი.

ფ. ბრუნს და შ. ბადრიძეს იოანე პრესვიტერის ისტორიის პარალელები გავლებული აქვთ დემეტრე I-ის მოღვაწეობასთან. ძირითადი არგუმენტები ეხება დემეტრეს სამხედრო ექსპედიციებს ამიერკავკასიაში არსებული მაჰმადიანური სამხედრო კოალიციებისა თუ პოლიტიკური ცენტრების წინააღმდეგ. ყურადღება გამახვილებულია დემეტრეს მიერ 1130 წელს ხლათის სულთნის სუქმან II-ის კოალიციის დამარცხებისა და 1139 წელს მის მიერ არანის ქალაქ განჯის დარბევაზე. ჩვენი აზრით, დემეტრეს ეპოქაზე აქცენტის გაკეთება იმ კუთხით არის მნიშვნელოვანი, რომ მისი საქმიანობის პერიოდი ძალიან უახლოვდება იოანე პრესვიტერზე უძველესი ცნობების გაჩენის ხანას. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება გაგვაჩნია. კერძოდ, საქმე ეხება 1139 წელს ქართველთა მიერ ქალაქ განჯის დაპყრობის ამბავს. როგორც ცნობილია, იმ ხანებში განჯა დააზიანა ძლიერმა მიწისძვრამ. სწორედ ამ სტიქიურ უბედურებას უკავშირებენ ისტორიკოსები

ქართველთა მიერ ქალაქის აღებისა და გაძარცვის ფაქტს. არაბი და სომეხი ისტორიკოსების ცნობით ჯარებს სათავეში ედგა ივანე (იოანე) აბულეთისძე. ალ-ისფაჰანის და მხითარ გოშის ცნობით ქართველებმა დიდძალი სიმდიდრე და ტყვეები ჩაიგდეს ხელთ და გამარჯვების აღსანიშნავად განჯის კარებიც წამოიღეს საქართველოში. ამ ფაქტმა ძალიან დიდი შეშფოთება გამოიწვია მაჰმადიანებში, კერძოდ არაბი ისტორიკოსი ალ-ისფაჰანი წყევლა-კრულვას უგზავნის ივანე აბულეთისძეს განჯაში ჩადენილი საქციელისათვის. იგი გადმოგვცემს: „ქალაქი განჯა და მისი სანახები ჩაიქცა. და რომ [განჯა] მიწისძვრამ დაანგრია და დაიქცა. თითქოსდა ის მიწამ გაანადგურა. და მას ურწმუნო აბხაზები და ქართველები დაესხნენ... აფხაზთა ლაშქრის სპასალარს ივანე აბუ ლ-ლაᲰის ძეს ალაჰიც დასწყევლის მას მიწისძვრისთვის უბედურებები და გაჭირვებისათვის გაჭირვებები დაემატებინა"[120].

რაც შეეხება მხითარ გოშის ცნობებს, ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დემეტრეს ლაშქარმა, რომელსაც მეთაურობდა სპასალარი ივანე აბულეთისძე, დანგრეული ქალაქიდან დიდძალი სიმდიდრე წაიღო. „ისინი იქცეოდნენ უმოწყალოდ და შეუბრალებლად, თავს ესხმოდნენ გადარჩენილებს და ერთიანად მუსრავდნენ და ატყვევებდნენ..."[121]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განჯის მმართველი სელჩუკიანთა სულთნის სანჯარის მიერ იყო დანიშნული და ქალაქი თურქთა ერთ-ერთ მთავარ ფორპოსტს წარმოადგენდა კავკასიაში. გავიხსენოთ, სანჯარის არმიას ებრძვის სამარყანდთან ყარახატაელების მეთაური იელიუდაში. ალ-ისფაჰანი იმასაც გადმოგვცემს, რომ არანის გამგებელმა ყარა-სონყურმა შური

---

[120] გ. ჯაფარიძე, რამდენიმე ეპიზოდი დემეტრე I-ის ზეობის ხანიდან არაბულ ისტორიულ წყაროებში. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, მაცნე, ტ. II, თბ., 1992, გვ. 121-123.

[121] ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", ქართული წყაროთმცოდნეობა II, თბ., 1968, გვ. 38-39.

იძია ქართველებზე, დაამარცხა ისინი და განჯის კარები კვლავ უკან დაიბრუნა, მაგრამ ცნობილია, რომ ეს ამბავი სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, მართალია ყარა-სონყურის მიერ განჯის ქალაქის კარების კვლავ უკან დაბრუნება მცდარია (განჯის ალაყაფის კარების ფრაგმენტი დღესაც გელათში ინახება არაბულ-ქართული წარწერით), მაგრამ მემატიანეთა მიერ ნახსენები საპასუხო ლაშქრობა საქართველოში შურის საძიებლად მართალი უნდა იყოს, რადგან ლ. დავლიანიძის აზრით, დემეტრე I-ს არანის ათაბაგის შემოსევა უპასუხოდ არ დაუტოვებია, მას ფეხდაფეხ მიჰყოლია და ნორბერდში დაუმარცხებია კიდეც, რაც მხითარ გოშისა და მხითარ აირავანელის ცნობების ურთიერთშეჯერებით დასტურდება[122]. უნდა ითქვას, რომ ქართველებმა კარგა ხნის შესვენების შემდეგ მოაწყვეს ეს დიდი სამხედრო ექსპედიცია არანში, ამან საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია და მართლაც შეაშფოთა ამიერკავკასიისა და მეზობელი ქვეყნების მაჰმადიანი მმართველები. ხომ არ შეიძლება ამ ფაქტს რაიმე გავლენა მოეხდინა იოანე პრესვიტერის ისტორიის გავრცელებაზე? როგორც ირკვევა, სახელი იოანეთი იმ პერიოდის არცერთი მმართველი არ გვხვდება, გარდა იოანე კომნენოსისა, რომელმაც 1141 წელს მოაწყო ლაშქრობა სირიაზე. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იოანე კომნენოსის სამფლობელოები ოტო ფრაიზინგის მიერ დასახელებულ გეოგრაფიულ რეგიონებთან არავითარ შესაბამისობაში არ მოდის. იგი ბიზანტიის იმპერატორი იყო და სირიაში მყოფი ჯვაროსნებისათვის მისი სამფლობელოები ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა და მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც სელჩუკებმა ბიზანტიას XI ს. II ნახევარში ფაქტიურად მთელი აღმოსავლეთი წაართვეს. შ. ბადრიძის მინიშნება კი

---

[122] ლ. დავლიანიძე, გვ. 29; ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი, თბ., 1990 წ., გვ. 43-44; გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

მნიშვნელოვნად გვეჩვენება, როცა აკეთებს დასკვნას ამიერკავკასიისა და საქართველოს რეგიონზე. ხომ ცნობილია, რომ წყაროში იოანე პრესვიტერის სამფლობელოები ლოკალიზებულია არმენიისა და სპარსეთის მიღმა უკიდურეს აღმოსავლეთში. ეს თეორია იმ შემთხვევაშიც ყურადსაღებია, თუ გავითვალისწინებთ ფ. ბრუნის მოსაზრებას, რომელიც იოანე პრესვიტერის პროტოტიპად მიიჩნევდა საქართველოს ჯარების ამირსპასალარს იოანე ორბელს, რომელმაც 1161 წელს დაამარცხა სპარსელები და აიღო ქალაქი ანისი. როგორც აღვნიშნეთ, ამ თეორიამ კრიტიკას ვერ გაუძლო იმ თვალსაზრისით (რ. ჰენიგი), რომ იოანე პრესვიტერის ამბავი გაცილებით ადრე ვრცელდება (XII ს. 40-იანი წლები). უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ივანე აბულეთისძე ცნობილი მხედართმთავარია, იგი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ივანე მონაწილეობას იღებს ქართველთა მეფის მიერ წარმოებულ მრავალ ლაშქრობაში. ასევე ცნობილია, რომ მას დემეტრე I-თან რთული ურთიერთობები ჰქონდა (გავიხსენოთ დემეტრეს ნახევარძმის ცვატა-ვახტანგის გამოსვლა მეფის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ივანე აბულეთისძე ედგა 1130-31 წლებში) და 1143 წელს იგი დემეტრე I-მა მოაკვლევინა. ამავე დროს, საინტერესოდ გვეჩვენება გ. ოპერტის თეორია, სადაც იგი აერთიანებს იოანე კომნენოსის ლაშქრობის ამბავს და 1141 წელს სამარყანდთან სელჩუკთა სულთნის სანჯარის დამარცხების ისტორიას ყარახატაელების მეთაურთან და ასკვნის, რომ სწორედ ეს ორი ამბავი აირია ერთმანეთში სირიელი ეპისკოპოსისა და ევროპელთა წარმოდგენებში, რომლის შედეგად მივიღეთ ცნობილი ისტორია იოანე პრესვიტერზე. როგორც ჩანს, გ. ოპერტი სახელების დამთხვევაზეც აკეთებდა აქცენტს, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი კვლევა სხვა მიმართულებით აქვს წარმოებული. უფრო მართებული იქნებოდა ამ კონტექსტში ჩაგვესვა ივანე აბულეთისძის განჯაზე ლაშქრობის ისტორია და გაგვე-

ერთიანებინა იგი შუა აზიაში მომხდარ ამბებთან. ეს ისტორიებიც ქრონოლოგიურად საკმაოდ ახლოსაა: ქართველთა ლაშქრობა განჯაზე 1139 წელს მოხდა, ხოლო სამარყანდთან ყარახატაელების გამარჯვება სელჩუკთა სულთან სანჯარზე – 1141 წელს. მაგრამ არც ამ მოსაზრების კატეგორიული მტკიცებაა შესაძლებელი, რადგანაც ივანე აბულეთისძე მეფის რანგში არსად ჩანს და არც რომელიმე ქვეყნის მმართველია, მაგრამ თუ ამ ისტორიებს გავაერთიანებთ, ესეც შეიძლება დავუშვათ, რადგან ყარახატაელების მეთაური იელიუდაში – გიურხანი თურქესტანში ყარახატაელთა სახელმწიფოს ფუძემდებელია და წყაროებითაც უმაღლესი ხელისუფლების რანგში ჩანს.

ვერ დავეთანხმებით რ. ჰენიგს იმ მოსაზრებაში, რომლითაც მეცნიერი აკრიტიკებს ფ. ბრუნის თეორიას იოანე ორბელის ლაშქრობასთან დაკავშირებით და ამტკიცებს, რომ ანისის აღება ისეთი დიდი რეზონანსის გამომწვევი არ იყო, როგორც შეიძლებოდა ეს მომხდარიყო 1141 წელს სამარყანდის ომიდან გამომდინარე. ალბათ, არც ივანე აბულეთისძის ლაშქრობა იყო იმ მასშტაბის, მაგრამ იმ პერიოდში, ქრისტიანთა ყოველი მცირე თუ დიდი გამარჯვება აღმოსავლეთში მყოფ ჯვაროსნებში დიდ რეზონანსს იწვევდა, რაც კარგად ჩანს იმდროინდელ ქრონიკებშიც. მით უმეტეს, თუ ამ ორ ბრძოლას ერთმანეთს დავუკავშირებთ, ჯვაროსანთა წარმოდგენაში გასაგები გახდება ევროპელთა ასეთი გამოხმაურება ამ მოვლენებზე.

ის, რომ დემეტრე I და ივანე აბულეთისძე წყაროების მიხედვით არ აპირებდნენ იერუსალიმის დასახმარებლად ლაშქრობას და ედესის დაკარგვის გამო მათ არც მოსვლიათ თხოვნა დახმარებისა ჯვაროსანთაგან, ბევრს არაფერს ცვლის. არც იმ მეცნიერთა მიერ იოანეს პროტოტიპად წარმოდგენილი იელიუდაშ-გიურხანის ისტორიაში არ არის საუბარი სამარყანდთან სანჯარის დამარცხების შემდგომ ყარახატაელე-

ბის დასავლეთისაკენ, კერძოდ, ტიგროსისაკენ წინსვლაზე. როგორც ვიცით, ყარახატაელების მბრძანებელი ტიგროსის ნაპირებთან არ გამოჩენილა, მისი ყურადღება აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ, ჩინეთისკენ იყო გადატანილი.

ასეთია ჩვენი მოსაზრების ერთი მხარე, სადაც ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ სახელების იგივეობაზე და ამ ფაქტების გავრცელების ქრონოლოგიურ სიახლოვეზე.

რაც შეეხება, იოანეს ზედწოდების – პრესვიტერის ეტიმოლოგიური და ისტორიული მნიშვნელობის გარკვევას, მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საკითხის ამ კუთხით კვლევას, რადგან თვლიან, რომ იოანეს პროტოტიპის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზედწოდების გაშიფვრის საკითხს. იოზეფ სკალიგერი თვლის, რომ Prestegiani (მოციქულებრივი ხანი) – სპარსულია და შეესაბამება ბერძნულ – αποστολικος-ს. ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ Prester-chan არის თაყვანისმცემელთა ხანი. კორნელიუს ლაპიდე აღნიშნავს, რომ Preste ანუ Prete პორტუგალიურია, ნიშნავს Preto – შავს და Preto joan – შავ იოანეს და ამ ახსნას მიჰყავს იგი ეთიოპიის მეფესთან, რომელიც შავი იქნებოდა. Pristeghan–ს უკავშირებდნენ ავტორები ხანის ტიტულს, რომელსაც იღებდნენ მარკო პოლოს მიერ დასახელებული შორეული აზიის ყარახატაელების ტომის ბელადები და მათ შორის ნაწილს ისტორიკოსებისა მიაჩნდა, რომ კერაიტების-ყარახატაელების მეთაური იყო იოანე, რომელსაც ჰქონდა მოციქულთა ხანის ტიტული. ზედწოდება "Owang Chan"– გვხვდება კერაიტების თავადის ტიტულატურაში. კარლ რიტერი – პრესვიტერის ახსნას იღებს Unkkahn–ის სახელიდან. როგორც ჩანს Unkkahn–დან გამოჰყავთ Vang, Vang–Khan, რომელსაც მონღოლ ხანებთან აკავშირებენ[123].

---

[123] G. Oppert, დასახ. ნაშრომი, გვ. 155-200.

უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ბარტოლდმა გააკრიტიკა ეს თეორია. კერაიტების ბელადისათვის „ვან-ხანის" ტიტულის მინიჭება მოხდა XII ს. ბოლოს, გაცილებით გვიან, ვიდრე ეს ლეგენდა იოანეს შესახებ წარმოიშობოდა და ამიტომაც, ამ კუთხით ახსნა არასწორია, თუ ამ ტიტულს მეცნიერები უკავშირებენ კერაიტების ტომის მეთაურს[124]. შ. ბადრიძემ მეფეხუცესის (პრესვიტერის) ზედწოდების წარმოქმნის ისტორია დაუკავშირა დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულ ადმინისტრაციულ რეფორმას, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ხელისუფლების შემოღებას – საერო და სასულიერო ძალაუფლების ერთი მმართველის ხელში თავმოყრას. „დავითის მსგავსად იგი (იოანე) თავის ხელში აერთიანებს საერო და სასულიერო ძალაუფლებას (წყაროს მიხედვით ერთდროულად იგი მეფეცაა და ხუცესიც)", ასკვნის ავტორი[125].

საინტერესო მინიშნებები აქვს გაკეთებული ზედწოდების შესახებ შ. რევიშვილს. ავტორის დასკვნით ლეგენდა იოანე პრესვიტერზე მეტისმეტად შეეფერებოდა შუა საუკუნეების ხალხთა ფსიქოლოგიას. მითი ხუცეს-მონაზონზე ემსახურებოდა ცეზაროპაპიზმის იმ იდეის დამკვიდრებას, რომლის თანახმად სახელმწიფოში საერო მეუფების მოთავე იმავე დროს ეკლესიის მოთავეც არის. იოვანეს დაყენებით ყველა მეფეზე მაღლა, ავტორს სურდა აღმოეფხვრა კათოლიკურ ეკლესიაში გაბატონებული დაქსაქსულობა და ისეთი საეკლესიო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც გადამწყვეტ ძალად იქცეოდა. მას ხელი უნდა შეეწყო საეკლესიო დისციპლინის განმტკიცებისა და პაპის ცენტრალური საეკლესიო ორგანიზაციის შექმნისათვის[126].

აღნიშნული მოსაზრებები პრესვიტერის ზედწოდების

---

[124] В. В. Бартольд, Сочинения, т. II, М., 1963, стр. 632; ამ მოსაზრებას იმეორებს შ. ბადრიძეც, „ჯვაროსნული თქმულება...", გვ. 371-372.
[125] შ. ბადრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 382.
[126] შ. რევიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

ახსნის საკითხში ძალიან საინტერესო და ყურადსაღებია. ჩვენი მხრივ, აღვნიშნავთ, რომ ზოგადად, ეს თქმულება დაკავშირებულია ჯვაროსნულ მოძრაობასთან. იოანე პრესვიტერის ამბავიც ამ ეპოქას ეკუთვნის. ყოველ შესაძლო დახმარებას ვინმეს მხრიდან, ევროპელები ჯვაროსნული იდეის საბურველში ხვევდნენ, მაგალითად, ისინი დავით IV-ს ჯვაროსნადაც მიიჩნევდნენ, მისი მორალური თუ რეალური მხარდაჭერის გამო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ლეგენდაში მეფე-მღვდლის, მეფე-ხუცესის, პრესვიტერი – მღვდლის, მოციქულის ნოდებების გაჩენა სწორედ ჯვაროსნულ იდეას უკავშირდება. უფლის საფლავისათვის მებრძოლი საერო და სასულიერო მხარეებს აერთიანებდა. ერთ ხელში – ჯვარი, მეორეში – მახვილი და ასე იყო მთელი ამ მოძრაობის მანძილზე. გავიხსენოთ ცნობილი სასულიერო-სარაინდო ორდენების: ტამპლიერების, იონიტების (ჰოსპიტალიერების) და სხვათა იდეები და მათი გარეგნული მხარეები. აქაც, იოანე მეფე-მღვდელი იერუსალიმისათვის და უფლის საფლავისათვის მებრძოლია. თანაც ასეთ თანამდებობას – ხელისუფლებას ვერ ვნახავთ იმ პერიოდის პოლიტიკურ აღმოსავლეთში. რაც შეეხება, დავითის მიერ შექმნილ საერო-სასულიერო ხელისუფლებას – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, ეს ჯვაროსნული იდეისგან შორს იდგა და სხვა მიზნებს ემსახურებოდა.

მაგრამ, ჩვენი ძირითადი შეხედულებები ამ საკითხში სხვა კუთხითაც არის წარმოდგენილი. კერძოდ, ეს ეხება იოანე პრესვიტერის ისტორიის დაკავშირებას სახარებაში იოანეს გამოცხადების ამბავთან.

თუ დავუკვირდებით იოანე პრესვიტერის არქეტიპულ ვერსიას, შესაძლებელია პარალელების გავლება სახარებისეულ გამოცხადებასთან. გავიხსენოთ ოტო ფრაიზინგის მიერ გადმოცემული ამბავი: „რამოდენიმე წლის წინ ვინმე მეფემ და მღვდელმა იოანემ, რომელიც სპარსეთისა და სომხეთის მიღმა უკიდურეს აღმოსავლეთში ცხოვრობს და რომელიც თავის

ხალხთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელი იყო, ოღონდ ნესტორიანული ეკლესიის, შეებრძოლა სპარსეთისა და მიდიის მეფის ძმებს, შამიარდოდ წოდებულებს, დაიპყრო მათი სატახტო ქალაქი ეკბატანა, რომელიც ადრე მოვიხსენიეთ. ხსენებული მეფეები თავისი სპარსული, მიდიური და ასირიული ჯარებით შეებრძოლნენ მოწინააღმდეგეს. სამი დღის განმავლობაში გაუნიეს მათ წინააღმდეგობა, რადგან ორივე მხარეს სიკვდილი ერჩიათ გაქცევას. ბოლოს პრესბიტერმა იოანემ, ასე უწოდებდნენ მას, აიძულა სპარსელები გაქცეულიყვნენ და გამარჯვებული დარჩა. როგორც შემდგომ ეპისკოპოსი მოგვითხრობს, ამ გამარჯვების შემდეგ ხსენებულ იოანეს უნდოდა იერუსალიმის ეკლესიას დახმარებოდა, მაგრამ ჯარმა სამგზავრო საშუალებების უქონლობის გამო ტიგროსზე გადასვლა ვერ შეძლო. ის ჩრდილოეთისკენ გაემართა, რადგან მას მოახსენეს, რომ მდინარე იქ გაყინული იყო. მაშინ აქ მან რამდენიმე წელი დაჰყო, ელოდა რა ყინვების დადგომას, მაგრამ ამინდი კვლავინდებურად მისი გეგმებისათვის არახელსაყრელი რჩებოდა. ...ის მეფე სახარებაში მოხსენიებული მოგვების ჩამომავალია და იმავე ხალხზე მბრძანებლობდა, რომლებზეც თავის დროზე მოგვები მეფობდნენ. მისი დიდება და სიმდიდრეც ისე დიდი ყოფილა, რომ იგი ერთი ზურმუხტის სკიპტრით სარგებლობდა. თავისი წინაპრების მაგალითმა, რომლებიც გზას გაუდგნენ, რათა აკვანში მყოფი ქრისტესათვის თაყვანი ეცათ, უბიძგა მას გაელაშქრა იერუსალიმზე, მაგრამ შექმნილი გარემოება აღნიშნულის განხორციელებას ხელს უშლიდა".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ლეგენდის საფუძველი არის იოანე მოციქულის გამოცხადება – აპოკალიფსი, სასჯელი ღვთისა დედამიწაზე არსებული ყოველი უწმინდური ძალისა და მისი მიმდევრების მიმართ. ამას მიანიშნებს ის მომენტიც, რომ ხალხთა წარმოდგენაში იოანე პრესვიტერი არ ბერდება, არ კვდება, ცოცხლობს საუკუნეების განმავლობაში.

აღნიშნული ცნობა შევადაროთ გამოცხადების სახარებისეულ ვერსიას, სადაც საუბარია აპოკალიფსურ გამოცხადებაზე: თავი 19. „სიხარული ზეცაში ბაბილონის დაცემის გამო".

თეთრცხენოსანი მხედარი, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი

ვიხილე ცა გახსნილი და თეთრი ცხენი და მისი მხედარი, იწოდება სარწმუნოდ და ჭეშმარიტად და სიმართლით განიკითხავს და იბრძვის.

მისი თვალები ცეცხლის ალსა ჰგავდა, თავზე მრავალი ჯიღა ედგა და ზედ ეწერა სახელი, რომელიც მის მეტმა არავინ იცის.

ემოსა სისხლში ამოვლებული სამოსელი, მისი სახელია: „ღვთის სიტყვა".

ციური ლაშქარი მისდევდა მას თეთრ ცხენებზე, თეთრი და წმინდა ბისონით შემოსილი.

მისი პირიდან გამოდიოდა ბასრი მახვილი, რომელიც შემუსრავს ერებს და იგი დამწყემსავს მათ რკინის კვერთხით. იგი წურავს ყოვლისმპყრობელი ღვთის რისხვის მძვინვარების ღვინის საწნეხელს.

მის სამოსელზე და მის თეძოზე აწერია სახელი: „მეფეთ მეფე და უფალთ უფალი".

მხეცი ჩაგდებულია ცეცხლის ტბაში

ვიხილე მხეცი და დედამიწის მეფენი და მათი ლაშქარნი შეკრებილნი, რათა შებმოდნენ მხედარსა და მის ლაშქარს.

შეპყრობილ იქნა მხეცი და მასთან ერთად ცრუწინასწარმეტყველი, რომელიც სასწაულებს ახდენდა მის წინაშე, ორივენი ცოცხლად იქნენ ჩაყრილნი ცეცხლის ტბაში...

დანარჩენები დაიხოცნენ მახვილით, რომელიც ცხენზე მჯდომარის პირიდან გამოდიოდა, და ყველა ფრინველი გაძღა

მათი ხორცით[127].

გამოცხადებაში ასევე საუბარია ბაბილონის დაცემის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა „ეშმაკთა სამკვიდროს და ყოველი არაწმინდის სულის თავშესაფარს".

როგორ ჰგავს მეფე-უფალის გამოცხადება და მის მიერ ცრუ წინასწარმეტყველთა და მათი მომხრეების განადგურება იოანე პრესვიტერის ძლევამოსილი მხედრობის გამარჯვების ისტორიას. რომ გავიხსენოთ ოტო ფრაიზინგის გადმოცემის ფრაგმენტები, მრავალ ალეგორიას დავინახავთ: ბრძოლა მაჰმადიანთა კოალიციის წინააღმდეგ, ეკბატანას აღება, სპარსულ-მიდიურ-ასირიული ჯარების დამარცხება, იერუსალიმის დახსნისთვის სვლა.

შევადაროთ ბაბილონის დაცემა და იოანეს მიერ ეკბატანას აღება. მართალია, წყაროში ფართოდ არ არის ასახული ეკბატანას დაცემის ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ, როგორც ცნობილია იგი წარმოადგენდა აღმოსავლეთის სამყაროს ერთ-ერთ ცენტრს, რომელშიც გაერთიანებული იყო წარმართული, ზოროასტრული და მაჰმადიანური იდეოლოგიური და კულტურული რეალიები.

იოანეს გამოცხადებაში (ოცდამეერთე თავი) საუბარია იერუსალიმის ხილვებზე. „ვიხილე წმინდა ქალაქი ახალი იერუსალიმი, რომელიც ღვთისგან ეშვებოდა ციდან გამზადებული, როგორც თავისი ქმრისათვის მორთული სასძლო"[128]. ოტო ფრაიზინგის ცნობით, იოანე პრესვიტერი მოგვების ჩამომავალია, რომელსაც აღთქმა დაუდევს, რათა წასულიყო იერუსალიმში, წინაპრების მაგალითის მსგავსად, რომლებმაც აკვანში იხილეს უფალი.

---

[127] ახალი აღთქმა და ფსალმუნები „იოანე მოციქულის გამოცხადება", გადამუშავებული გამოცემა, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1992, გვ. 515-516. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.

[128] იოანე მოციქულის გამოცხადება, გვ. 518.

განსაკუთრებით სავსეა ბიბლიური სიუჟეტებით იოანე პრესვიტერის სახელით შედგენილი ეპისტოლე (1165 წ.).

კერძოდ, საუბარია, როგორც ბიბლიურ პერსონაჟებზე, ასევე ბიბლიურ ხალხებზე, ისტორიულ-გეოგრაფიულ მინიშნებებზე, ქრისტეს მოციქულებზე: წმინდა თომაზე და დანიელ წინასწარმეტყველზე, ბაბილონის უდაბნოზე, გოდოლზე, ბაბილონის ურჩხულზე. უნდა აღინიშნოს, რომ იოანე პრესვიტერის სამეფო მოიცავს ბიბლიურ მხარეებს ან ესაზღვრება მას: ბაბილონის გოდოლს, გოგისა და მაგოგის ხალხებს. ჩამოთვლილია ამ ხალხთა სახელებიც, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელმა ჩაკეტა მთებში (აღსანიშნავია, რომ როდესაც შ. რევიშვილი პარალელებს ავლებს იოანე პრესვიტერის სამეფოსა და კავკასიას შორის, მიანიშნებს სწორედ გოგისა და მაგოგის ხალხებზე და მის ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობაზე) და ეს ერები, როგორც იოანეს ეპისტოლეში წერია, „ქვეყნის დასასრულიდან ანტიქრისტეს პერიოდიდან დედამიწის ოთხივე ნაწილიდან მოვარდებიან... წინასწარმეტყველთა თქმით თავისი საზარელი საქციელის გამო, ეს ერები არ გადიან სამსჯავროზე... ციდან ჩამოვა ცეცხლი და ღმერთების მრისხანება და მათგან ფერფლიც არ დარჩება"[129] – შეიძლება პარალელი გავავლოთ სწორედ იოანეს გამოცხადებაში ჩვენს მიერ მოტანილ ფრაგმენტებთან, სადაც საუბარია მეუფე-უფალის მიერ ცრუწინასწარმეტყველთა და წარმართთა განადგურებაზე: „როცა ათასი წელი შესრულდება, გათავისუფლდება სატანა თავისი საპყრობილედან.

და გამოვა დედამიწის ოთხივე კუთხეში, რათა შეაცდინოს ერები გოგი და მაგოგი, შეკრიბოს ისინი საბრძოლველად, რომელთა რიცხვი ზღვის ქვიშასავითაა.

---

[129] იოანე პრესვიტერის ეპისტოლეს ფრაგმენტები ამოღებულია ოპერტის ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან „Der Presbyter Iohannes in Sage und Geschichte".

გამოვიდნენ სივრცეზე, გარს შემოერტყნენ წმიდათა ბანაკს და საყვარელ ქალაქს. ჩამოვიდა ცეცხლი ზეციდან და შთანთქა ისინი.

ხოლო ეშმაკი, რომელმაც აცდუნა ისინი, ჩაგდებულ იქნა ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც მხეცი და ცრუწინასწარმეტყველი იმყოფებიან, და იტანჯებიან დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე"[130].

ეპისტოლეში აღნიშნულია, რომ იოანე პრესვიტერი აღემატება დედამიწაზე ყველას, 72 მეფე უხდის ხარკს, ამავე დროს არის ყველა ქრისტიანის, ღარიბის, ჩაგრულის შემწე. მისი სამეფო მოიცავს სამ ინდოეთს. მისი ქვეყანა გადაჭიმულია ინდოეთის გადაღმაც, სადაც განისვენებს წინასწარმეტყველის თომას სხეული, მისი ტერიტორიები ვრცელდება სამხრეთიდან აღმოსავლეთისაკენ, გაყვება უდაბნოს და გაუხვევს გვერდით ბაბილონისაკენ, ბაბილონის გოდოლთან ახლოს. ასევე აღსანიშნავია, რომ იოანეს სამეფო მდებარეობს სამოთხის ბაღთან და მდინარეები, რომელიც მოედინება მის სამეფოში, ჩადის სამოთხის ბაღში. და ამ მდინარეთა წყაროები ოლიმპის მთის ძირშია, რომელიც სამოთხიდან სამი დღის სავალზეა.

ეპისტოლეში საუბარია ასევე, დანიელ წინასწარმეტყველისა და თომა მოციქულის საძვალეებზე, რომლებიც იოანე პრესვიტერის სამეფოში მდებარეობენ და მათ სინმინდეს იცავდნენ მისი მხედრები.

იოანე მბრძანებელია ებრაელთა 10 ძირითადი შტოსი, რომლის მეფეები ხარკს უხდიან მას და თავიანთი ტომებით ცხოვრობენ მისი სამეფოს საზღვრებში – შევადაროთ ბენჟამინ ფონ ტუდელას ცნობები (1160 წ.), ისიც მოგვითხრობს ებრაელთა მოსახლეობაზე – ოთხ ძირითად შტოზე. ნისბუნის ქალაქებში, მდინარე კოზანის სანაპიროზე, მიდასის მთებში –

---

[130] იოანე მოციქულის გამოცხადება, გვ. 517.

სწორედ ამ ადგილებში ნახა პარასის (სპარსეთი) მეფემ ეს ხალხები, როცა იგი მიდიოდა თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც აღვნიშნეთ, გ. ოპერტის აზრით, ბენჟამინ ფონ ტუდელას ცნობები პირველი არაპირდაპირი მინიშნებებია ოტო ფრაიზინგის გადმოცემული ისტორიის შემდეგ და ეს ცნობები პარალელებია სამარყანდის 1141 წლის ომსა და პარასის მეფესა და თურქთა ტომების ბრძოლის ისტორიისა.

ეპისტოლეში საუბარია ამაზონებზე და ბრაჰმანებზე, რომლებზეც მბრძანებლობს იოანე პრესვიტერი, საუბარია ციურ დარბაზზე, რომელიც იმ გეგმის მიხედვითაა აგებული, როგორიც მოციქულმა თომამ ინდოეთის მეფე გუნდოფორუს აუგო. იოანე მფლობელია ძვირფასი და სასწაულმოქმედი ქვების. მისი სასახლე შემკულია ძვირფასი ჯიშის ხის მასალისაგან და ჭიშკარი, მაგიდები მოპირკეთებულია წითელი გრანიტის, სარდიონის, ამეთვისტოს, ზურმუხტის თვლებისაგან – იოანეს გამოცხადებაში ვკითხულობთ: ...აჰა ტახტი იდგა ცაში და ვიღაც იჯდა ტახტზე

ვინც იჯდა, შესახედაობით წააგავდა იასპის ქვას და სარდიონს, ხოლო ცისარტყელა ტახტის ირგვლივ შესახედაობით წააგავდა ზურმუხტს

ტახტის ირგვლივ ოცდაოთხი ტახტი იყო, ხოლო ტახტებზე ისხდა ოცდაოთხი უხუცესი, რომელთაც ემოსათ თეთრი სამოსლები და თავებზე ოქროს გვირგვინები ედგათ.

ოცდაოთხი უხუცესი დაემხო ტახტზე მჯდომარის წინ და თაყვანი სცა უკუნითი უკუნისამდე ცოცხალს...

შენ ღირსი ხარ უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება პატივი და ძალა...[131]

ამავე გამოცხადებაში ჩვენ ვხვდებით ახალი იერუსალიმის, მისი კარიბჭის და სასახლის აღწერილობას:

„მისი გალავანი იასპით იყო ნაგები, ხოლო ქალაქი იყო

---

[131] იოანე მოციქულის გამოცხადება, გვ. 496.

წმიდა ოქრო, მსგავსი წმიდა მინისა.

ქალაქის გალავნის საძირკვლები მოპირკეთებელი იყო ყოველნაირი ძვირფასი ქვებით. პირველი საძირკველი იყო იასპი, მეორე – საფირონი, მესამე – ქალკედონი, მეოთხე – ზურმუხტი

მეხუთე-სარდონიქსი, მეექვსე – სარდიონი... მეცხრე-ტოპაზი, მეათე ქრისოპრასი... მეთორმეტე – ამეთვისტო.

თორმეტი კარიბჭე თორმეტი მარგალიტი იყო...

მისი კარიბჭენი დღისით არ დაიკეტება, რადგან ღამე არ იქნება იქ

მიიტანენ იქ ერების დიდებასა და პატივს

ვერ შევა მასში ვერაფერი უწმიდური და ვერც ერთი სიბილწის და სიცრუის ჩამდენი..."[132].

იოანეს სამეფოში სრული იდილია სუფევს – აღნიშნულია, რომ მისი მცხოვრებნი გამორჩეულნი არიან სიკეთით, სიყვარულით, მათთვის უცხოა მტრობა, ბოროტება, ცუდ საქმეს ვერც ვერავინ ბედავს. თვით სიკვდილის სცენაც კი გაიდიალებული და გალამაზებულია. ამ სამეფოში გარდაცვალებაც რაღაც გეგმაზომიერ მოვლენად არის შეფასებული. წარმავალმა იცის, თუ, როდის ჩააბარებს სულს თავის შემქმნელს და თვითონ წვება საფლავში, რომელსაც დასტირიან მისი ახლობლები.

ამ სამყაროს ფლორა და ფაუნაც იდეალური და ფანტასტიკურია. აქ ხარობს უამრავი მცენარე, რომელთაც სამკურნალო თვისებები აქვთ და სიცოცხლის ელექსირს წარმოადგენენ.

აქ სახლობენ ცხოველები და სხვა სულიერი არსებანი, რომლებიც ვნებას არ აყენებენ ადამიანებს. როცა საუბარია შხამიან ქვეწარმავლებზე, თუ სხვა საზარელ არსებებზე, მათი საცხოვრისი ეხება სამეფოს საზღვრებს ან უდაბნოს მხარე-

---

[132] იოანე მოციქულის გამოცხადება, გვ. 519.

ებს, კერძოდ, ბაბილონის უდაბნოს, სადაც არის დანიელ წინასწარმეტყველის საფლავი და საითკენაც ყოველწლიურად მიემართება იოანე პრესვიტერი თავისი მხედრობით რათა თაყვანი სცეს ამ წმინდა ადგილს[133].

ეპისტოლედან უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლებიც პარალელურია ბიბლიური სიუჟეტებისა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით. უნდა აღინიშნოს, რომ მინიერი სამოთხის არსებობა ალეგორიულად გადატანილია სადღაც შორეულ აღმოსავლეთში – ინდოეთში. როგორც ცნობილია, მაშინდელ ევროპელთათვის ეს იყო ზღაპრული და საკრალური სამყარო, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ იმ ეპოქაში. ყოველივე არამიწიერიც ინდოეთს თუ მის მიმდებარე მხარეებს ეხება, რაც ევროპელთა წარმოდგენაში ზღაპრული თუ ლეგენდარული ამბებით ვრცელდებოდა. გავიხსენოთ შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი" – აქაც, მოქმედებები ალეგორიულად არაბეთში და ინდოეთშია გადატანილი და არა მარტო ეს პოემა, ან ეპისტოლე, არამედ შუა საუკუნეების მრავალი ეპოსი, ლიტერატურული თუ ისტორიული ჟანრისა, ეხება სწორედ ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებს.

ოტო ფრაიზინგთან ეპისტოლეში საუბარია, რომ იოანე პრესვიტერი არის მოგვების ჩამომავალი და იმდენად დიდი იყო მისი სიმდიდრე და ძალაუფლება, რომ მხოლოდ ერთი ზურმუხტის სკიპტრით სარგებლობდა. იგი განუზომელი სიმდიდრის პატრონია. ხომ არ მიდის ეპისტოლეში არსებული ყველა ეს მინიშნება თუ ალეგორია გრაალის მფლობელისა და მისი სასახლის აღწერილობისაკენ?

იოანე პრესვიტერის სახეს მკვლევართა ნაწილი უკავშირებს გრაალის ტაძრისა და სიმბოლოს მფლობელს. 1145 წელს იოანეს გამოჩენა ევროპელთა წარმოდგენებში – ეს არის სწო-

---

[133] ციტირებულია გ. ოპერტის დასახელებული ნაშრომიდან.

რედ გრაალის მეფის პირველი პირდაპირი წარმოსახვა. როგორც ვიცით ოტო ფრაიზინგის მონათხრობიდან, იოანე პრესვიტერი იყო მფლობელი ჯადოსნური სკიპტრისა, რომელიც ზურმუხტისაგან იყო დამზადებული და მიაჩნიათ, რომ აქ საუბარია სწორედ გრაალის ზურმუხტზე, მის სიმბოლოზე. ასევე საინტერესოა მინიშნებები გრაალის მეფისა და იოანეს ტიტულატურის – „მეფე-ხუცესი" იდენტურობის შესახებ. 1165 წლის ეპისტოლეს მიხედვით, როგორც ვიცით, იოანე აღემატება დედამიწის ყველა ხელმწიფეს არა მარტო თავისი სიმდიდრით თუ ძლიერებით, არამედ არამიწიერი სიმბოლოების ფლობით. საყურადღებოა ის ანალოგიები, რომლებიც გვხვდება ალბრეხტ ფონ შარფენბერგის პოემაში გრაალის მეფის სასახლის და იოანე პრესვიტერის ცნობილ ეპისტოლეში მოცემული მეფის სასახლის აღწერილობისა, მათში არსებული სიმბოლოების შედარების თვალსაზრისით[134].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მინიშნებები მეტად საინტერესო და საყურადღებოა. განსაკუთრებით, თუ ჩავუკვირდებით სახარებისეულ აღწერილობებს ღვთის ტაძრისა და მისი სიმბოლოების შესახებ და პარალელებს გავავლებთ იოანე პრესვიტერის ეპისტოლესა და ალბრეხტ ფონ შარფენბერგის პოემაში არსებულ ანალოგიებს შორის. თუმცა, ამჯერად ეს საკითხი ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს არ შეადგენს.

ასეთია, ძირითადად, ჩვენი მოსაზრებები იოანე პრესვიტერის ისტორიული პროტოტიპებისა და მისი თქმულების მოტივაციის შესახებ. ვფიქრობთ, რომ იოანე მოციქულის გამოცხადება საფუძვლად დაედო ამ ლეგენდის გაჩენას და ჩამოყალიბებას. მისი ისტორიის პირდაპირი გაგრძელებაც – 1165 წლით დათარიღებული ცნობილი ეპისტოლე, მდიდარია ძველი თუ ახალი აღთქმიდან ამოღებული სიუჟეტებით. რა პე-

---

[134] Джон Меттьюз, Традиция Грааля, М., 1997, стр. 105-108; V. Slessarev, Prester Iohn: The Letter University of Minnesota Press, Minneapolis, 1959.

რიოდიდან დაიწყო ევროპელთა წარმოდგენაში ამ სიუჟეტე-ბის ასეთი ფორმით ჩამოკვეთა, ძნელი სათქმელია, შეიძლება რამდენიმე ათეული წლებით ადრე, მანამ, სანამ იოანე პრეს-ვიტერის ისტორიული პროტოტიპები ასპარეზზე გამოვიდოდ-ნენ და იოანე პრესვიტერის სახეც შემოაბიჯებდა (1145 წ.) ხალხთა წარმოდგენებში. ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ ეს ფოლკლორული და ისტორიული გმირი არ სცილდება ჯვაროსნული ეპოქის დასაწყისის ქრონოლოგიურ საზღვ-რებს.

რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიოგრა-ფიაში გამოთქმული მოსაზრებები განხილული საკითხის კვლევის საქმეში. თუმცა ძიების შედეგად გამოიკვეთა, რომ იმ ეპოქაში, არც დასავლეთში და არც აღმოსავლეთში ასეთი ისტორიული პირი – ქვეყნის მმართველი არ ჩანს და – არც ამ ზედწოდების (პრესვიტერი – მეფე-მღვდელი, მეფე-ხუცესი) მატარებელი. მისი სამეფოც, როგორ აღვნიშნეთ და როგორც აღნიშნავენ მკვლევრები, დედამიწის არც ერთ კუთხეში არ არსებობს. ყველაფერი ამ სამეფოს შესახებ გაზვიადებული და გაზღაპრებულია, ამიტომაც, ვფიქრობთ, ამ თქმულების გაჩენას საფუძვლად დაედო სახარებისეული აპოკალიფსი – იოანეს გამოცხადება. ბიბლიურ აპოკალიფსს შიშით ელოდა მაშინდელი სამყარო. რა თქმა უნდა, ქრისტიანულ სამყაროში მიაჩნდათ, რომ აპოკალიფსი ძირითადად თავს დაატყდებოდა წარმართებს თუ მაჰმადიანებს, ქრისტიანობის მტრებს. ეს შე-ხედულებები განსაკუთრებით გამძაფრდა ჯვაროსნობის ეპო-ქაში – წმინდა ომების წარმოების პერიოდში. ევროპაში თუ მცირე აზიაში მყოფი ქრისტიანები, მით უფრო გაჭირვების ჟამს, ყოველთვის ელოდნენ, რომ დედამიწაზე მოვიდოდა ღვთის სასჯელი ურწმუნოების წასალეკად აღმოსავლეთიდან – იმ სამყაროდან, რომელიც მათთვის მიუწვდომელი და შე-უცნობელი იყო და ალბათ, ამიტომაც გადაიტანეს თავიანთ წარმოდგენებში იოანე პრესვიტერის სამშობლო „არმენიისა

და სპარსეთის გადაღმა უკიდურეს აღმოსავლეთში". გავიხსენოთ ისიც, რომ XIII საუკუნეში, როდესაც მონღოლები გამოჩნდნენ, ევროპისა და აღმოსავლეთის ხალხებიც მათ გამოჩენას აპოკალიფსურ წარღვნასაც უკავშირებდნენ და ღვთის სასჯელად მიიჩნევდნენ დედამიწაზე. აღსანიშნავია ასევე, XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის – ჟამთააღმწერლის პოზიცია მონღოლთა გამოჩენისა და საქართველოში მათი შემოსევების შესახებ, რომელთა მოსვლას და მათთან მარცხს მემატიანე ლაშა-გიორგის სამეფო კარზე არსებული უკუღმართობისათვის ღვთის სასჯელად მიიჩნევდა.

იოანე პრესვიტერის ლეგენდა მარადიულად ცოცხლობდა შუა საუკუნეების ხალხთა ცნობიერებაში, მხოლოდ რენესანსის პერიოდის საზოგადოებრივმა შეხედულებებმა, ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, ევროპაში ბურჟუაზიული საზოგადოების ჩამოყალიბებამ, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, აღმოსავლეთის შესახებ ცოდნის გაღრმავებამ თანდათანობით გააფერმკრთალა იოანეს სახე და ამ ლეგენდის ამოხსნას შემდგომში მეცნიერული კვლევის ფორმა მიეცა და დღესაც ეს საკითხი დიდ ინტერესს იწვევს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. დასახელებულ მეცნიერთა გამოკვლევებით თუ თეორიებით ეს თემა არ ამოიწურება და შემდგომშიც ალბათ ბევრი დაიწერება ამ პრობლემის გარშემო.

გადავწყვიტეთ ნაშრომისათვის დაგვერთო იოანე პრესვიტერის სახელით შედგენილი ცნობილი ეპისტოლე. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ამ წყაროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხის კვლევისათვის. ეპისტოლეს მრავალი ვერსია არსებობს სხვადასხვა ენაზე, შემდგომ ხანებშიც გადაწერილი. ჩვენ ეს ეპისტოლე ავიღეთ გ. ოპერტის ნაშრომიდან, რადგან სრული სახით და კომენტარებით პირველად მან გამოსცა იგი და გთავაზობთ ამ წერილის სრულ ქართულ ვარიანტს.

იოანე პრესვიტერის ეპისტოლე (1165 წ.)

იოჰანეს პრესბიტერს ღმერთის ყოვლისშემძლეობით და ჩვენი უფალის იესო ქრისტეს ძალისხმევით, მეფეთა მეფეს, მბრძანებელთა მბრძანებელს, სურს რომ მისი მეგობარი ემანუელი კონსტანტინეპოლის თავადი იყოს კარგად და რომ მას მომავალშიც ღმერთის წყალობა ფარავდეს.

ჩვენი უდიდებულესობა შეტყობინებულ იქნა, რომ შენ ჩვენს ერთგულებას სიყვარულით მიაგებ პატივს და რომ ჩვენი უმაღლესობის ცნობამ შენამდე მოაღწია. ჩვენ აგრეთვე შევიტყვეთ ჩვენი მეჭურჭლეთუხუცესისგან, რომ შენ სურვილი გქონია, გამოგვიგზავნო რამდენიმე ხელოვნების ნიმუში და სასიამოვნო ნივთები, რათა ჩვენ, სამართლიანობის მოყვარულს, დავმტკბარიყავით მათით. რადგანაც მე ადამიანი ვარ, ამიტომ სიამოვნებით ვიღებ ამ საჩუქრებს და ჩვენ გიგზავნით შენ ჩვენი მეჭურჭლეთუხუცესის ხელით რამდენიმე ჩვენეულ ნივთს. ახლა კი ჩვენ გვსურს და მოვითხოვთ იმის ცოდნას, იზიარებ თუ არა შენ ჩვენთან ერთად ჭეშმარიტ სარწმუნოებას და გწამს თუ არა ყველაფერში ჩვენი უფლისა იესო ქრისტესი. რადგან თუ ჩვენ გვეცოდინება რომ ჩვენ ადამიანები ვართ, მაშინ შენი სამწყსო შენ ღმერთად ჩაგთვლის, ხოლო ჩვენ კი ვიცით, რომ შენ მოკვდავი ხარ და შენი ადამიანური სხეული ხრწნადია, თუკი შენ გაკლდეს რაიმე რაც შენ სიხარულს განიჭებს შეგვატყობინე ჩვენ ეს შენი მეჭურჭლეთუხუცესის მეშვეობით და გამოგვიგზავნე პატარა ბარათი შენი სატრფოსაგან და შენ მიიღებ მას ჩვენი დიდსულოვნებით ცნობილი გულმოწყალების ნიშნად. მიიღე ჩვენი სახელით "hyerunca" და გამოიყენე ის ისე, როგორც ჩვენ ვიყენებთ შენს ზეთის (ნავთის) ლამპარს, რათა ჩვენ ამ გზით გავაძლიეროთ და გავამაგროთ ორივე მხრივ ჩვენი ზნეობრიობა.

ყურად იღე და პატივი მიაგე ყოველივეს რაც ჩვენ გვეკუთვნის. თუ შენ დააპირებ ჩვენ უდიდებულესობის სამფლო-

ბელოში ჩამოსვლას, მაშინ ჩვენ გაგხდით შენ ჩვენი ესოდენ დიდებული და მიღებული სახლის განმკარგულებლად და შენ შეგეძლება დატკბე ჩვენი სიუხვით; ყოველი ნივთით, რომელიც ჩვენთან უხვად არის; თუ შენ შენიანებთან დაბრუნებას მოისურვებ, მაშინ შენ განძეულობით დატვირთული დაბრუნდები შინ. თუ შენ მოისურვებ შეიტყო ჩვენი დიდებულების ერთგულებისა და სიდიადის შესახებ და აგრეთვე იმ მიწების შესახებ, რომლებზეც ვრცელდება ჩვენი სკიპტრის მბრძანებლობა, მაშინ შეიტყვე და ირწმუნე ნდობით. მე იოჰანეს პრესბიტერი, მბრძანებელთა მბრძანებელი, აღვემატები ცისა ქვეშ ყველას ზნეობრიობით, სიმდიდრითა და ძლევამოსილობით. 72 მეფე გვიხდის ხარკს. მე ვარ ღვთისმოშიში ქრისტიანი და ჩვენ ყველგან ვიცავთ და მხარს ვუჭერთ შეწირულობებით ღარიბ ქრისტიანებს, რომლებზედაც ვრცელდება ჩვენი მოწყალების სამფლობელო. ძლიერი ლაშქრით, როგორც ეს შეეფერება და ეკადრება ჩვენი უდიდებულესობის ბრწყინვალებას, მოვინახულებთ უფლის საფლავს, ქრისტეს ჯვრის მტრებს დავამცრობთ და დავამარცხებთ და განვადიდებთ მის კურთხეულ სახელს, ეს არის ჩვენი ფიცი. სამ ინდოეთში ბატონობს ჩვენი აღმატებულება და ჩვენი ქვეყანა გადაჭიმულია ინდოეთის გადაღმაც სადაც განისვენებს წმინდა მოციქულის თომას სხეული. გადაჭიმულია დაწყებული მზის ამოსვლიდან უდაბნოს გადაღმა და ჩადის უკაცრიელ ბაბილონის ქვეყანაში, ბაბილონის გოდოლის შორიახლოს. ჩვენ გვემსახურება 72 პროვინცია, რომელთაგან მხოლოდ ცოტანი ეკუთვნიან ქრისტიანებს. თითოეულ მათგანს ჰყავს მეფე, თუმცა ყველა ვალდებულია ხარკი გადაგვიხადოს.

ჩვენი ქვეყანა, სამშობლო და საცხოვრებელი ადგილია სპილოების, დრომედარების, აქლემების, ნიანგების, Meta collinarum (meta calmarii), Cametennus (caxiatenis), Tinserte, პანტერების, ტყის სახედრების, თეთრი და წითელი ლომების, თეთრი დათვების, თეთრი მერულების, ციკადების, მუნჯი გრიფონე-

ბის, ვეფხვების, ლამების, ჰიენების, გარეული ცხენების, გარეული სახედრების, გარეული დაკოდილი ხარების და გარეული ადამიანების, რქიანი ადამიანების, ცალთვალების, ადამიანებისა თვალებით წინ და უკან, კენტავრების, ფავნების, სატირების, პიგმეების, ორმოცარშინიანი სიმაღლის გიგანტების, ციკლოპების და ამავე სახის მდედრების, ჩიტისა რომელსაც ფენიქსი ჰქვია; და თითქმის ყველა ცის ქვეშ მცხოვრები ცხოველების სახეობებისა.

ჩვენ გვყავს სხვა ხალხებიც, რომლებიც იკვებებიან მხოლოდ ადამიანის ხორცით და ასევე არაგონიერი ნაადრევად დაბადებული ცხოველებით და არასოდეს ეშინიათ სიკვდილის, როცა ვინმე ამათგანი კვდება, ხარბად ხრავენ მათ ნათესავები და მეგობრები, რადგან ისინი ამტკიცებენ რომ ადამიანის ხორცის ღეჭვა, ეს უწმინდესი მოვალეობაა. ამ ხალხების სახელებია Gog und Magog, Anie (Amin) und Agit (Veger), Azenach (Agenus), Fommeperi, Befari (Defar), Conei Samante, Agrimandri (Agrimandi), Salferei, Armei, Anafragei, Vintefolei, Casbei, Alanei. ესენი და ბევრი სხვა ტომები ჩაკეტა ალექსანდრე დიდმა ჩრდილოეთში უჩვეულოდ დიდ მთებს შორის. ჩვენ მივმართავთ მათ, ჩვენი შეხედულებისამებრ, ჩვენი მტრების წინააღმდეგ და არცერთი ადამიანი, არცერთი ცხოველი არ იქნება დაცული შეჭმისაგან, თუ ჩვენი უდიდებულესობა ამის ნებართვას გასცემს. ხოლო როდესაც ყველა ჩვენი მტერი შეჭმული იქნება, მაშინ ჩვენ ჩვენიანებს ისევ მათ სამშობლოში დავაბრუნებთ და ჩვენ დავაბრუნებთ მათ პირადად უკან მხოლოდ იმიტომ, რადგან ისინი წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ადამიანსა და ცხოველს შეჭამდნენ. ის წყეული 15 ერი მოვარდება ქვეყნის დასასრულამდე ანტიქრისტეს დროს დედამიწის ოთხი ნაწილიდან, მოივლის წმინდანთა ყველა ბანაკს და დიდ ქალაქ რომს, რომელიც ჩვენ შეგვეძლება გადავცეთ ჩვენს უფროს ვაჟს, მთელ იტალიასთან, გერმანიასთან, ორივე გალიასთან, ინგლისთან, ბრიტანეთთან და შოტლანდიასთან ერთად.

ამიტომ არ იქნება გასაკვირი, რომ მათი რიცხვი ზღვაში ქვიშის ტოლია. წინასწარმეტყველის გამონათქვამის თანახმად ეს ერები არ დაესწრებიან სამსჯავროს მათი ამაზრზენი ქმედებების გამო, არამედ მათზე ზეციდან ჩამოწვება ცეცხლი, ღვთის რისხვა მათ იმგვარად გაანადგურებს, რომ მათგან ფერფლიც კი არ დარჩება. ჩვენი ქვეყანა პირამდე სავსეა თაფლით და მას ყველგან უხვად აქვს რძე. ჩვენს ერთ ოლქში: არ არის არცერთი მავნე საწამლავი, არც ჭორიკანა ბაყაყი ყიყინებს, აქ არც მორიელი არის, არც გველი დახოხავს ბალახებში. აქ არც შხამიანი ცხოველები ბინადრობენ და არც ვინმეს ვნებენ. ერთ პროვინციაში ველებს შორის მოედინება მდინარე, რომელსაც ინდუსი (იდონუსი) ჰქვია; მოედინება რა სამოთხიდან ის განფენს თავის ტოტებს მრავალფეროვან კლაკნილებში მთელს პროვინციაში. აქ მოიძებნება: ზურმუხტები, საფირონები, წითელი ლალი, ტოპაზები, ქრიზოლიტები, ონიქინები, ბივრიტი, სარდები და ბევრი ძვირფასი ქვა.

აქ იზრდება ბალახი ასიდოსი; თუ ვინმე მის ძირებს თავის სხეულზე ატარებს, მაშინ ის გადაურჩება ბოროტ სულს; აიძულებს მას თქვას: თუ ვინ არის ის, საიდან არის და რა ჰქვია. ამიტომ უწმინდური სულები ვერ ბედავენ იქ დაესხნენ ვინმეს თავს.

ცნობილ ქვეყანაში, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის იზრდება და აგროვებენ ყველა სახის წიწაკას, რომელიც იცვლება პურზე, მარცვლეულზე, ტყავზე და ტილოზე. ეს მიწა დაფარულია ტყით როგორც ჭილოფის ბალახით და სავსეა გველებით. როცა წიწაკა დამწიფდება, ყველა შემოგარენიდან ხალხი მოიჩქარის ქატოთი, თივით და ფიჩხით და გარს არტყავენ ხშირ ბუჩქნარს. როგორც კი ქარი ამოვარდება, ხალხი ბუჩქნარის გარედან და შიგნით ცეცხლს უკიდებს, რათა არც ერთმა გველმა არ დააღწიოს თავი. ხანძარში იღუპება ყველა გველი, მათი გამოკლებით, რომლებიც თავიანთ სოროებში ჩაძვრნენ. როცა ცეცხლი ჩაქრება კაცები და ქალები, პატარები და

დიდები შეიარაღებული ფიწლებით, შედიან ბუჩქნარში და ყრიან იქიდან გამხმარ გველებს. ამგვარად აშრობენ და აგროვებენ წინაკას ხმელი ბუჩქებიდან. არც ერთ უცხოს არ აქვს უფლება იცოდეს, რომ ეს ბუჩქნარი მდებარეობს ოლიმპის მთის ძირას, საიდანაც გამოედინება წყარო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა საკმაზის გემო.

საათიდან საათამდე, დღისით და ღამით იცვლება მისი გემო და წყარო მოედინება სამოთხიდან სამი დღის მგზავრობის დაშორებით, სამოთხიდან, საიდანაც განიდევნა ადამი. თუ ვინმემ სამჯერ გასინჯა იმ წყაროს გემო მაშინ ის იმ დღეს სისუსტეს აღარ იგრძნობს და რამდენი ხანიც არ უნდა იცოცხლოს, თავს იგრძნობს, როგორც 30 წლისა. აქ არის აგრეთვე ქვები, რომლებსაც პატარა ნუდიოზები (ინდიოზები) ეწოდებათ; მას, ვინც ამ ქვებს ატარებს თავის სხეულზე მხედველობა არასოდეს დააკლდება. ხოლო თუ მხედველობა დაუსუსტდება, მაშინ ის კვლავ აღდგება. რაც უფრო დიდხანს დააკვირდებით ამ პატარა ქვებს, მით უფრო მკვეთრი გახდება თქვენი მხედველობა, სწორედ შელოცვილი ეს ქვები ადამიანს უხილავს ხდიან, განდევნიან სიძულვილს, იწვევენ ერთსულოვნებას და განდევნიან შურსა და არაკეთილმოსურნეობას.

ჩვენს მხარეში არის ცნობილი უწყლო ზღვა, მხოლოდ ქვიშა მოძრაობს და იბერება ტალღებად ზღვის მსგავსად: მაგრამ მშვიდი არასოდეს არის. ამ ზღვას ვერავინ გადაივლის და თუმც წყალუხვი არ არის, აქ, ჩვენს კუთვნილ სანაპიროს ნაწილში მაინც მოიძებნება სხვადასხვა სახის გემრიელი თევზები, რომლებიც სხვაგან არსად შეგხვდებათ. სამი დღის მგზავრობის მანძილზე ამ ზღვიდან მდებარეობს ცნობილი მთები, რომელთაგან გამოედინება ქვიანი, აგრეთვე უწყლო მდინარე, რომელიც გასდევს ჩვენს მიწას ქვიშის ზღვამდე. როგორც კი ეს მდინარე ქვიშის ზღვას მიაღწევს, ის ქვები ქრებიან და აღარასოდეს ჩნდებიან. სანამ მდინარე მოძრაობაშია არავის შეუძლია მისი გადავლა, ეს მხოლოდ კვირის ოთხ

დღეს არის შესაძლებელი.

ქვიშის ზღვასა და ხსენებულ მთებს შორის ერთ ცნობილ ვაკე ადგილზე არის წყარო, იშვიათი სამკურნალო ძალისა; ეს წყარო არჩენს ყველა ქრისტიანს და მათაც ვინც აპირებს ქრისტიანი გახდეს, ყველა სნეულებიდან რაც მათ აწუხებთ: ერთ გამოფუღუროვებულ ნიჟარის ფორმის სპილენძის ქვაში ყოველთვის დგას წყალი 4 გოჯის სიმაღლეზე. თავისი სიწმინდით ღირსეული ორი უხუცესი იცავს მას და ისინი ეკითხებიან ყველა მოსულს, ქრისტიანია ის თუ არა, ან აპირებს თუ არა იყოს ქრისტიანი; შემდეგ კი ეკითხებიან, მთელი გულით სურთ თუ არა განიკურნონ. ახსნა-განმარტების შემდეგ ისინი იხდიან ტანსაცმელს და შედიან ნიჟარაში. თუ მათი ნათქვამი სიმართლეს შეეფერება, წყალი იწყებს ზემოთ ამოსვლას, თავის ზემოთ. სამგზის განმეორების შემდეგ წყალი უბრუნდება თავის ჩვეულ სიმაღლეს და ყოველი, ვინც ნიჟარაში შესულა, ტოვებს მას ყოველგვარი ავადმყოფობისაგან განკურნებული. უდაბნოს შორიახლოს მორაკრაკებს პატარა ნაკადული მიწის ქვეშ უჟმურ მთებს შორის, რომელთანაც შეიძლება მხოლოდ შემთხვევით მოხვდე.

რადგანაც დროდადრო მიწა პირს აღებს და თუ ვინმეს სურს შიგნით ჩასვლა, მას შეუძლია ეს გააკეთოს, მაგრამ რადგან მიწამ ის არ უნდა შთანთქას, ის სწრაფადვე უნდა გაეცალოს იქაურობას. ყოველივე რასაც კი მიწას წაართმევ, არის ძვირფასი ქვები და გემმები. ის ნაკადული ჩაედინება სხვა მდინარეში, რომელშიც შეაბიჯებენ იქაური მცხოვრებნი და უხვად იღებენ მდინარიდან ძვირფას ქვებს. ამასობაში კი ვერავინ ბედავს მათ გაყიდვას, სანამ ჩვენ არ გვაჩვენებს. იმ შემთხვევაში თუ ჩვენ გვსურს ამ ქვების დატოვება ჩვენი კერძო მოხმარებისათვის, ჩვენ მათ შევისყიდით; თუ არა მათ შეუძლიათ ქვების გაყიდვა. იქაური მოსახლეობის პატარა ბიჭებს იმგვარად წრთვნიან ქვების საპოვნელად, რომ მათ 3-4 დღე შეუძლიათ დარჩნენ წყლის ქვეშ. ამ ქვებიანი მდინარის

გადაღმა არის ებრაელების 10 ტომი, რომლებიც, თუმც საკუთარი მეფეები ეგულებათ, მაინც ჩვენი მონები არიან და ვალდებულები არიან ჩვენს უდიდებულესობას უხადონ ხარკი.

ერთერთ ჩვენს მიწაზე, ცხელი ზონის მახლობლად არიან ჭიები, რომლებსაც ჩვენს ენაზე სალამანდრებს უწოდებენ. ამ ჭიებს შეუძლიათ იცხოვრონ მხოლოდ ცეცხლში და იკეთებენ კანს, როგორც აბრეშუმის ჭიები. ჩვენი სასახლის ქალები ამ კანს გადაამუშავებენ და მოვიპოვებთ მასალას ტანსაცმლისა და თავსაფრებისათვის, რომლებსაც ჩვენი უდიდებულესობა ატარებს. ეს მოსასხამები სუფთავდება და ირეცხება აალებულ ცეცხლზე. ჩვენი აზრით ვერავინ შეგვედრება ოქროს, ვერცხლის, კეთილშობილი ქვების, ცხოველთა სახეობების და მოსახლეობის რაოდენობით. ჩვენს შორის არ არის ღარიბი; ჩვენ ვმასპინძლობთ ყველა სტუმარს და ყველა უცხოს. ჩვენთან არ მოიძებნება არც ქურდი და არც ყაჩაღი, არც მოღალატე ცოლქმარი, არც სიხარბე და სიძუნწე. მლიქვნელი ჩვენთან ადგილს ვერ პოულობს, განხეთქილება ჩვენში უცნობია. ჩვენს ხალხს უხვად აქვს სიმდიდრე. ჩვენ გვყავს ცოტა და ცუდი ცხენები. როცა ჩვენ საბრძოლველად მივდივართ ჩვენი მტრების წინააღმდეგ, ჩვენ დროშების ნაცვლად ჩვენ წინ ეტლებში ძვირფასი გემმებით შემკულ ჯვრებს ჩამოვატარებთ, ყოველ ჯვარს მოყვება 10000 რაინდი და 100000 შეიარაღებული ფეხოსანი, ამ რიცხვში არ იგულისხმებიან ისინი, ვინც პასუხისმგებელია ტვირთზე, ეტლებზე და სურსათზე.

როდესაც ჩვენ უბრალოდ სასეირნოდ გავდივართ, მაშინ ჩვენ წინ მიგვიძღვის ხის ჯვარი, რომელიც არც მოხატულობით, არც ოქროთი, არც ძვირფასი ქვებით არის შემკული, რათა ჩვენ მუდამ გვახსოვდეს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ვნებანი. გარდა ამისა ჩვენ წინ მიგვიძღვის მიწით სავსე ოქროს თასი, როგორც გაფრთხილება, რომ ჩვენი ხორცი დაუბრუნდება თავის საწყის მიწას. გარდა ამისა წინ მიგვიძღვის აგრეთვე ვერცხლის ჭურჭელი სავსე ოქროთი ყველასათვის ნიშ-

ნად იმისა, რომ ჩვენ ბატონთბატონი ვართ.

ყველა სიმდიდრეს, რომელიც ქვეყნად (ინდოეთში) არსებობს, ფლობს უხვად ჩვენი აღმატებულება. ჩვენში არავინ ტყუის და არც არავის შეუძლია ტყუილის თქმა: რადგან თუ ვინმე განზრახ მოიტყუება, იმავე წუთს დაისჯება სიკვდილით, ე. ი. ჩვენ მას მკვდრად ჩავთვლით; ჩვენ მას ვივიწყებთ და მომავალშიც აღარ ვცემთ პატივს. ჩვენ ყველა ერთგულნი ვართ ჭეშმარიტების და ერთმანეთი გვიყვარს. ჩვენში არანაირი ცოდვა არ ბატონობს. ყოველ წელს სამლოცვარეოდ მივდივართ ჩვენს ლაშქართან ერთად წმინდა წინასწარმეტყველ დანიელის საფლავისაკენ, რომელიც უკაცრიელ ბაბილონში მდებარეობს და ყველანი ვართ შეიარაღებულნი ურჩხულებისა და გველების გამო, რომელთაც ჩვენში უწოდებენ „Densentes" (denterses). ჩვენში იჭერენ თევზებს, რომელთა სისხლი ხასხას წითელ ფერად ღებავს. ჩვენ ვფლობთ ბევრ ციხესიმაგრეს, განსაკუთრებით მამაც და მახინჯ ხალხებს; ჩვენ ვმბრძანებლობთ თვით ამაზონებზე და ბრაჰმანებზე. ჩვენი სასახლე, რომელშიც ჩვენი უდიდებულესობის რეზიდენციაა, აგებულია იმ სასახლის ნიმუშის თანახმად, რომელიც თომა მოციქულმა ააშენებინა ინდოეთის მეფე გუნდოფორუსისთვის, ის გავს მას მთლიანად მოწყობილობასა და სხვა სტრუქტურაში. ჭერი კი, გადახურვის ბოძები და არქიტრავი არიან აკაციის ხისგან, სასახლის სახურავი კი საპირისპიროდ შავი ხისგან, იმ მიზნით რომ არ დაიწვას. სასახლის ფრონტონზე კი ორ უკიდურეს წერტილზე მოთავსებულია ორი ოქროს ვაშლი და თითოეულში არის ორი კარბუნკული, იმისათვის რომ ოქრომ დღისით ანათოს და კარბუნკულმა ღამით. სასახლის უფრო დიდი შესასვლელები გაკეთებულია სარდიონის ქვისგან, რომელშიც შერეულია გველის რქოვანა, იმისთვის რომ ვერავინ შემოიტანოს საწამლავი. სხვა ნაწილები შავი ხისგანაა. ფანჯრები ბროლისაა; მაგიდები, რომლებზეც სადილობს ჩვენი სამეფო კარი, ნაწილობრივ ოქროსია, ნაწილი ამეთვისტოს-

გან არის დამზადებული, მაგიდის სვეტების ნაწილი დამზადებულია სპილოსძვლისაგან, ნაწილი ამეთვისტოსაგან. ჩვენი სასახლის წინ არის ეზო, რომელშიც ჩვენი სამართლიანი უდიდებულესობა აკვირდება ხოლმე დუელანტებს. ქვის იატაკი არის ონიქსისგან, რათა ქვების გავლენით მებრძოლებს გამბედაობა შეემატოთ. ხსენებულ სასახლეში ღამღამობით ანთია მხოლოდ ბალზამით ნაკვები შუქი. პალატები, რომლებშიც ჩვენი უდიდებულესობა ისვენებს, სასწაულებრივ მორთულია ოქროთი, ვერცხლით და ყველა სახის ქვებით. ხოლო თუ კი სადმე მორთულობად გამოყენებულია ონიქსი, მაშინ მის გარშემო მოთავსებულია 4 ერთნაირი სიდიდის „Cornicul"-ი, რომელთა გავლენითაც აილაგმება ყველაფერი ხელისშემშლელი. იმავე ოთახში ყოველთვის მხოლოდ ბალზამი ანთია. უბიწოების გამო ჩვენი საწოლი საფირონისგანაა დამზადებული. ჩვენ გვყავს ულამაზესი ქალები, რომლებიც წელიწადში მხოლოდ ოთხჯერ მოდიან ჩვენთან, რათა შვან ვაჟები და როდესაც ისინი ჩვენგან მიიღებენ კურთხევას, ვითარცა ბეთსამემ დავითისგან, ისინი ბრუნდებიან უკან, ყოველი თავის ადგილას.

ჩვენს სუფრასთან სადილობს, გარდა შემთხვევით მოსულებისა, ყოველდღიურად 30000 ადამიანი და ყველა იღებს ჩვენი დარბაზიდან საჩუქრებს, იქნება ეს ცხენები თუ სხვა ნივთები. ეს მაგიდა დამზადებულია უძვირფასესი ზურმუხტისაგან, ის ებჯინება ამეთვისტოს ოთხ სვეტს. ქვის ძალა ხელს უშლის ადამიანს გაბრუებაში.

სასახლის წინ მრგვალი მოედნის სიახლოვეს დგას სარკე სასწაული სიდიდის, მისკენ მივყავართ 25 საფეხურს; რომელთა ნაწილიც დამზადებულია პორფირეტული მარმარილოსგან, ნაწილიც გრეხილი ალიბასტრისგან, ქვედა მესამე ნაწილიდან ზემო მესამე ნაწილამდე საფეხურები დამზადებულია ბროლისგან, იასპისგან, ზურმუხტისგან და სარდონიქსისგან; ზედა ნაწილი დამზადებულია ამეთვისტოსგან, იასპისგან და პანტერასგან. სარკე ეფუძნება ერთ სვეტს, საფუძველში არის

ორი სვეტი, მასზე მეორე საფუძველი ოთხი სვეტით, მასზე ისევ სხვა საფუძველი, რომელზედაც არის თექვსმეტი სვეტი, მასზე ისევ ახალი საფუძველი, რომელზეც არის ასოცი სვეტი. ამ სვეტებს და საფუძვლებს ავყავართ სარკესთან და ჩამოვყავართ. ერთ მხარეს ჩვენ ავდივართ, მეორე მხარეს ჩვენ ჩამოვდივართ. სვეტები და საფუძვლები დამზადებულია იმავე ქვის სახეობისგან, რომლისგანაც დამზადებულია მისკენ მიმავალი საფეხურები. უმაღლესი სვეტის მწვერვალზე დგას ჯადოსნური სარკე. ყველა შემოტევა და ყველაფერი, რაც მიმდებარე და ჩვენდამი დაქვემდებარებულ პროვინციებში განიზრახება, როგორც ჩვენს სასარგებლოდ, ასევე ჩვენს საწინააღმდეგოდ, ჩვენ, სარკეში ჩამხედველებს, ზუსტად შეგვიძლია დავინახოთ და ამოვიცნოთ. 3000 შეიარაღებული ადამიანი იცავს მას დღე და ღამე, რათა სარკე არ გატყდეს და არ დაენარცხოს ძირს.

ყოველ თვე ჩვენ გვემსახურება შვიდი მეფე, თითოეული თავისი რიგის მიხედვით, 62 (65) ჰერცოგი, 265 (365) გრაფი და მარკიზი, ისინი, ვინც სხვადასხვა სამსახურისათვის გამოიყენება სათვალავში არ შედის. ყოველდღიურად ჩვენს სუფრაზე სადილობს 12 არქიეპისკოპოსი ჩვენგან მარჯვენა მხარეს, 20 ეპისკოპოსი მარცხენა მხარეს, გარდა წმინდა თომას პატრიარქისა, სარმოგენული პროტოპაპისა და სუზას არქიპაპისა, სადაც ჩვენი დიდების ტახტი და ჩვენი სამეფო სასახლე მდებარეობს. როდესაც თითოეული მათგანის ჯერი დგება, ის არ გვცილდება ჩვენ გვერდიდან, ერთი თვის განმავლობაში; აბატები გვემსახურებიან ჩვენს სამლოცველოში წელიწადის დღეების რაოდენობის მიხედვით. ყოველთვიურად უბრუნდებიან ისინი საკუთარ თანამდებობებს და მათ ჩაენაცვლებიან ზუსტად ამდენივე რაოდენობის სხვა სამღვდელო პირები სამლოცველოში მსახურებისათვის თვის კალენდრების მიხედვით. ჩვენ გვაქვს აგრეთვე სხვა მართალია არა უფრო გრძელი და ფართე, მაგრამ უფრო ლამაზი და ამაღლებული სასახლე,

რომელიც აგებულ იქნა მანამ სანამ ჩვენ დავიბადებოდით თანახმად მამაჩემის მიერ ძილში წვეული გამოცხადებისა. სინმინდისა და სამართლიანობის გამო, რომელიც მისგან გამოსჭვიოდა, მას უწოდებდნენ ღვთისა დარს (Quasi Deus) და ძილში მას გამოეცხადა: „ღვთაებრივო, აღიმართე, აღმართე სასახლე შენი მომავალი ვაჟისათვის, რომელიც გახდება ბატონთა ბატონი ყველა მიწიერ მეფეზე და მთელს დედამიწაზე. სასახლის განდიდებისთვის ღმერთი მას უბოძებს კიდევ იმ წყალობას, რომ იმ დღეს, როდესაც ის ამ სასახლეში შეაბიჯებს, არავინ იავადმყოფებს, არავინ იშიმშილებს, არავინ არ მოკვდება იქ ზეზეულად".

სასახლეში მოედინება აგრეთვე ყველა თვალსაზრისით საკმაზებით შეზავებული და სურნელოვანი ჭა. იგი არასოდეს ტოვებს სასახლეს, მიედინება სასახლის ერთი კუთხიდან საპირისპიროში, აქ მას შთანთქავს მიწა, მის ქვეშ ის თავის საწყის წყაროს უბრუნდება; ზუსტად ისევე როგორც მზე ბრუნდება უკან აღმოსავლეთში დასავლეთიდან. ვინც მას გემოს გაუსინჯავს, მის პირში ჩნდება გემო იმისა, თუ რის ჭამას და დალევას ისურვებდა ეს უკანასკნელი. ეს ჭა სასახლეს ავსებს ისეთი სურნელით, თითქოს მისგან აღმოცენებულიყო კეთილსურნელოვანი ბალზამებისა და მალამოების ყველა სახეობა. თუ ამ წყაროს იგემებენ სამი წელი, ექვსი თვე, სამი კვირა, სამი დღე და სამი საათი განუწყვეტლივ, ყოველ დღე ფხიზელ მდგომარეობაში, იმგვარად, რომ მას გასინჯავენ საათის დაწყებამდე და საათის შემდეგ და იმ სამი საათის დასაწყისსა და ბოლოს შორის, მაშინ ეს ადამიანი არ გარდაიცვლება 300 წელს, სამი თვის, სამი კვირის, სამი დღის და სამი საათის განმავლობაში და ყოველთვის მშვენიერ ახალგაზრდულ ასაკში იქნება. ვინც ამდენ ხანს იცოცხლებს, ხსენებული დროის ბოლო დღეს თავს მოუყრის თავის მეზობლებსა და მეგობრებს და ასე მიმართავს მათ: „უსაყვარლესო მეგობრებო და სისხლით ნათესავნო, მე მალე მოვკვდები, უმორჩილესად

გთხოვთ დახუროთ ჩემს თავზე საფლავი და ილოცეთ ჩემთვის". ამ სიტყვების შემდეგ ის მაშინვე ჩადის საფლავში, ეთხოვება თავის გარემოცვას და წვება ისე თითქოს ძილს აპირებდეს. და იმისათვის, რომ ახდეს წინასწარმეტყველება, ის გადასცემს შემქმნელს იმ წუთს თავის სულს. დამსწრენი კი დასტირიან ჩვეულ ყაიდაზე, საყვარელი ადამიანის ნეშტს, ხურავენ საფლავს, ევედრებიან მის თავს ღმერთს და მიდიან.

დილით ღვთისა დარი, მამაჩემი ძლიერ შეძრული და აღელვებული იყო ამ ძლევამოსილი გამოცხადებით და სანამ ის თავის ფიქრებში დარდობდა ამაღლებულ ხმაზე, მან და ყველამ მის გარშემო გაიგონეს ხმა რომელიც ლაპარაკობდა: „ო ღვთისა დარო, აღასრულე, რაც ნაბრძანები გაქვს, ნუ ყოყმანობ და ყველაფერი მოხდება ისე, როგორც შენ ეს გამოგეცხადა". ამ ხმის გაგონებაზე მამაჩემი დამშვიდდა და მაშინვე დაიწყო სასახლის აგება. მის საფუძველს და გალავანს წარმოადგენენ ძვირფასი ქვები, საუკეთესო სუფთა ოქრო გამოიყენებოდა ცემენტად. მისი ზეცა ანუ სახურავი შედგება უგამჭვირვალესი საფირონებისგან, აქა იქ შერეული უბრჭყვიალეს ტოპაზებთან, საფირონები წარმოადგენენ მოწმენდილ ცას, ტოპაზები კი სასახლის შიდა განათებისთვის გამიზნულ ვარსკვლავებს. ქვის იატაკი შედგება დიდი კრისტალების ფილებისგან. ოთახები ან სხვა განყოფილებები სასახლეში არ არის, არამედ იქ არის ნემსის ფორმის სვეტები სუფთა ოქროსგან. კედლებზე სასახლის შიგნით განთავსებულია კანდელი – აბრები, ყოველ კუთხეში მათ შორის ორი „Reliqua". ყველი სვეტი არის 60 წყრთის სიმაღლის; მათი სიგანე მოიცავს იმდენს, რასაც შეიძლება შემოწვდეს ხუთი კაცი და ყოველ სვეტს თავის მწვერვალზე აქვს კარბუნკული, რომელიც ისეთივე დიდია, როგორც ღვინის დოქი. შენს კითხვაზე, თუ რატომ არიან სვეტები ნემსებივით წვეტიანი, პასუხი ასეთია, რომ ქვის იატაკი და მთელი სასახლე არ იქნებოდა განათებული ისე, როგორც ეს ხდება, კარბუნკულების ელვარებით, თუ სვეტები ზემოთ

ისეთივე განიერი იქნებოდენ როგორც ქვემოთ. და თუ შენ იკითხავ, განათებულია თუ არა იქ, მაშინ შეიძლება პასუხად მოგიგონ, რომ იქ იმგვარი სინათლე სუფევს, რომ ქვის იატაკზე არ შეიძლება იყოს რაიმე პატარა, რაიმე პაწაწინა, ისე რომ ის მაშინათვე ვერ შეამჩნიო. იქ არ არის ფანჯარა და მაინც უწმინდესი ზეცის და მოკაშკაშე მზის ბრწყინვალებას ვერ ძალუძს დააბნელოს კარბუნკულების და სხვა ძვირფასი ქვების სიკაშკაშე. სასახლეს აქვს წმინდა ბროლის ოქროთი მოვარაყებული კარი. ეს შესასვლელი მდებარეობს აღმოსავლეთით, 130 წყრთა სიმაღლისაა და იღება და იკეტება თავისით, როდესაც ჩვენი უდიდებულესობა სასახლისაკენ გაეშურება. მაგრამ თუ მასში სხვა ადამიანები შევლენ, მაშინ კარებს კეტავენ და აღებენ ჯარისკაცები. და სანამ ჩვენ ვიმყოფებით ბრიხბრიხის პროვინციაში, სადაც მდებარეობს ის სასახლე, ჩვენ ყოველდღე მივემართებით ამ სასახლისკენ, რათა დავლიოთ იმ წყაროდან, მაგრამ თუკი ჩვენ დავტოვებთ იქაურობას, მაშინ ჩვენ, საითკენაც არ უნდა გავეშუროთ, წყალს მოვატანინებთ იმ ჭიდან და დავლევთ მას ყოველდღე უზმოზე, როგორც ეს უბრძანეს ჩემს მამას სიზმარში. ჩვენს დაბადების დღეს, ჩვენ მთელი ჩვენი სამეფო კარით მივემართებით სასახლისაკენ. რაც არ უნდა ხშირად ვეკურთხოთ მეფედ, სწორედ იქ ვსვამთ წყალს ჭიდან, თითქოს იქ გვეჭამოს კიდეც და ვტოვებთ მას ისე მხიარული და მაძღარი, თითქოს ყველანაირი კერძით დავმტკბარიყავით.

და თუ შენ კიდევ მკითხავ, რატომ არ დაირქვა ჩვენმა უდიდებულესობამ უფრო ღირსეული და გამორჩეული სახელი, ვიდრე პრესვიტერისა, რაკიღა შემქმნელმა ჩვენ აგვირჩია ყველაზე ძლევამოსილ და დიდების მოსილად ყველა მოკვდავზე, ამის გამო შენ ჭკუას არ უნდა გაუკვირდეს, ჩვენ კარზე გვყავს ბევრი მინისტერიალი უფრო მაღალი სამღვდელო რანგის და პოსტის და უფრო აღიარებული სტატუსით ღვთის მსახურების დროს ვიდრე ჩვენ. რადგან ჩვენი ტრუხსესი არის

პრიმასი (პატრიარქი) და მეფე, ჩვენი პირის მწდე, არქიეპისკოპოსი და მეფე, ჩვენი მხევალი ეპისკოპოსი და მეფე, ჩვენი მარშალი მეფე და აბატი, ამიტომ ჩვენმა უდიდებულესობამ არ ჩათვალა საჭიროდ, ეწოდებინა თავი იმ სახელებითა და ტიტულებით, რომლებითაც ჩვენი კარი ასევე სავსეა და თავმდაბლობით არჩია, დაერქმია თავისთვის უფრო მცირე სახელი და დაბალი რანგისა. ერთ მხარეს ჩვენი სამეფო გადაჭიმულია 4 თვის სავალ მანძილზე; მაგრამ თუ რა შორს განიჭიმება ჩვენი მბრძანებლობა სხვა მიმართულებით ეს არავინ იცის. თუ შენ გძალუძს დათვალო ცაზე ვარსკვლავები და ზღვაში ქვიშა მაშინ განსაზღვრე აგრეთვე ჩვენი სამეფო და ჩვენი ძალაუფლება.

Андро Гоголадзе

Об исторических и библейских источниках сказания о Иоанне Пресвитере

Резюме

Сказание о легендарном Царе Иоанне Пресвитере сыграло большую роль в становлении представлений европейцев о восточном мире средневековья.

Научное исследование данной проблемы начинается в XIX веке. Европейская историография искала прототипы Иоанна Пресвитера в восточной Азии. Исторический образ Иоанна Пресвитера рассматривался в связи с китайскими, каракитайскими, кераитскими, монгольскими племенами середины XII-го века или же с предводителями политических или же военных структур. Грузинская же историография исчет прототипы на Кавказе, в частности в исторической действительности Грузии XII-го века. Образ Иоанна Пресвитера связывают с грузинским царем Давидом IV-ым Строителем или же с военнымы деятелями той эпохи, которые в исторических источниках упоминаются под именем «Иоанн».

Мы полагаем, что источником сказания о Иоанне Пресвитере может служить библейский апокалипсис, явление апостола Иоанна. Здесь можно наблюдать параллели между сказанием и апокалипсисным явлением. В представлении крестоносцев или же европейцев это сказание было выражением своего рода гнева и наказания, посланными с Востока для наказания мусульман. О востоке у европейцев XII века было расплывчатое, нереальное и фантастическое представление, поскольку Восток им тогда еще не был знаком.

Следует подчеркнуть, что в известном письме Иоанна Пресвитера, датированным 1165 годом, также встречаются библейские параллели, что, по нашему мнению, в очередной раз подкрепляет тезис о том, что источник этого сказания следует искать в библии, в частности в явлении апостола Иоанна.

Andro Gogoladze

Über die historischen und biblischen Quellen der Sage von Johannes Presbyter

Zusammenfassung

Die Sage vom legendären König Johannes Presbyter spielte eine große Rolle bei der Herausbildung der Vorstellungen der Europäer über die orientalische Welt des Mittelalters.

Seit dem 19. Jahrhundert beginnt die wissenschaftliche Erforschung dieses Problems. Die europäische Historiographie suchte nach den Prototypen von Johannes Presbyter im östlichen Asien. Die historische Gestalt von Johannes Presbyter wurde nämlich im Zusammenhang mit den chinesischen, karachataetischen, keraitischen, mongolischen Stämmen Mitte des 12. Jahrhunderts oder auch mit den Anführern der politischen bzw. militärischen Strukturen betrachtet. Die georgische Historiographie aber sucht die Prototypen im Kaukasus and zwer in der historischen Wirklichkeit von Georgies des 12. Jahrhunderts. Die Gestslt von Johannes Presbyter verbindet man mit dem georgischen König Dawid IV. dem Erbauer oder mit den in jener Epoche wirkenden Heeresleitern, die in den historischen Quellen als Johannes benannt sind.

Unserer Meinung nach könnte zur Quelle der Sage von Johannes Presbyter die biblische Apokalypse dienen, die offenbarung des Apostels Johannes. Hier könnten wir Parallele finden zwischen der Sage und der apokalyptischen Offenbarung. In der Vorstellung der Kreuzfahrer oder der Europäer war diese Sage eine Art von Zorn und Strafe, aus dem Orient zum Bestrafen der Moslems hergeschickt, aus einer für die Europäer des 12. Jahrhunderts noch unbekannten Welt, über die sie eine verschwommene und phantasievolle Vorstellung hatten.

Es muß betont werden, daß im bekannten Brief von Johannes Presbyter aus dem Jahre 1165 auch biblische Parallele vorzufinden sind, was unseres Erachtens abermals die These bestätigt, daß die Quelle dieser Sage in der Bibel liegt und zwar in der Offenbarung des Apostels Johannes.